ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

# 8

1989

# მნათობი

ყოველთვიური 65-ე | № 8 | აგვისტო, 1989 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

[illegible] — [illegible] სული. რომანი. [illegible] თარგმნა [illegible] . . . . . . . . . . 3
[illegible] — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 30
[illegible] — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 39
[illegible] — [illegible] მოთხრობა . . . . . . . . . . . . . 43
[illegible] — ლექსები . . . . . . . . . . . . . 63
[illegible] — [illegible] . . . პოემა 66
[illegible] — ლექსები . . . . . . . . . . . . . 74
[illegible] — [illegible] მოთხრობა. თარგმნა [illegible] . . . . 76

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

[illegible] — ახალი [illegible] . . . . . . . . 119
[illegible] — [illegible] ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები 129

### ხელოვნება

[illegible] — [illegible] — [illegible] . . . . . . . . . . 136

### მოგონებები, წერილები

[illegible] — [illegible] (დასასრული) . . . . . 146

### მეცნიერება

[illegible] — ისტორია და ქართულის [illegible] . . . . . . . . 154
[illegible] — [illegible] . . . . . . . . . . . . . . . 165

ილ. [illegible]

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## წიგნების მიმოხილვა

ა. ჯავახაძე, გ. ზამბლაძე — საინტერესო გამოკვლევა ქართველი ხალხის სოციალური ურთიერთობის საკითხებზე . . . . . . . 174

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ი. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. ჰაიბაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. ჰატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

# ჩაკლული სული

რომანი

## ჯადოს ახსნა

თამაზს გამოეღვიძა. მზის სხივები უკვე ილერებოდა ოთახში. სიხარული დაეუფლა ყმაწვილის სხეულს. ადგა, პატარა აივანზე გაიბიჯა, არემარეს გადახედა. დილის მზე უშურველად აფრქვევდა თავის სხივებს წვიმით გაჯერებულ მიწას, რომელიც თითქო ხელახლა იბადებოდა. სახლის წინ პატარა ბაღი იყო: ლაღად აღერებულიყვნენ ხეები და მცენარეები. თამაზმაც იგრძნო მზე, წელში გასწორდა; სიამოვნებდა, რომ ცოცხლობდა, ღრმად და მკვიდრად ფესვგამდგარ მუხას უცქეროდა, ბავშვის სიცილი ესმოდა. თამაზი ხარობდა, თითქოს მიწასთან ერთად ისიც ხელახლა იშვა. ორმოცი წელი? ეს ხომ სიმწიფის ხანაა! გაიზმორა, გულ-მკერდი დაჭიმა და ოთახში შებრუნდა. პრიმუსი აანთო, ზედ წყლიანი ქვაბი შედგა. წყალი რამდენიმე წუთში გაცხელდა. პარსვას შეუდგა. სამართებელს პირი უკვე ძალიან მოსცვეთოდა, მაგრამ სხვა არ ჰქონდა. საბედნიეროდ, თეატრში გაცნობილმა ერთმა უცხოელმა მოგზაურმა საპარსი დაუტოვა, რომელიც ახლა ისევე ძვირფასი იყო მისთვის, როგორც ხორასნის ხანჯალი მთიელისათვის.

კაცი სარკეში დააცქერდა თავს: მკვეთრად მოხრილი კეხა ცხვირი, ნიკაპი ფართო და მაგარი. შუბლი მაღალი, გამობერცილი. თვალები ფოლადისფერ-რუხი, მეზღვაურებს რომ აქვთ, სახე, მთლიანად, მიწაში ნაპოვნი ანტიკური მონეტის მსგავსი: გალეწილი და დაჟანგული, მაინც მაგარი და მეტყველი. ტყუილად როდი უთხრა ერთმა ლამაზმა: ლორდისა და შოფერის ნაზავი. წარბებს შორის კეშტი ნაკეცი, თვალებში მძიმე ნაღველი, ამის მიუხედავად შინაგანი ელვარება ნაკვთებზე. ეს ორგვარ სახეს აძლევდა: შეეძლო ჰკვანებოდა ბავშვს, რომელსაც გინდა თავზე ხელი გადაუსვა, მაგრამ უეცარი მოკრძალება აშეშებს საალერსოდ გაწვდილ ხელს — ბავშვი უცხო ჩანს და შეცვლილი.

ჩაი უკვე მოერთმიათ, როცა ექიმის მოახლემ — თამაზს ავეჯით მორთული ერთი ოთახი ეკავა ექიმთან — მისი ულუფა შაქარი მოუტანა. ამ გოგოს მეტად უხაროდა თამაზის დანახვა, მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრამ არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, თუ რად უხაროდა. თამაზს სანოვაგის რიგში დგომა უჭირდა — გოგომ სიხარულით გაათავისუფლა ამ მოვალეობისაგან; მას თამაზის ბარათებით მოჰქონდა პური, შაქარი, ბრინჯი, ხანდახან ყველი და კარაქიც. დღეს შაქართან ერთად ორი პური მოუტანა, ერთ ნაცნობ გლეხს ჩამოეტანა სოფლიდან. „მახობელა", სიხარულით წამოიძახა თამაზმა. მას უყვარდა ეს მოლურჯო პური, მისი მჟავეთი სუნი. ერთი კვერი გატეხა, დაყნოსა და იგრძნო, რომ მიწის მადლით აივსო. გულაჩუყებული იდგა, თითქო შინაგანი ხილვით ჰვრეტდა მომლოდინე ბელტების ბნელ წიაღს, მთესველის მარჯვენას, ცოცხალი თესლების კვდომასა და კვლავ დაბადებას, მათს ჩასახვას, ღვივილს, მწიფობას, იხილა თიბვა, კალოობა, დოლაბის ბრუნვა, ბოლოს დაბრაწული, ამოღებული პური. ეს პურის ნატეხი ახლა დემეტრეს ცოცხალი მითი იყო მისთვის. თამაზს გაახსენდა გლეხი, ვინც ჩამოეტანა პური; ერთი თვის წინათ გაიცნო ქალაქის გარეუბანში. „ჯერ კიდევ ძღვრენ თბილი გულები", ჩაილაპარაკა და სურნელოვანი პურის ლუკმა იგემა. იმავე წუთს აზრმა გაუელვა: ყოველი ხალხი საკუთარ ფორმას აძლევს პურს; თითოეული თავის ყაიდაზე თუ იღებს წყალობას? ყველის პატარა ნაჭერი აღმოაჩინა და საუზმეს შეუდგა. საკვები ბევრი არ სჭირდებოდა. ზოგი ნაცნობი ხუმრობით იოგს ეძახდა. თამაზიც ჩუმად ილიმებოდა ამ მეტსახელით კმაყოფილი.

საუზმეს რომ მორჩა, ჩაცმა დაიწყო. ჯერაც არ გასცვეთოდა ომიდან შემორჩენილი ინგლისური ჩაცის უნიფორმა. ქურთუკი და შარვალი შეათვალიერა, ერთხელ კიდევ დალოცა ინგლისელები ასეთი გამძლე ქსოვილის დამზადებისათვის. ყვითელი ჩექმები ჩაიცვა, იმავე ფერის გეტრები შემოიხვია. ესენი „ამერიკანკაზე" — ომისდროინდელ ბაზარში — ჰქონდა ნაყიდი. იმხანად თბილისში ახლო აღმოსავლეთის დევნილ ქრისტიანთა ხელშემწყობი დამხმარე ორგანიზაცია მუშაობდა. ამერიკიდან გზავნიდნენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, უამრავ მედიკამენტს, აოისგვარ წყალობას. თავის მოღვაწეობას ეს ორგანიზაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც განაგრძობდა. მოგვიანებით კი გააუქმეს, მაგრამ მომარაგება — თუმცა კი უფრო მომჭირნედ — არ შეწყვეტილა. ვაჭრები იაფად ყიდულობდნენ ფუთებს; არც იცოდნენ, შიგ რა იყო. ეს ნასყიდობა ლატარიას მიაგავდა; რომელიმე ფუთაში ხანდახან ძვირფასი ნივთებიც ხვდებოდა. ეს ყოველივე ერთ ბაზარზე სდებოდა, აქედან სახელი „ამერიკანკა". „ამერიკანკა" მეშჩანს ვერ იტევდა. რუსეთიდან ჩამოსული მსახიობი კაცები და ქალები კალიებივით ესეოდნენ „ამერიკანკას", თამაზიც მრავალჯერ სტუმრებია აქაურობას.

მზე კარგა მაღლა იდგა, როცა სახლიდან გამოვიდა. ქალაქგარეთ ცხოვრობდა ერთ სერზე. თამაზი შედგა, მოტიტვლებულ გორაკებსა და ფერდობებს შორის გაფენილ თბილისს გადახედა. თვალი საქართველოს ძველი დედაქალაქის შემოგარენიდან სიმწვანეში გადასრიალდა და მორეთში გადაიკარგა. ერთბაშად თოვლით დაფარული ყაზბეგი აღიმართა შორს — კავკასიონის ბატონკაცური მხარ-ბეჭი. თამაზი იდგა სახიარობაში ჩაძირული, თითქოს მარადიულობა მასში მარადიულობას ჰვრეტდა. მთების შვილს გატაცებით უყვარდა მთები. ტომით სვანი იყო. იქ, სვანეთში, ლეგენდა დღესაც ნეფე-დედოფალს უწოდებს თეთნულდს და უშბას. თამაზი მთურალივით იყო: მთების ცქერამ თითქოს ყოველდღიურობას მოაშორა. პირადი მიმართება ჰქონდა მთებთან, მზესთანაც. იყო წუთები, როცა მზეში, მთაში უძველეს წინაპარს ხედავდა: ადამიანის მოდგმისას და ზეადამიანურს ერთდროულად. ეს ხილვა თვალის ლხენა არ იყო უბრალო; ეს იყო განცდა თავდაპირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელემენტების. თამაზი სიცოცხლის ნეტარებით აივსო. ამ წუთს ბედნიერი იყო. მერე გონს მოეგო და სწრაფად დაეშვა ძირს, იქ, ქვემოთ სხვა სამყარო იყო: აჩქარებული ტრამვაები, გამოუძინებელი მეეტლეები, მომლოდინე ადამიანების რიგები მაღაზიებში. ქუჩის მოვაჭრეები გაზეთებს აჩეჩებდნენ. ერთი გაზეთი იყიდა, გადაათვალიერა, რაც იქ ნახა, იმის ბიულეტენს უფრო ჰგავდა: მრავალრიცხოვანი ფრონტები, ყველა სიძნელის მიუხედავად ბრძოლისა და გამარჯვების ურყევი ნება. შეტევა და გარღვევა — არაფერი უფრო ძვირად არ ფასობდა. მოსაბეზრებელი იყო გაზეთი — ერთი და იგივე ცნობების მუდმივი განმეორება, მაინც სოციალური ყოფის ისეთივე მეტყველ ასახვას ხედავდა მასში, როგორსაც ეხსოვარ დროთა იდუმალ რუნებში.

თამაზი ტრამვაიში ჩაჯდა. ისეთმეტ წუთში სახკინმრეწვთან იყო. აქ მუშაობდა სასცენარო განყოფილებაში. დავალებული საქმის სირთულე კარგად ესმოდა. სცენარში ყველაფერი დიალექტიკურად უნდა ყოფილიყო დანახული და შესრულებული. შინაარსის ყველა წვრილმანი ისე უნდა განლაგებულიყო, რომ საბოლოოდ ეჭვის ნატამალიც არ დარჩენილიყო პროლეტარიატის გამარჯვებაში. სწორედ ეს იყო რთული. თუ დიალექტიკურად მივუდგებით ორ ელემენტს, აღმოვაჩენთ, რომ ორივე სწორია, რადგან ორი ელემენტის ბრძოლაში წარმოიშობა მესამე, ახალი, შემარიგებელი, ოღონდ ასეთი დაკვირვება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ დამკვირვებელი განზე დგას და არც ერთს არ მიმხრობია. საკმარისია ერთ-ერთ ელემენტად გადაიქცეს, მაშინვე დიალექტიკურ ხედვას დაკარგავს და მხოლოდ ამ ერთ ელემენტში ჰპოვებს ჭეშმარიტებას. ელემენტთა ბრძოლის დროს დიალექტიკურად მოქცევა უკეთეს შემთხვევაში რომელიმე ასევე შეეძლოა — იმამდე რუსეთში ის, როგორც ცნობილია, მარქსის და რევოლუციონერების ერთდროულად ემსახურებოდა. ამით აიხსნება ისიც, რომ დიალექტიკური ხედვა მხოლოდ წარსულს ეძებება. თვით ბრძოლაში მისთვის ადგილი აღარ რჩება. ეს სიძნელე იმხანად ყველგან იჩენდა თავს: ლიტერატურაში, თეატრში, განსაკუთრებით კინოში, რადგან კინო ყველაზე შიშვლად აჩვენებს სინამდვილეს, სიძნელეც აქ ყველაზე უფრო თვალში საცემია. დისკუსიებს ბოლო არ უჩანდა, მეთოდს მეთოდზე იგონებდნენ. მაგრამ კინო მრეწველობაა, ის საბოლოო გადაწყვეტას დიდ ხანს ვერ დაელოდება. აქ გამოცდილი ხელი სჭირდებოდათ, ძალზე სწრაფად რომ პოულობს გამოსავალს. თამაზს ჰქონდა ასეთი ხელი.

ის არ იყო კომუნისტი, არც რევოლუციონერი. სამყაროდან ღმერთის განდევნა — საბჭოეთის ეს მთავარი დინება — შინაგანად უცხო იყო მისთვის. მაგრამ არც მტერი იყო რევოლუციისა: გრძნობდა, რომ რევოლუციის ბიძგებს მაინც ჰქონდა რაღაც აზრი. რაში მდგომარეობდა ეს აზრი, მისთვის მთლად ნათელი არ იყო. ხანდახან ფიქრობდა: თუ ხალხში არ არსებობს ღმერთი როგორც მარადიული ცეცხლი, მაშინ უმჯობესია თვით ღმერთის იდეა მოკვდეს — ხალხი უღმერთო ცხოვრებას დიდ ხანს ვერ იტანს, ოდესმე ურწმუნოებას მხეცური გამძვინვარებული აღდგება, რათა ჯვარს ეცვას ღმერთისთვის. ამ ბუნდოვანი გრძნობის გამო იგი იკავებდა შეფასებისგან, განზე იდგა. ეს განზე დგომა თუმცა ზოგიერთს აწუხებდა, მაინც დიდ ცოდვად არ ეთვლებოდა, რადგან აშკარა მტრობა არ იყო. სხვაფრივ კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის სამუშაოს, ჭერჭერობით ეს იყო მთავარი. ისიც შველოდა, რომ ძალზე სიტყვაძუნწი იყო. ეს მუდამ დიდი ღირსებაა, განსაკუთრებით საბჭოეთში.

დღეს სცენარის პროექტი იხილებოდა. ავტორს მასალა ხევსურთა ცხოვრებიდან აეღო, საბჭოთა კულტურას ამ ტომამდეც უნდა მიეღწია, კი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ? იქ დღესაც თემური ცხოვრება სუფევს, კლასობრივ ბრძოლას სრულებით არ იცნობენ, კომუნისტური მანიფესტით მოიცვა ასეთი ჯანსაღი ერთობა — საკმაოდ ძნელი ამოცანაა. ეს ეგრძნო ავტორს და შემდეგი გამოსავალი ეპოვნა. ხევსურეთში არიან ხევისბერები, ძველი მოგვების შთამომავლნი, რომლებიც სალოცავში რელიგიურ კულტებს უვლიან. ისინი განაგებენ თემის მიწიერ საქმეებსაც, რისთვისაც კარგ გასამრჯელოს იღებენ. აქ დაეცქვიტა ყურები ავტორს; ახალ კარგი გასამრჯელო? მაშასადამე, ხალხის ჩაგვრა? თითქოს სოციალური უთანასწორობის სათავე აღმოეჩინოს გვაროვნულ თემში. თუ ფილმის ეფექტურად დადგმა მოხერხდა, მიზანი მიღწეული იქნება. ხევისბერები ატყუებენ ხალხს, რათა ძალაუფლება შეინარჩუნონ — აი, სცენარის გეზი. ხევსურეთში „ადგილის დედის" კულტი არსებობს, სახესხვაობა დედა მიწის კულტისა. ტყის განაპირას ან მის სიღრმეში ერთ უჩვეულოდ ლამაზ ადგილს გამოძებნიან, განმარტოებულს, ლამის მიუვალს, იქვე ანკარა წყარო მოჩქეფს, შორიახლოს რბილ მიწას ირმის ან ჯიხვის კვალი აჩნევია. წყაროსთან ხეებზე ირმის დოყი და ჯიხვის რქები ჰკიდია. ტყე სურნელს აფრქვევს, ირგვლივ ღვთაებრივი სიჩუმე მეფობს. საიდანღაც მოისმის ჩიტის აფრენა, შველი შეკრთება, მყის გაუჩინარდება. აქეთ მოისწრაფის ხევსური სალოცავად: მიწას ევედრება, მიწის მადლს იღებს. მიწა არსებაა მისთვის, მკერდიანი, გულიანი. ხევსური წყაროს წყლით იბანება და იკურნება. თაობიდან თაობაში გადაჩქეფს სიცოცხლე, როგორც ეს უწრეტი ანკარა წყარო. სწორედ ეს წყარო აერჩია ავტორს სიცრუის გამოსააშკარავებლად. სპეციალისტებს წყაროში რადიოაქტიურ ელემენტებს აღმოაჩენინებდა და ამით სიცრუეც ცხადად დამტკიცდებოდა. არავითარი იდუმალი ღვთიური ძალა, როგორც ხევსურები ირწმუნებიან, მხოლოდ რადიოაქტიური ელემენტები და ამით ბასტა. ხევისბერი მხილებულია, მიწის კულტი — ჯადოახსნილი, სალოცავი — ამოცნობილი, ახსნა-განმარტება — მოცემული, სოციალური ჩაგვრა — გამოაშკარავებული. ერთი სიტყვით, ყველაფერი წესრიგშია.

თამაზი გაეცნო პროექტს. თითქოს გველმა უკბინათ, შეძრწუნდა. თავი შეიკავა, დადუმდა. მხოლოდ გაფითრებული სახე და მოკუმული ტუჩები ამხელდნენ შინაგან მღელვარებას, სვანეთში მრავლადაა სამკურნალო წყლები: სვანები იდუმალ ძალებს მიაწერენ მათ. თამაზს, ევროპულ კულტურასთანნაზიარებს, თავის მოდგმასთან დამაკავშირებელი ძაფი ჯერ არ გაწყვეტოდა. მას ჰქონდა ტომობრივი ინსტინქტი, გვარტომობის გრძნობა. მასში ცოცხლობდნენ ტომის ძირები. ტყუილად კი არ აირჩია ლიტერატურულ ფსევდონიმად „თამაზ ენგური", გარდა კეთილხმოვანებისა — ეს სისუსტე იყო მისი, — აქ სხვაც იყო მიზეზი, თამაზმა იცოდა: ქართველი ტომები იქიდან მოვიდნენ კავკასიაში, სადაც გილგამეშის ციკლოპური ეპოსი შეიქმნა. თამუზის ენებმა მოხიბლეს; ასე აირჩია მისი სახელის ქართული სახესხვაობა. „ენგური" მდინარეა სვანეთში, აქაფებული, უძრავ კლდეებს შორის მბორგავი, როგორც ხაფანგში მომწყვდეული ნადირი, მაგრამ მისთვის ენგური რომელიმე შუმერულის ან ქალდეველის სახელსაც ნიშნავდა ბუნდოვნად. ამაში ნამდვილი აღმოსავლელი იყო თამაზი — მხოლოდ ერთი შეკითხვა ეკარებოდა მის გულს: „საიდან?" ის ამაყობდა თავისი ტომით, წარმომავლობით. ორიათასშვიდასიდან სამიათასამდე წლის წინათ ვანის ტბის ნაპირებზე ქალდეველთა მძლავრი სახელმწიფო შეიქმნა. მისმა ერთმა მბრძანებელმა, არგიშთიმ, ტბის კლდოვან ნაპირებზე — აგრეთვე ურმიის ტბასთან — ლურსმულის მსგავსი წარწერები დატოვა. ისინი დღემდე ამოუცნობია. ამტკიცებენ, თითქოს სვანურის დახმარებით შესაძლებელი იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ამოკითხვა. სვანთა ტომობრივ ცნობიერებაში დღესაც ცოცხალია უძველესი სიტყვა „ბალდე". ენგურის ხეობაში კლდოვან ფერდობზე მდებარე ერთი პატარა სოფელი ამ სახელს ატარებს. თესლი და სისხლი — ამას ნიშნავდა თამაზისათვის გვარტომობა, მისი შეგინება ანდა შებღალვა მომაკვდინებელ შეურაცხყოფას ნიშნავდა. ხოლო სცენარის პროექტში ამას გრძნობდა სწორედ.

თამაზი იჯდა გულნატკენი და მოლუშული. ტუჩებს აღარ იკვნეტდა, ოღონდ წარბებს შორის ნაკეცი კიდევ უფრო ჩაღრმავებოდა. სახელოსნოში ბევრს კამათობდნენ ამ პროექტის შესახებ. თამაზი დუმდა, თავის ფიქრს თავისთვის ინახავდა. ისევ იფეთქა დისკუსიამ, მაშინ კი ხმადაბლა, თითქმის მალულად შენიშნა: რწმენის ახსნა სიცრუით შეუწყნარებელია; თვით მარქსის მიხედვით, ყოველი კულტი კანონზომიერად უნდა იყოს წარმოშობილი; შესაძლოა, ღვთისმსახური ტყუოდეს, მაგრამ რწმენასთან ამას საერთო არაფერი აქვს... უხერხულობა ჩამოვარდა, შეკრებილთ ლამის თავზარი დაეცათ. ერთი ახლად მოქცეული კომუნისტი გაწიწმატდა, თამაზს ლენინის სიტყვები მიახალა პირში: „რელიგია ხალხის ოპიუმია". როგორც ნეოფიტი, დარწმუნებული იყო ბოლშევიკური შემოქმედის ყოველი სიტყვის ჭეშმარიტებაში. თამაზი უჩვეულოდ ცივად მიაშტერდა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ამ მზერამ მთელს ტანში დამბლასავით დაუარა. დისკუსია გაგრძელდა. ახლა იმას ცდილობდნენ, მარქსის „კანონზომიერება" „ოპიუმთან" მოერიგებინათ. თამაზის პირდაპირ თავმჯდომარე იჯდა — ჭკვიანი, განათლებული ნეოფიტი. მან კარგად იცოდა, რა ელფერი დაჰკრავდა ლენინის სიტყვებს. მან ესეც იცოდა: საკითხი, ამგვარად დასმული, თამაზის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ამიტომ ხელოვნების სოციალური ამბავი ისტორიულად ამოაგდო კამათიდან. სხვა მოკამათეც დაეთანხმა: ფილმი ხომ ძირითადად ხევსურთათვის იქმნება, ხოლო ამ გზით მათი დარწმუნება ხევსურთა შესაძლო სიყალბეში მაინც არ მოხერხდებათ. ამგვარად, ისღა დარჩა გადასაწყვეტი, რაში გამოეყენებინათ სცენარის მასალა. მაშინ თამაზმა წინადადება შეიტანა ჩვეულებრივი კულტურფილმი გადაეღოთ. სპეციალისტებს უბრალოდ უნდა აღენიშნათ რადიოაქტიური წყაროს არსებობა, ხევსურები და სიყალბე კი არსად ეხსენებინათ. წინადადება მიიღეს, თუმცა განხილვა ამით დროებით დასრულდა.

მაგრამ თამაზისთვის საქმე ჯერ არ დამთავრებულიყო. გრძნობდა, დათმობაზე წავიდა; თან კიდევ აჯერებდა თავს, ვითომც ამ შუალედურ გზას გვერდს ვერ აუქცევდა. ტუჩებზე ღიმილი უჩნდებოდა, მწარე და დამცინავი. კარგი, ფიქრობდა იგი, ვთქვათ, ადგილის დედა რადიოაქტიურ ელემენტებს შეიცავს; მერე რა? ვითომ ამით იხსნება საიდუმლო? ამით აღმოიფხვრება ღვთიური ელემენტი მიწის წიაღიდან? ჰმ! ჩაიცინა თავისთვის. ტექნიკური პროგრესი უფრო აღრმავებს კოსმოსს: ახალი აღმოჩენები საიდუმლოს ახსნას კი არ გვაახლოებენ — გვაშორებენ. დავუშვათ, წყაროს რადიოაქტიური ზემოქმედების უნარი აქვს — განა ეს თავისთავად უკვე საიდუმლო არ არის? მალე ადამიანი სხვა პლანეტებს დაეკავშირდება; განა ეს გაარღვევს მეტაფიზიკურს? ყოველ მოვლენას აურასავით თან ახლავს იდუმალი საბურველი. თანამედროვე ფიზიკა მეტაფიზიკაში გადადის; და რაც უფრო მეტად იკვლევენ ელექტრონებს, მით უფრო მეტად რწმუნდებიან მათს არამატერიალურ ბუნებაში.

თამაზს გაეღიმა. კვლავ მწარედ და დამცინავად. გაახსენდა ფიქრი. არა, ბოლშევიკები აქ მხოლოდ ეკლესიებსა და ამერიკელებს სცობნიან. ესენი რაციონ, პაწაწინა გონებით ხსნიან საიდუმლოს და ცდილობენ ჯადო ახსნან სინამდვილეს. ორი ასტროლოგიური ნიშანი მართავს აწმყოს: მერკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მარსი. მერკური — ევროპა-ამერიკის რაცეო, მარსი კი ძალა ბოლშევიკური გაქანებისა, ფიქრობდა თამაზი. უეცრად შემთხვევა გაახსენდა. საქართველოს ერთ კუთხეში კომკავშირელებმა სასწაულმოქმედ ხატზე მიიტანეს იერიში. საყდარში შეცვივდნენ, ერთმა დაამტვრია წმინდანის ხატი და ცოფისაგან დაბრმავებული ფეხით ზედ შედგა. „აბა დამსაჯოს თქვენმა ყოვლისშემძლე ხატმა!“ სახეში მიაბალა უძრავად მიშტერებულ მდუმარე გლეხებს. ერთმა მოხუცმა გლეხმა დაარღვია სიჩუმე. წყნარად მიუგო: „მეტი რაღა გიყოს? უკვე გაუბედურებიხარ და ეგ არის“. თამაზს გაეცინა. მოხუცის გაურკვეველ ტონში, ჩანს, კიდევ მოქმედებდა თავისი მოდგმის გენია. მართლაც: ცხოველმყოფელმა ძალამ მარტო ნივთიერადაც კი უნდა მოიცვას ხისგან ნაკვეთი ხატი, თუკი ათასები და მრავალათასები საუკუნეების მანძილზე გულმხურვალედ ეთაყვანებიან მას. თამაზს სიხარულს გვრიდა მოხუცის სიტყვები. ოღონდ ვერ მშვიდდებოდა მაინც.

ერთი აზრი დაებადა: ზედმეტი ხომ არაფერი წამოსცდა კამათში? სიტყვასიტყვით გაიხსენა თავისი ნათქვამი, დაფიქრდა. ყოველ სიტყვას წონიდა. არა, ზედმეტი არაფერი უთქვამს. ესეც არ იყოს, თავმჯდომარემ თვითონ გამოითმა დისკუსიიდან [illegible] სივალის მოტივი. თამაზი ცოტათი დამშვიდდა, მაინც ვერ მოიშორა ფიქრი, ისე ის არ ასვენებდა, როგორ ილაპარაკა, თავისი აღშფოთება გაახსენდა, როგორ აჭერდა ტუჩებზე კბილებს; ფერიც დაკარგა ალბათ. ამას შეამჩნევდნენ, რა თქმა უნდა. ტონში უცებ „საიდუმლო მაგიდამ“ გაუელვა. ასეთ მაგიდა ყველა დაწესებულებაში არსებობს. ის უშუალოდ გპუ-ს უკავშირდება. აქ გროვდება ჩანაწერები ყველა თანამშრომელზე, თვით პასუხისმგებელ კომუნისტებსაც არ ინდობენ. ყველამ იცის, რომ მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებენ. მის ნათქვამ ყოველ სიტყვას ყურს უგდებენ. ვინ გითვალთვალებს, ვინ გაყურადებს — ეს არვინ იცის. მეთვალყურე უჩინარი და ყველგან მყოფი, ამიტომ უფრო საშიში. სოციალისტური კოლექტივი საჭიროს ხდის ასეთ იდუმალ თვალს. ღმერთი კვდება — მის ადგილს ეს თვალი იკავებს. მისი გავლენა ატმოსფერულია. მხოლოდ შინაგანი, თითქმის მისტიური მიმიკრიით იძენს ზოგიერთი [illegible] გრძნობას ამ ატმოსფეროში, რათა დაუსხლტეს თვალს. უბრალო ინსტინქტი იღვიძებს: საუბარი ისე მოჰყავთ, იქიდან გარკვეულს ვერაფერს გამოიტან; ქუჩაც ასეთივე. ხშირია ორაზროვანი იუმორიც — კარტების ასარევად. თამაზი ჩაფიქრდა: დღეს მისმა ტემპერამენტმა [illegible]. საიდუმლო მაგიდა კიდევ ერთი დასმენით გამდიდრდა. დიდი არაფერია, მაგრამ მაინც...

შესვენების დრო მოვიდა. თამაზი ეზოსკენ გაემართა. მზერა გაზეთის ბოლო ნომერს მოხვდა კედელზე. კედლის გაზეთი საიდუმლო მაგიდის პარალელური მოვლენაა; ანონიმების ნაცვლად აქ ფსევდონიმები იღვწიან. გაზეთი აგროვებს ჩანაწერებს, ოღონდ გასასაიდუმლოებლად კი არა, გამოსაქვეყნებლად. კედლის გაზეთი არის სოციალური ექსჰიბიცია. აქ ყველაფერი მოშველდება, ხან პირდაპირ, ხან შეფარვით, ქარაგმულად. ხშირია კარიკატურებიც. საიდუმლო მაგიდა, განაბული, თვალყურს ადევნებს ყველას. მალულად, უხილავად; კედლის გაზეთის მეშვეობით ერთმანეთს ადევნებენ თვალყურს, დაუფარავად, სილაღით. ორივე შემთხვევაში ინტიმური ისპობა. სამყაროს განღმერთება შინაგანი სამყაროს განადგურების ტოლფასია. საიდუმლო მაგიდა და კედლის გაზეთი ამ სამყაროს ორი მხრიდან უვლიან, ძალიან მოხერხებულად! თამაზი შედგა, კედლის გაზეთის კითხვა დაიწყო. ერთვან სათაური: „რჩეულები“. აქ ასეთი წინადადება შეხვდა: „მარადიული სიყვარული და მსგავსი რომანტიული სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულელები, მთვარეულთათვის დაგვილოცნია. პროლეტარიატს არ სჭირდება მთვარეულები. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ამას ლიტერატურულ განყოფილებაშიც შეიგნებდნენ", თამაზს საფეთქლებში სისხლი მოაწვა; მიხვდა, რომ აქტიური მას გულისხმობდა — ერთი კვირის წინ სწორედ ამ თემაზე ესაუბრებოდა ერთ ნაცნობს... კერძო საუბარში... მაგრამ ახლა ხომ აღარაფერი არსებობდა კერძო.

თამაზი ეზოში გავიდა. ვიწრობში მომწყვდეული დაჭრილი მგელივით გრძნობდა თავს. მაისის მზე გულუხვად აფრქვევდა თავის სხივებს. მზე არ იცნობდა საიდუმლო მაგიდას — მისი საიდუმლო სხვა იყო —, არც კედლის გაზეთს — სხვა იყო მისი გამომზეურებაც. თამაზს მდინარის შხუილი მოესმა, გაიხარა. ერთ ხესთან მივიდა, მის ჩრდილქვეშ შეაფარა თავი, ფოთლებს შორის თვალი ჰკიდა მზეს; ერთ წუთს მოეჩვენა, თითქოს მისი სხეული თვით მზეში გადადიოდა. სიხარული თავის, ძალთა მოზღვავება იგრძნო. უკან დაბრუნდა, ახლა უკვე მტკიცედ ადგამდა ნაბიჯებს, აღარ ჰგავდა დაჭრილ ნადირს. უკვე ხმაური და ყვირილი მოესმა. ლაგამგაწყვეტილი ცხენი დაქროდა ეზოში, შეშინებული ბიჭი თავს შველოდა. „ფრთხილად, ჩვენკენ მოდის", ყვიროდა ხალხი. მეეტლე დასდევდა ცხენს. ეტყობა, ეტლს დასხლტომოდა პორტფელი; თამაზი მისკენ გაექანა; ეს უმოძრაო, წელი ადამიანი ანაზდად თითქოს სხვად გარდაისახა. მიწაზე თოკი ეგდო, დასწვდა, ელვის სისწრაფით გამონასკვა მარყუჟი. ცხენი პირდაპირ მისკენ გამოქანდა, მაგრამ ვიღაცის დანახვაზე დაფრთხა, განზე გახტა. თამაზი გაედევნა, მარჯვე ნასროლით ლასო ყელზე ჩამოაცვა ცხენს. გაშინებული პირუტყვი ერთბაშად მკვეთრად შემობრუნდა. თამაზს თოკისთვის არ შეეშვა ხელი, ამიტომ ცხენმა გაიტაცა. „გაუშვი, გათრევს!" დაუყვირა ვიღაცამ ბრბოდან. ცხენი პატარა ხისკენ მიქროდა. თამაზი ელ-გველივით დაიკლაკნა. წამიერად [illegible] ხეს შემოეხვია. დაუმორჩილებელი, აჯანყებული ცხენი დაჭერილი იყო, თამაზი მაგრად ჩაბღაუჭებოდა გაწყვეტამდე დაჭიმულ თოკს. ბრბო ხმამაღალი შეძახილებით გარს შემოერტყა: „ყოჩაღ, ყოჩაღ!" იქვე იდგა ახალგაზრდა კომუნისტიც, ლენინის ციტატები რომ მოჰყავდა განხილვაზე. გაშტერებული უყურებდა თამაზს. ასეთი ველური და ძლიერი კაცი ჯერ არ ენახა; თითქოს ხეს აჩრჩობდა.

შეხვედრის შემდეგ თამაზი მშვიდად შებრუნდა თავის სამუშაო ოთახში, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი გაზეთს და ერთი ცნობა შენიშნა: სახელმოხვეჭილ მოსკოველ მწერლებს ერთი დიდი კომუნისტისთვის სამგლოვიარო დეპეშა გაეგზავნათ ვაჟის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. N-ი, შესანიშნავი პოეტი, იმხანად მოსკოვში არ ყოფილიყო და მხოლოდ მოგვიანებით გაიგო კოლექტიური დეპეშის შესახებ. იგი, დაგვიანებული, წერდა: „ვეთანხმები იმ გრძნობებს, რომლებიც ჩემმა ამხანაგებმა გამოხატეს. იმ დღის წინა საღამოს დიდ ხანს დაჟინებით ვფიქრობდი X-ზე, როგორც ხელოვანი — პირველად. დილით კი ცნობა წავიკითხე. ისე ვარ შეძრული, თითქოს პირადად განმეცადოს და მენახოს". თამაზმა გაზეთი გადადო. პირადად იცნობდა ამ პოეტს, დიდად აფასებდა მის ლირიკას. მის ლექსებში, მართალია, ჩვეულ რევოლუციურ საგნებს ხვდებოდა, მაგრამ ისინი ჰგავდნენ დასასრულის მისტიკურ წინათგრძნობასავით უფრო მოქმედებდნენ. კომუნისტები მას არც თვლიდნენ თავიანთ პოეტად. თამაზი გაკვირვებით მიაშტერდა სტრიქონებს. რამ უბიძგა ლირიკოსს ამ სიტყვებისკენ? ნუთუ შეეშინდა, რომ სხვა მწერლების გვარების ფონზე მისი არყოფნა თვალში საცემი იქნებოდა? კი მაგრამ, ამისათვის ხომ არავინ დასჯიდა, ყველა შემთხვევაში, ამას არავინ ჩაუთვლიდა უყურადღებობად. იქნებ სურდა ვინმესთვის ესიამოვნებინა? ესეც

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნაკლებად იყო საყვარელი: ამ განცხადებით შეეძლო უბედურ მდგომარეობაშიც კი ჩაეყენებინა პერსონაჟი. რამდენი მილება სურდა? სრულიად გამორიცხული: ამ მხრივ უმწიკვლო იყო. მაშ, რამ აიძულა ამის გაკეთება? თამაზი პასუხს ვერ პოულობდა, ერთხელ კიდევ წაიკითხა საგაზეთო ცნობა, პოეტის შინაგანი სიტყვა შეამოწმა: იგი მოკლე იყო, დახვეწილი, ლირიკული, წრფელიც? უთუოდ. და მაინც... თამაზი უფრო ჩაფიქრდა: რაღაც უცხო ძალა იგრძნობოდა, რომელსაც შეუმჩნევლად, მაგრამ ერთიანად განემსჭვალა პოეტის არსება. რა იყო ეს უცხო, თამაზს ვერ გაეგო. ეს თვით პოეტისთვისაც არ უნდა ყოფილიყო ნათელი. უეცრად თავისი დღევანდელი დათმობა გაახსენდა: ესეც იმ უცხოს შეიცავდა. თამაზი უჩვეულოდ მოიღუშა, პირში მწარე გემო იგრძნო.

მეორე დღეს ერთკვირიანი შვებულება მიიღო და კოჯორში გაემგზავრა ნატალთან.

II

## ᲛᲐᲠᲐᲓ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ

კაკლის ხის დიდი ფოთლები მძიმედ ეკიდა მზის მცხუნვარე სხივებში. ფოთოლი არ ირხეოდა, დროდადრო ჩამოვარდებოდა ერთი — უხმაუროდ, ნელა. გაღმიდან მდინარის ჩხრიალი ისმოდა. ხე მრავალ ასეულ წელიწადს ითვლიდა. მისი ტანი, სამი კაცი ძლივს რომ შემოაწვდენდა მკლავებს, მაგარი, დახეთქილი ქერქით იყო დაფარული. ხე მძლავრად იდგა თავისი ფართო, ბარაქიანი ჩრდილით.

კაკლის ძირში ხალიჩა გაეშალათ; ზედ ზანტად გაშხლართულიყო ქალი. თავი მწვანე ბალიშზე ედო. მის გვერდით, მეორე ბალიშზე, თამაზი წამოწოლილიყო. კითხულობდა. ქალის სხეული, სავსე და მწიფე, ახლადმოწყვეტილი ყურძნის მტევანივით იდო ხალიჩაზე. ძუძუები მზის სიუხვით ევსობოდა, ველურ ნესტოებს [illegible] გეში არხევდა.

ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, თითქოს ყველა ელემენტი თავის თავში ჩაკეტილიყოს შინაგან მწიფობას დაყურადებული. ქალიც თავის თავში ჩაძირულიყო და მცენარესავით თვლემდა. ოცნებებში ჩაკარგული საკუთარ სხეულს ველარც კი გრძნობდა. ბალიშზე მისი თმები ეყარა. ძლივს ასხვავებდა მზის სხივებისგან, ფოთლებში რომ ატანდა: მზისფერი თმა ჰქონდა. თვალები ცის სილურჯეს უცქეროდნენ — ამ სილურჯის დაფანტული წვეთები, ქალის ყურთასმენას თითქო ენაპირო შორეთიდან წყაროს ჩუხჩუხი სწვდებოდა — თვითონაც უკვდავების წყარო იყო. მიწიდან ერთად ისიც მზეს ეძლეოდა, შემწვარ ძალას უერთდებოდა. ზღვის ტალღებში მსუნთქავ მედუზასავით ყვინთავდა კოსმოსურ დინებებში. მისთვის უკვე შემდეგ დრო არ გასულა: ის ჯერ კიდევ ძველი ევა იყო — პირველქმნილი. პირველქმნილი ხომ ღმერთის ნაწილი უნდა იყოს. ქალი იცოდა, მისი ყველა გრძნობა ერთდროულად მოქმედებდა, თითქმის მისგან დამოუკიდებლად. მის ზმანებებში ნისლოვანი ფორმებივით დაცურავდნენ თამაზის სიტყვები, მისი ნათქვამი აგონდებოდა:

შესაქმის ამბავში გამოცანაა სიტყვა „ელოჰიმ", ებრაულად ის ნიშნავს „ღმერთებს". რატომ? რატომ ამბობენ ღმერთს და უნდა გაიგონ ღმერთები? მოსეს წარმოდგენაში, რა თქმა უნდა, ერთ ღმერთს ეხება საქმე. მაგრამ ის ბუნდოვნად გრძნობს, რომ სიცოცხლის სისავსეს ვერავინ, თვით ღმერთიც კი ვერ მოიცავს, თუკი ღმერთი, ყველაფრისგან გარიდებული, თავის ერთიანობაში მოიაზრება. ჩაკეტილ მონადაში მხოლოდ წყვდიადი და სიმშვიდეა. ამიტომ შესაქმე ფართოდ უშვებს გაურკვეველ სიმრავლეს ღვთაების წიაღში, პირველ რიგში სამყაროს მიხედვით. ცოცხალ-მყოფობისათვის სხვა არის საჭირო. ღმერთის სჭირდება სხვა. ის ერთ მზერას მოავლებს უცნობ სფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვეს და სამყარო წარმოიშობა. აქ უეცრად ეხდება ფარდა შესაქმის მესამე თავის შებურულ აზრს: „უფალმა ბრძანა, ადამი ჩვენებრი შეიქნაო". ვინ იყო იქ, როცა ღმერთმა „ჩვენ" თქვა? თავად ღმერთად ქცეულ ქალებს ამის შეცნობა მხოლოდ — მასაც მხოლოდ ბუნდოვნად.

ქალს მოაგონდა, რომ ამ სიტყვებზე თამაზი გაფითრდა, თითქოს იდუმალ ზღურბლს შეეხო. გაიხსენა, მისი ფიქრები ვერ მისწვდებოდნენ დაფარულ საიდუმლოს. ნახევრად წამოიმართა და მიმოიხედა. შუაში უცნაური წაბლის ხე იდგა. ერთი ტოტი დაბლა დაშვებულიყო, წვერით ისევ მიწაში ჩაზრდილიყო და იქ მეორე ხისთვის მიეცა დასაბამი. ტოტი მკლავის სიმსხო ჰიპლარივით აკავშირებდა ორ ხეს.

ქალი მიაშტერდა ხეს, ჯერ ერთს, მერე მეორეს. „ელოჰიმ", გაიფიქრა განცვიფრებულმა. მეორე ხე ხომ პირველის გაგრძელება იყო მხოლოდ — და მაინც სხვა. გადაჭრილი ტოტი და სიცარიელე წარმოიშობა. ახლა ორივე თუმცა ერთია, მაინც გაყოფილია ერთმანეთისგან. „აქ არის ელოჰიმ, ამ ტყუპ ხეში", გაიფიქრა ქალმა. მაგრამ მთლად ჯერ ვერ ამოხსნა საიდუმლო. იცოდა მხოლოდ: ეს მიწა, ეს მზე, ეს ცა, ეს კაკლის ხე, იგი თვითონ, გვერდით მწოლი თამაზი, ის მთა, ჰორიზონტზე მოფარფატე ფრინველი — ყველანი ერთნი არიან დასაბამიდან და ერთი გამოუცნობი შუაგულიდან შორდებიან ერთმანეთს.

ქალმა მოიხედა, ანკარა წყაროს ჩუხჩუხი ესმოდა სიჩუმეს. კვლავ თავის თავში ჩაიძირა ქალი: რაღაცას, შორიდან მომავალს, მიუგდო ყური. მისი სხეული ნეტარებით იყო ავსილი, ათიათასობით წლის ტალღების ხმაური რომ ისმოდა. იგი ერთი წამი იყო, ასწლეულებით დატვირთული. მას აღარ ახსოვდა, რა მოხდა გუშინ, რა იყო შარშან. აღარ ახსოვდა სიყვარულის განცდები. მაგრამ მისი არსების სიღრმეში ვიღაც რაღაცას იხსენებდა. ეს იყო ევას მოგონება, პირველი ქალის, რომლის გრძნობები ბრმა პლაზმის ნათელხილვა იყო ამ წამს. მძიმედ გაიზმორა, თითქოს მისი სხეულის ნაწილებში ევას ძვლები ამოძრავდნენ. ის სხვა ხეს მიაცქერდა — ტანმაღალ მუხას, ძველი — ბიბლიური — ხის სურათი გაცოცხლდა:

...ხე ცნობადისა, რომლის ნაყოფის ჭამა აკრძალულია. ადამიანს თავისუფალი არჩევანი ეძლეოდა, სამყაროში რაღაც ღვთაებრივი იყო შთაბერილი: ქმნილებათა თავისუფლება, სიტყვიერება. პირველი ადამიანები ხის ნაყოფს შეექცნენ. მაგრამ დახე: როცა აკრძალული იგემეს, იწყეს შობა, ანუ ღმერთივით „სხვების" შექმნა, განა მაცდური მართალი არ იყო? გარკვეულ სახით პირველ ადამიანებს წილი ჰქონდათ ღვთაებრივში.

სულ უფრო მეტს ფიქრობდა, თავი რომ მოატრიალა, მზერა კვლავ იმ წაბლის ხეს მოხვდა, რომელსაც თავისი ტოტიდან მეორე ხე ეშვა. ღმერთი შობს და ხე შობს, ფიქრობდა ის. ადამიანიც შობს, დარწმუნებით გრძნობდა ის, იქნებ მასაც აქვს წილი ხესთან, ღმერთთან. როცა ფიქრით მაცდურს ახე ეფერებოდა, სხეულში ძრწანტელი უვლიდა, თითქოს რაღაც ტკბილი და მწველი მსჭვალავდა. ფერი დაკარგა ის იყო, კვლავ ფიქრებს უნდა გაჰყოლოდა, უეცრად ველის ბუჩქიდან შრიალი მოისმა. გონს მოეგო, მოიხედა: თამაზი წამომდგარიყო, ხელში ქვა ეჭირა და რაღაცას უმიზნებდა.

„არ მოკლა!" იყვირა ქალმა.

„რა არ მოვკლა?" ჰკითხა თამაზმა გაკვირვებით. ქვა უკვე ესროლა.

„გველი!" მიუგო ქალმა, ფერდაკარგულმა.

„საიდან იცი, რომ გველი იყო?"

„ასე მომეჩვენა..." ლოყები კვლავ აეწითლდა.

სხვა ვინმეს შეძახილი „არ მოკლა!" გააოცებდა, მაგრამ თამაზი სხვანი იყო. მის სახლში გველისთვის საბუდარი იყო მოწყობილი. მას რძეს აჭმევდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოდნენ და თავიანს სცემდნენ, თამაზს არ გაკვირვებია, მას მხოლოდ დაავიწყდა, რომ ეს ქალი სვანთა ტომს არ ეკუთვნოდა, ისიც დაბინდული იყო მზისგან. თითქოს გველის ხსენებამ ფიქრები აღუძრა, თავისთვის ჩაიჩურჩულა:

„ეს არ იყო გველი, ხვლიკი იყო..."

შემდეგ კვლავ წამოწვა და წიგნის კითხვა განაგრძო.

ქალს შერცხვა, თითქოს რაღაც საიდუმლო გასცა. კვლავ ბალიშზე დადო თავი და ხელმეორედ ჩაიძირა ზმანებათა ნისლში. სასო ჩაკბეჩილი ნაყოფის გემოს გრძნობდა, აკრძალულისას. სიტკბომ აავსო მთელი სხეული. მისი ყველა უჯრედი, უცხო გრძნობით ანთებული, თვრებოდა: რაც უფრო ტკბილი იყო გრძნობა, მით უფრო თვრებოდა. ქვეცნობიერში ჩაეშვა, რაღაც აღელდა, აღეგზნო მასში — ბრმა და ყრუ ეროტიული. ის ღრმად ჩაძირულიყო. საზღვრები აღარ არსებობდა, რადგან ყოველი საგანი მეორეში გადადიოდა. ის აღარაფერს ხედავდა. ყველგან წყვდიადი; მხოლოდღა ინსტინქტი; მხოლოდღა ბნელი ნდომა დაუბადებელი ნაყოფისა. იგი უფორმო ელემენტებად იშლებოდა. ერთიღა რჩებოდა: გველი — ცივსისხლიანი, მოხავი, წებოვანი. მისი მოშტერებული, მკვლელის თვალები ხვრეტდნენ სიბნელეს. ქალს უცხო ალი ეკიდებოდა: ეშინოდა ამ ალის, თან მოჯადოებული იყო მისგან. გველი სულ უფრო უახლოვდებოდა ოცნებებში ჩაძირულს. ქალის სხეული თრთოდა. ამ თრთოლაში ერთ ხანს უსასრულო სიტკბოება იგრძნობოდა — მისი დაშრეტა თვითონ სიკვდილი იქნებოდა.

თამაზმა წიგნი გადადო და ქალს შეხედა. ახლა წუთებში გრძნობდა, რომ მათ შორის უცნაური ატმოსფერო იქმნებოდა. ახლა დროის ქალის სისხლის ჩქეფას გრძნობდა, მის მაჯისცემას. სიტყვები ზედმეტი იყო, უთქმელი იყო ალღო. კაცი თავისი სისხლით გრძნობდა, რომ ქალის ფიქრები გველით იყო დაკავებული. თვითონაც ხვდა, ამ აზრებს დაემორჩილა. ადამი და ევა არ მოუტყუებია გველს, გაიფიქრა კვლავ. ღმერთის სიცოცხლისთვის სხვა სჭიროდებოდა — და შექმნა იგი. პირველმა ადამიანებმა იგემეს იდუმალი ნაყოფი, იწვნეს შობა და ამით ღმერთთან შეიქმნენ წილნაყარი. ღვთიური თესლი, იგი ცოცხლია. თესლი საშომ უნდა მიიღოს, ბნელმა. თესლის ცოცხალი შემქმნელია — მაგრამ ამ შექმნისას მცირდება ღმერთი, როგორც მცირდება მთვარე: ქმნილებას გაქრობა ემუქრება, მისი ხვედრი სიკვდილია. ეს გველმა პირველ ადამიანებს დაუმალა, რადგან თვითონ არის სიკვდილის მატარებელი. მისი ფოსფორისებური მზერა სიკვდილს აფრქვევს. ამ მზერაში სიბნელეა თვითონ. ეს მზერა ძრწოლას იწვევს ადამიანში. იგი გაუსაძლისია, რადგან წარმავალის ხედვაა, არარას სუნთქვა.

ფიქრებში თამაზი იდუმალ ზღურბლს შეეხო და შეკრთა. ქალის წამოძახილს „არ მოკლა!" ახლა უცნაური მნიშვნელობით აღიქვამდა. თვითონ ქალი ხომ არ იფარავდა გველის ელემენტს საკუთარ თავში? რატომ ამ შეკითხვამ გაუელვა. იქვე მეორე შეკითხვა გაჩნდა: ვის უფრო უნდა შინებოდა გველისა — დედაკაცს თუ მამაკაცს? უეჭველად მამაკაცს, ფიქრობდა იგი. თუმცა აქ გაუწყდა ფიქრი. მზისგან გავარვარებულ ნაძნაკებს გადახედა. შემდეგ კრძალვით მიაშტერა მზერა ქალს. ის მზის სივრცეში ყვინთავდა.

თამაზს უყვარდა ეს ქალი, როგორც შეუძლია უყვარდეს კაცს, რომელიც მზიურია, ოღონდ მარსისგან მართული. ეს ქალი მხოლოდ ვნება როდი იყო მისი კაცობის, ის იყო მისი ყოფნის გამართლება. ის ქალღმერთი იყო მისთვის — ეს არ იყო მეტაფორა — და ყოველი წამი მისი სიყვარულისა საკულტო მსახურება იყო. მხოლოდ ომისა და მომდევნო გარდაქმნის შემდეგ დაცემა იგრძნობა. ნუთუ სიყვარულიც ამოიძირკვება? არა, თამაზს სჯეროდა თავისი სიყვარულისა. ქალს უუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა იგი. მაგრამ მათი სიყვარულის უკან რაღაც გაურკვეველი იმალებოდა. მისი სხვაგვარად ყოფნა წარმოუდგენელი იყო თამაზისთვის. სიყვარული იზრდებოდა, თუმცა ბნელი დარდი აწვებოდა. იგი აწამებდა ქალს ათასგვარი შეკითხვებით, ყველაფრის ამომწურავად გაგება სურდა. მაგრამ ეს შეკითხვები მხოლოდ აბნევდა ქალს, რადგან საკუთარ არსებას არ იცნობდა. ერთხელ კაცის ამბორებზე გაეცინა: რაღაც დამცინავი იყო მის სიცილში, ეს სიცილი გაშინარა. განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო ეს სიცილი მისთვის, როცა ერთხელ მამაკაცური სისუსტე გამოიჩინა. დედაკაცი პირდაპირ გადაშეშდა ამ სიცილმა. ჩუმად, თითქმის შეუმჩნევლად ჩამოხსნა საბურველი თავის სქესობრივ სულს, თითქოს ამასთან ერთად ჩურჩულებდა: მე მზად ვარ, მაგრამ შენ, მამაკაცო, ბოლომდე დამეუფლები? სიყვარულის შემდეგ თამაზს ამ კითხვაზე უნდა ეპასუხა: არა, რადგან მისთვის ცნობილი გახდა, რომ ყოველი ქალი კოსმიურად უფრო ძლიერია, ვიდრე კაცი. თამაზს უცებ თვალწინ დაუდგა ჯოკონდა და მისი ეშმაკურ-იდუმალი ან სულაც დამცინავი დედაკაცური ღიმილი.

რაღაც სირცხვილის მსგავსი ამოძრავდა მასში. მაგრამ ქალს არაფრისა შერცხვენია. კაცი საშინელმა შიშმა შეიპყრო, სიღრმეებში უძლურების წინათგრძნობამ. ხმა არ ამოუღია, მაგრამ ქალმა მაინც განჭვრიტა იგი.

თამაზი ადგა და აუჩქარებლად მოეახლოვდა.

„გინდა, რამე ახალი წაგიკითხო?" ჰკითხა მან.

„ჰო, გთხოვ", მიუგო ქალმა, თითქოს მწველი წყურვილის მოკვლა უნდოდა.

თამაზმა დაიწყო კითხვა.

წიგნი მეტად ცოცხლად იყო დაწერილი. ყოველი ცოცხლი მეტად ლექსს შეცავდა. თამაზს ალბათ შთაგონების სუბიექტ-ობიექტური სიღრმე მინიშნებობის სჯეროდა. ყოველი ლექსი, ისე როგორც ყოველი ცოცხლი, ბუნებრივად მთლიანობა იყო და იმავე დროს მთელის ნაწილი. ლექსებიდან განდევნილი იყო ცერემონიალი რითმა, რადგან პოეტური სიმართლე რითმებში არ უნდა გამომჟღავნებულიყო, სხვაგვარად უნდა გამოცხადებულიყო — ვითარცა შინაგანი სიტყვა. რიტმი არავითარ ზომაში არ იყო ჩაჭედილი, თავისუფლად მოედინებოდა. სიტყვა ელემენტარული იყო, პირველყოფილი, ჰქონდა ფერი, სურნელი, ხმა მეტალის. ყველაფერში პირველქმნილის სუნთქვა. მეტაფორა არ იყო ლამაზი შედარება: ის საგნების სიღრმისეულ ძარღვს ამცნობდა. ყოველი სურათი უძველესი ისტორიის სურნელით იყო ცარუმოსილი, თითქოს გილგამეშის დაკარგული ნაწილები ეპოვნათ. აქ იყო ქალის სიყვარული — ცოცხალი და თანაც მითიური ქალისა, როგორც იზიდის სიყვარული, ოღონდ უშუალო სინამდვილით.

ერთი სახე ამოტივტივდა:

..ერთიმეორეზე მერცხალი, რომელიც ბრუნდება...

„რა მშვენიერია იმის დანახვა, როგორ ბრუნდება მერცხალი თავის ძველ ბუდეში. მე ვიცნობდი ერთ მოხუცს, რომელსაც ასეთი მერცხლის გამოცნობა შეეძლო. ის ელაპარაკებოდა ფრინველს".

დუმილი, თამაზი მოჯადოებული შესცქეროდა ქალს. კითხვა განაგრძო. ახალი სახეები წამოვიდა:

..შუადღის ძროხა ნაპირთან. ცვარი ჯერ კიდევ ასველებს ბალახს, ნისლი მიცურავს მდინარეზე — შუადღის ძროხის სუნთქვა. ძროხები თავს წყალსაენ ხრიან: თეთრები, რუხები, შავები, ჭრელები, ჭროლები, ყავისფრები. ხარბად ხვრეპენ წყალს. ერთი თავს მაღლა სწევს და უკანასკნელ ყლუპს აყუთებს. თუ ზეცას უყურებს? შემდეგ მეორე სწევს თავს, მესამე, მეოთხე, ყველა. ძროხები — შუადღის ძროხა — მეტაფიზიკურ ზეცას უყურებენ, რომელიც თანდათან ნათდება. ძროხები მზის მოახლოებას გრძნობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა მშვენიერია!" თქვა ქალმა, „ბევრჯერ მინახავს ასეთი სურათი. არ ვიცი, რა უფრო თავბრუდამხვევია — ძროხების ცივი წყლით სავსე დამშები თუ ამომავალი მზის სხივებით სავსე მათი დიდი თვალები".

სიჩუმე. თამაზი მოჯადოებული შესცქეროდა ქალს. კითხვა განაგრძო.

„ცხენი ისე მიაქროლებდა ქალს, როგორც ირემი გადაიწყობს რქებს სირბილისას, რათა დაჯახებისაგან დაიცვას.

„ერთხელ ვნახე ასე მორბენალი ირემი", თქვა ქალმა, „რა საოცარი რამ იყო".

დუმილი. თამაზი მოჯადოებული შესცქეროდა ქალს. კითხვა განაგრძო. სხვა სახეები წამოვიდა:

„მთის წვერზე ცის თაღი მოჩანს, ღამეული რუხი. სულ ახალი ნარიგრაყევი და მკრთალად განათებული. ფეხქვეშ გართხმული ნისლი ნელ-ნელა ქრება. მორევეში ნარინჯისფერი ელვარება ძოწისფერში გადადის. უეცრად იბოჰა გაბრწყინებული მორევი და ჩნდება მრგვალი სისხლიანი გული. გული ირწევა, დედამიწა მასთან ერთად ტორტმანებს. ისეთი გრძნობაა, თითქოს ყველაფერი იღუპება. ჟრჟოლა, და ანაზდად: გულში, შენს გულში, სხვა იბადება — ახალი, ჯერ გამოუცდელი, უცნობი სიხარული. მზის გული აღარ ქანაობს და შენი გული მშვიდდება...

„ასეთი გული შენ გაქვს", უთხრა ქალმა თამაზს. კაცი ბედნიერი იყო.

ლექსებში ქალი თავის თავს სჭვრეტდა, მაგრამ ის ქალი უცხო და შორეული არსებაც იყო მისთვის. ეს ის უცნაური შეგრძნება იყო, როცა საკუთარი თავი სხვად გეცხადება და მაინც როგორღაც ახლობლად. ის თავის თავს გრძნობდა ამ ლექსებში, მაგრამ ისე, როგორც საკუთარ დას. წიგნი ქმნიდა ელემენტს, რომელიც თითქოს ჯადოსნურად აბრიალებდა მისი ბედის ბორბალს. ქალი გრძნობდა ამას.

თამაზი სიხარულით ავსებულიყო.

„ერთხელ კიდევ წაიკითხე ის ადგილი მზის შესახებ". [illegible] ქალმა ცოტა ხნის შემდეგ. თამაზმა წაიკითხა, რბილად, მოგუდული ხმით. როცა დაამთავრა, ქალმა იდუმალად და ჩუმად იკითხა: „ნეტავი, რომელიც ვშვი, მზე იყო?"

„შენ ეგვიპტელი ქალღმერთის ნეითის სიტყვა გაგახსენდა?" გაოცებით იკითხა თამაზმა.

„უეცრად მომაგონდა, რა ეწერა მისი ქანდაკების კვარცხლბეკზე საისში?"

„მე ვარ ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება. არავის აეხდია ჩემი საბურველი. ნაყოფი, რომელიც მე ვშვი, მზე იყო".

„რას უნდა ნიშნავდეს აქ საბურველის ახდა?"

„ადამის მიერ დედაკაცის შეცნობას. ნეითის საბურველი რომ არავის აეხდია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ჯერ არავის კუთვნებია — არც კაცს, არც ღმერთს".

„მაგრამ ლეგენდის მიხედვით ნეითი ხომ ავხორცი იყო?" იკითხა გაოცებულმა ქალმა.

„სწორედ ეგ არის საიდუმლო", უპასუხა თამაზმა, „ნეითი ნებდებოდა და მაინც ხელშეუხებელი რჩებოდა".

„ეს გამოცანაა ჩემთვის", წაილუღლუღა ქალმა.

„კაცი მხოლოდ ზედაპირს ეხება ქალისას, ამიტომ..."

„...ნეითი ხელუხლებელი დარჩა", დაამატა ქალმა.

„სწორედაც".

ხშირად ელაპარაკა თამაზს მასთან, მაგრამ ასე ნათლად ჯერ არასოდეს. ქალს თითქოს არ ესმოდა მისი ნათქვამი. როცა ქვეშეცნეულში იძირებოდა, მაშინ ბრმა ხედვა მის არსებაში რაღაც სიზმარეულს ეხებოდა, რომელიც ნათელს ჰფენდა ამ საიდუმლოს. ამ მდგომარეობიდან ამოყვინთვისას იკარგებოდა ეს შეხება, თუმცა სავსებით არა: ბუნდოვანი შეგრძნება ახლა სადღაც მის შიგნით არსებობდა უცხო ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო, რომლის სურნელი აბრუებდა.

„მაგრამ რას ნიშნავს წინადადება: ნაყოფი, რომელიც მე ვჭამე, მზე იყო", ჩურჩულით იკითხა მან.

„არ ვიცი", კიდევ უფრო ნაზად უპასუხა თამაზმა.

დუმილი ჩამოწვა. ვერც ერთი ვერ ბედავდა სიტყვის თქმას. თამაზი ჩუმად გამოიპარა და ისევ თავის ხალიჩაზე წამოწვა.

მზის სხივები ფოთლებზე იდო. მათი სიმშვიდე უფრო გაღრმავდა. ჩქამი არ ისმოდა. არც ერთი ფოთოლი აღარ ვარდებოდა ძირს, წყაროს ჩუხჩუხიც თითქოს შეწყდა. მზე ბრიალებდა, თითქოს სურდა დაეფერფლა აღმოდებული გული. ჰაერს საშიში წინათგრძნობა ავსებდა. „ნაყოფი, რომელიც მე ვჭამე, მზე იყო". ეს მზე იყო, ნეტავ რომ შეჭამა? მცხუნვარე ნაყოფი? ეს ცოცხლოვანი ნაყოფი? — ეკითხებოდა თამაზი საკუთარ თავს, თითქოს მისი ბედი ამ კითხვაში მდგომარეობდა. ვერ იპოვა პასუხი. მზემ დაადამბლავა, გათანგა, და ახლა მზისგან დაკბენილივით იწვა. „ნაყოფი, რომელიც მე ვჭამე, მზე იყო". ეს ნათქვამი ქალსაც ტანჯავდა. მაგრამ ის არ ეძებდა პასუხს; ის მზეში გადადიოდა. მზე იწოვდა მას, სვამდა, ისრუტავდა. ის ნებდებოდა და ნეტარებით ეძლეოდა მზის სისხლიან ბაგეებს.

რაც ათასობით წლების წინ მოხდა, ამ წუთებში მეორდებოდა. ღვთიური ელემენტი წიაღს ეძებდა. ბნელს. ბნელი წიაღი განაბული ელოდა თესლს. ცოცხლოვანს. მონატრებული თესლი და დამყოლი საშო; მარადიული კაცი და მარადიული ქალი. ყველგან: მცენარეში, ფრინველში, ცხოველში. სამტვრე პარკები მტვერს გამოყოფდნენ, იგი უფრო შორს გადაჰქონდათ. ბუტკო იღებდა მტვერს და თავის შიგნით ინახავდა. სამტვრე პარკები ასხივებდა. ბუტკო ისრუტავდა. ყველგან: მამაკაცური და დედაკაცური ელემენტი. იგი გრძელდებოდა შექმნის ათასწლეულების წინათ დაწყებულ სურნელში. თესლი — ღვთაებრივად მოუსვენარი, წიაღი — მიწიერად მშვიდი. თესლი — თავისთავად თუ თავისით მოძრავი, წიაღი — განაბული, უძრავი. ორივე ბრმა და მხედველი: თესლის თვალი — ნდომა, წიაღის თვალი — მოსინჯვა. თესლი — ცოცხლოვანი აღმაფრენა, წიაღი — ყველა გრძნობის მოკრებით გალესვა. მამაკაცი — ჩქარი, აგზნებული; დედაკაცი — ზანტი, წამქეზებელი. ყველგან ბობოქრობდა, ფაშატი ჭიხვინებდა, მზე თესლს ასხივებდა, დედამიწა შიშველდებოდა. ღვთაებრივი ხდებოდა.

ქალმა ჩაყვინთა მზის ცხელ წიაღში. სათითაო გრძნობა ჩამქრალი იყო, ყველა გრძნობა ერთად მოქმედებდა, ქალის არსება ერთადერთი გრძნობა იყო: ის იყო ფაქიზი მემბრანა უნატიფეს დინებათა. მემბრანა იყო: ხედვა უთვალოდ, შეხება უხელოდ, ეს ქალი აღარ იყო ერთი დედაკაცი, იგი ის დედაკაცი იყო, მისი ძუძუები უთავდავიწყებლესს გრძნობდნენ, რომლისთვისაც იგი იყო წიაღი — ბნელი, განაბული წიაღი. მთელი მისი სხეული სველი პლაზმა იყო, ღვთიური ნაყოფის მისაღებად გამზადებული, თვალებში აეზვა, ტანი გაენაბა.

თამაზი მზედაკრულივით დადამბლავებული იწვა. უეცრად ქალმა თვალი შეავლო. თამაზი შეკრთა. ეს ის წამი იყო, როცა მიქელანჯელოს ადამი ეხსნება, როცა მას, გათანგულს, ღვთიური ხელი ეალერსება. თამაზმა შეხედა ქალს და გაოცდა: ეს არ იყო მისი თვალები, ეს უცხოს თვალები იყო, ბნელი, ხარბი, სასტიკი. იგი შიშმა მოიცვა: ქალი თითქოს სხვა იყო, შიშნარევი გაკვირვება განიცადა: ქალში მთელი სქესი ცოცხლობდა. ის იყო ნაწილი, ნაწილი კოსმიური წიაღისა; მაგრამ ამ ნაწილში მარად იგივე წიაღი მეორდებოდა, ქალი მეტი იყო, ვიდრე კერძო არსება და ამიტომ უფრო უკვდავი... თამაზს გააჟრჟოლა. ახლა მიხვდა, რატომ ახლდა მის სიყვარულს შიში, უძირო სევდა. ის, კაცი, მხოლოდ თესლი იყო,

მარცვალივით განმხოლოებული — მხოლოდ პიროვნება და, როგორც ასეთი, წინასწარვე განწირული. დედაკაცი მიწიერში, მარადიულში იმყოფებოდა, იგი არ იცნობდა ამ სევდას, მისი არსება ლოდინი იყო, ცეცხლოვანი სურვილით სავსე...

ქალმა ერთხელ კიდევ შეხედა კაცს, კაცი დაბარბაცდა: ქალის მზერაში წამით ამორძალი შეამჩნია, რომელიც მზად არის თავის რჩეულს ვნებიანი გარდაცემით მოჰკვეთოს თავი... ძრწოლამ შეიპყრო კაცი... უკანასკნელი საიდუმლო შეიცნობა, თესლი ღვთიური ძალაა, მაგრამ შექმნისას ღმერთი მცირდება, როგორც მცხრალი მთვარე. თესლი ღვთიური სისავსისაკენ ილტვის, — მაგრამ ძალები ღალატობენ: თესლი იღუპება და სიკვდილს ისუნთქავს. წიაღი იმღვრევა და ბობოქრობს, კაცური ცეცხლი იფერფლება. ქალი იტანჯება და სიცარიელეს გრძნობს. ბრაზი იზრდება და ქალი — გაცოფებული, ბობოქარი, გახელებული მენადა — კლავს კაცს, რათა მეორე წუთს მის თავს ემთხვიოს.

კაცმა შეხედა ქალს. იგი წამომართულიყო. ველური ნესტოებით ისრუტავდა მორევულ სიგრილეს. ის იყო ძე, მიწისა და მიწის სუნთქვის შეკრული ძალა. კაცი უძრავად იდგა. კვლავ სტანჯავდა ნეიოის ნათქვამი: „ნაყოფი, რომელიც მე ვჭამე, მზე იყო..." როგორ? ღვთიური სხივი მოხვდა მეორეს, ბნელს, გაურკვეველს, წიაღს, დედაკაცს. ამით დაიწყო ღმერთის ცხოვრება. მაგრამ ღვთიურს უნდა შეეწირა თავისი ძალის ნაწილი. სიბნელიდან სინათლე წარმოიშვა, წიაღმა შვა მზე. გველს არ შეუცდენია პირველი ადამიანები. „თუ ამ ხის ნაყოფს იგემებთ, იქნებით, როგორც ღმერთები". ევამ იგემა, ადამმა იგემა — და იყო დაბადება და ღვთიური საქციელი. შექმნის საიდუმლომ აუციმციმა თვალი. და განა ეს თვალი მზე არ არის? თამაზი უცებ მიხვდა, რომ ქართული „მზე" „მზერიდან" არის ნაწარმოები. მზე ანათებდა როგორც მზერა, როგორც სამყაროს მზერა — შექმნის საიდუმლოს ცეცხლოვანი ნაყოფი. დიახ, დედაკაცმა, პირველმა დედაკაცმა შვა ეს ნაყოფი, სისხლით სავსე გული, შედედებული მზე. ეს იყო ის, რასაც ეგვიპტელი ქალღმერთის გამოცხადება ნიშნავდა. და ეს ცოდნა ახლა ამ ქალშიც იყო: მის არსებაში ღვიოდა მზე ვითარცა ნაყოფი.

თამაზმა ჩრდილიდან მზიურ ველებს გადახედა. სხივები მარცვლებივით ელვარებდნენ. ხიდან დიდი, ყვითელი, ძალზე დაღარული ფოთოლი ჩამოვარდა მიწაზე: მზის სხივები ჩამოიტანა თან. სიჩუმეში იყო განაბვა. ახლომახლო კვლავ მოისმა ანკარა წყაროს ჩუხჩუხი: მისი რაკრაკი მიწის განაყოფიერების უთვალავ წამს აღრიცხავდა.

თამაზი ყველაფერს მიეშვა. ახლა მხოლოდღა კაცი იყო: მიქელანჯელოს ადამში უცნობმა ძალამ გაიღვიძა. შეხედა მზეს და იგრძნო: თვითონაც ნაწილი იყო მზისა. ამ გრძნობაში ჩაიძირა: მიხვდა, რომ ეს ნაყოფი ღვთიური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, ხორციელი ცხოვრების ნეტარებამ მოიცვა. მორეულ ადამიანის შეგრძნობით.

ქალი წამომდგარიყო და მზეზე მიყრდნობოდა, თითქოს მის ახალგაზრდა ტანს ზესთან შეზრდა სურდა. ახალი გრძნობით აღიქვამდა ხის ნელ ზრდას. ის იყო მოლოდინი გახსნილი ყვავილის ჟამისა, რომელიც მზად არის ღვთის მზის სხივების მისაღებად. მისი მაგარი ძარღვები ხის ქერქს ეხებოდა. ნელა სუნთქავდა: მკერდი სურვილით ევსებოდა. დაბურული თვალები ველარაფერს ხედავდნენ.

თამაზი ჩაიკარგა წარსულში, თავისი სიყმაწვილე გაიხსენა.. ბავშვობით ან მდინარეზე იყო ან მინდორში სხვა ბავშვებთან ერთად. აქ იყვნენ ხარები, ძროხები, ცხენები და სხვა პირუტყვი. ყველას თავისი სახელი ჰქონდა — ბავშვებსაც, პირუტყვსაც. ბავშვები ცურავდნენ და პირუტყვსაც აცურავებდნენ. თამაშობდნენ და ხარობდნენ. ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები ბობოქრობდნენ, ძროხები ისევ ცოხნიდნენ, შორს ცხენების ჭიხვინი მოისმოდა. ბავშვები ტიტვლები იყვნენ, ხშირად სველ ქვიშაში ეფლობოდნენ და ცხელ ლოდზე წვებოდნენ. ხანდახან დაჭრილებიც იყრიდნენ მშრალ ქვიშას. თამაზი მათთან ერთად იწვა გაჭიმული. მზით გაბრუებულს ერთხელ ჩასთვლიმა. სხეული სველი სილით ჰქონდა დაფარული, სილა გაშრა მცხუნვარე მზეში. მისი მამაკაცობაც თბილი სილით იყო დაფარული. ბიჭს ჩაეძინა და ძილში ჩაიკარგა. თითქოს შორიდან მოესმოდა მდინარის ჩხრიალი, სიცხეში მინებდა ტკბილხმოვანებას. ეს წამი უკვდავების შეიცავდა, თვალები დაეხუჭა. უცნაურად იქ, სადაც მამაკაცობის ნიშანია, ენით გამოუთქმელი ნეტარება იგრძნო, თითქოს ბნელიდან მომავალი რაღაც ცოცხლდებოდა, რაღაც იბადებოდა, იზრდებოდა ნელა, ჩუმად. ბიჭმა თავი ასწია და სილას შეხედა: სილა მიწის ბელტივით აიწია, თითქოს თხუნელა მიიკვლევდა გზას. ეს იყო ფალოსის უმანკო გამოხედვა. ბედნიერი წამი. ბიჭმა ცოტა დაირცხვინა და გადატრიალდა, პირქვე. თავმა იგრძნო მიწა... თამაზი ამ ადრეულ მოგონებას მიჰყვებოდა, თითქოს სავსე იყო თესლის მარცვლებით, რომლებიც ყვაოდნენ. სხეული განწმენდა და შინაგანი წვა იგრძნო, სიყვარული — ერთადერთი საჩუქარი ამ მიწაზე, გაიფიქრა მან, რა ტკბილია სიცოცხლე, როცა მომწიფებული ხარ სიყვარულისთვის.

მზე კვლავ აცხუნებდა, ამოუწურავად. დედაკაცი კვლავ კაკლის ჩრდილში იწვა. მისი სხეული იყო მოლოდინი, ღვთიურ დუმილში ჩაძირული. სხეული ვეღარ არჩევდა: ის ავსებდა დუმილს, თუ დუმილი — მას. სადღაც შორს, ხავსით დაფარულ, ბნელ სიღრმეებში ნელა ყვაოდა რაღაც და უმანკოდ წვდებოდა. ყვაოდა და წვდებოდა — ბუნდოვნად, მთვლემარედ; თითქოს მეორეს ელოდა, ასევე ბუნდოვანს, მაგრამ თვლემიდან გამოღვიძებულს, რომლის ცეცხლოვან შეხებას შეეძლო თვალად გადაექცია იგი.

თამაზი მიუახლოვდა ქალს. დედაკაცის სხეულმა იგრძნო მამაკაცის ნაბიჯები, რადგან მიწა იყო — მშრალი და მწყურვალი. კაცი მიუახლოვდა, დაიხარა და მუხლზე დაეშვა. ქალის ბაგეები შეეგებნენ მხურვალე კოცნას. თითქოს ეს კოცნა მზის ნაწილი ყოფილიყოს. მზე ხაროდა.

III

## გატყავებული ცხენი

კოჯორში, თბილისიდან ათი კილომეტრის დაშორებით, დიდი მუხის ძირას მონადიმეთა პატარა ჯგუფი შეკრებილიყო. მარად ახალგაზრდა მზე მხიარულად ჩახჩახებდა. აღმოსავლეთით გახუნებული მინდვრები აზერბაიჯანის მზით გადამწვარ ტრამალებში გადადიოდა; იქიდან ზოროასტრის სუნთქვა აღწევდა — ცეცხლის თაყვანისცემა. სამხრეთ-აღმოსავლეთით სომხეთის ველები მოჩანდა, მათ ჯერ კიდევ ბიბლიის სურნელი ასდიოდა. თვალს იტაცებდა გარშემო გადაშლილი უკიდეგანო ლანდშაფტი. ისე იყო, თითქოს ღმერთს ჯერ არ დაესრულებინა შექმნა. ძალიან შორს, ფართო ხეობის თავზე ქორივით გაწოლილიყო ვეება მუქი მოლურჯო ლანდი: თუ ცას გაჰხედავდით, მოლივლივე ღრუბელს შეამჩნევდით; ჩრდილი თითქოს არ მოძრაობდა. გაღმა აზეულას ციხე აღმართულიყო — აბობოქრებულ და ანაზდად გაქვავებულ ოკეანეში გაჩხერილი ანძებდამსხვრეული გემი. სერზე მდუმარედ იდგა ეული, მიტოვებული პატარა საყდარი — შემოქმედის მიმართ აღვლენილი ლოცვა. საყდრის სამხრეთ-დასავლეთით ფერიალი კლდეები აშვერილიყო, თითქოს მიწა ტელურულ ვაკხანალიას გადაეღალოს. შიშველი კლდეები აქა-იქ ისე იმზირებოდნენ, როგორც მზით შეტრუსული აქლემების მოსასვენებლად შეჩერებული ქარავანი. დიონისე ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ლაღობდა: მისი დამათრობელი სურნელი დღესაც ასდის ქართულ მიწას, ხოლო მენადეების კივილი ჰაერში მომოჭრის.

ქართველები სუფრას ცნობდნენ. თვალი რომ ქვეყანას, მზეს, მთებს, ხევებს, ცხოველებს, ადამიანებს უცქერის, გულს სიხარული ევსება და სუფრის შემოქმედს ქება-დიდება შეასხას. დალოცვილია წამი, როცა ღვინით სავსე გული მეგობრისათვის იხსნება, გულის თრობაა, რასაც ქართველი ღვინოში განიცდის. სტუმრისათვის გაშლილი სუფრის კულტი უმაღლესია მისთვის, ვის არ შეხვედრია აქ: მოდარაჯეებს, მოცეკვავეებს, მომღერალს, პოეტს, ორატორს, აქ ერთმანეთის გაზიარებაა მხოლოდ მთავარი — „განა ბედნიერება არ არის, რომ გხედავ? რომ ვცოცხლობთ? რომ გხვდები და მხვდები?" — აი, ეს არის საქართველოს გულითადობა. სუფრის მეთაური, თამადა, უძღვება ლხინს. ასე იყო ამჯერადაც კოჯორში, შუა ივლისში.

მძიმე დროება იყო, მაგრამ ქართულ მიწას არასოდეს ტოვებს წყალობა. საიდანღაც ყველაფერი უჩნდება: კახური ღვინო, თუშური ყველი, ბლომად ბოსტნეული, შამფურზე წამოცმული მწვადი, ყვავილები, ხილი. სხვას რაღას ინატრებს კაცი? აღმოსავლური ორკესტრი, „საზანდარიც", მოეწყოთ — დაირა, ჭიანური, თარი, დოლიპიტო. აქ მოლხენის ხელოვანი იყო ყველა: პოეტი, მსახიობი, მოდარაჯე, ტურფა ქალები. აქ იყო თამაზიც, აქ იყო ნატაც. მოქეიფენი იმ კაკლის მახლობლად მოკალათებულიყვნენ, თამაზმა და ნატამ გუშინ მზისგან რომ შეაფარეს თავი, რათა იმავე მზით დამთვრალიყვნენ. ნატას უბრალო ტილოს თეთრი კაბა ეცვა, შიშველ ტერფებზე თეთრი ტილოს ფეხსაცმელები ჩაეცვა. ეს უბრალოება კიდევ უფრო ამკვეთრებდა მის სილამაზეს. ხალიჩაზე იჯდა: ხორბლისფერ-ოქროსფერი სხეული ჩამოსხმული ბრინჯაოსავით ელვარებდა ქათქათა სითეთრიდან.

სტუმრები მხიარულად [illegible] ხელის ნახატების ჰორიზონტალ ტილოებს, ნელა და ტკბილად რომ მიჰყვებოდა სხეულს. ერთს უცებ სიტყვის წარმოთქმა სურდა, როცა უეცრად მოსახვევში ავტო გამოჩნდა. „ნიკო, ნიკო!" დაიყვირა ერთმა პოეტმა და მანქანისკენ გაექანა. მანქანა გაჩერდა. „მობრძანდით", ერთხელ კიდევ შესძახა პოეტმა. სუფრაზე სიჩუმე ჩამოწვა. პოეტი ახალ სტუმრებს წამოუძღვა — ნიკო ბრეგაძეს და ვიღაც უცნობს, ისინი ჩამოსხდნენ.

ნიკოს იცნობდნენ: ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყო საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში — ეჭვს ეს იყო უნდობლობის მიზეზი: მონადირეთა შორის არც ერთი კომუნისტი არ იყო. პოეტმა რომ მოსულები სუფრაზე მოიპატიჟა, ამაში არაფერი იყო გასაკვირი, ქართველი ადათის მიხედვით, ყოველი გამვლელი ღმერთის გამოგზავნილია, მაშასადამე, სასურველი თანამეინახე. მაგრამ აქ სხვა რამ იყო კიდევ: ეს მზით გარუჯული პოეტი, ნიკო ბრეგაძე და მისი თანამგზავრი — ლატვიელი, გვარად ბერზინი, ამჟამად ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე — სამივენი თავგადაკლული მონადირეები იყვნენ. შესაძლოა, ამან გადაწყვიტა მოპატიჟება. პოეტსა და კომუნისტს შორის უფსკრული იყო, მაგრამ ნადირობისას ამას ვერ ამჩნევდნენ. ფეხით ხშირად უვლიათ ერთად წყვდიადსა და ქარში, ხშირად გაუთევიათ ღამე რომელიმე მეტყევის ქოხში, ბევრი გაჭირვება გადაუტანიათ ერთად — და საოცარია: ამ მეგობრობაში დავიწყებული იყო რევოლუცია, კლასობრივი ბრძოლა, ბოლშევიზმი, კომინტერნი, კოლმეურნეობები და ყოველივე ამნაირი. საბჭოური ცხოვრებიდან თუ რამ დარჩა მათ შორის, ეს იყო შეუდარებელი საბჭოთა ანეკდოტი. ნადირობისას მხოლოდ მონადირეებად გრძნობდნენ თავს. ქვეშეცნეულად პირველყოფილი სამყაროს სიღრმეში შედიოდნენ. აქ კაცი მარტოა სტიქიასთან პირისპირ, ხოლო იარაღად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ან ქვის ნივთები აქვს მხოლოდ. ტყე ამ მონადირეთათვის უბრალო ტყე კი აღარ იყო, ფეხით რომ სერავენ მონადირენი; არამედ პირველქმნილი ტყე, სადაც ადამიანი სულ მარტოა ბედს მინდობილი. სიცოცხლე ამ ტყეში ქელაა, რადგან ქელა თავის დაცვას ნიშნავს აქ. ყოველდღიურ ცხოვრებაში იქნებ იმას დაეწყვიტა ბევრი. უნებლიეთ ერთი ჭიანჭველისათვის რომ დაედგათ ფეხი; აქ კი ქელა პირველყოფილი ადამიანის სიხარულს ჰგვრიდათ. ძველმა ინსტინქტებმა გაიღვიძეს მათში, ცხოველური გრძნობა გაუმახვილდათ. ნიტის ადგილის გემაით გამოცნობა, ნადირის კვალზე გასვლა — ეს ყველაფერი იდუმალ წყაროსავით ჩქეფდა მათში. ცალკეულის ბედი, ესოდენ ერთის ადამიანის გამბედაობა იყო მთავარი. მონადირეები — თუნდაც ხოხბის, თუნდაც ჯიხვის, მწყერისა ან კურდღლის — ცხოველურ აღტაცებას იწვევდა მათში. ნადირობის დროს პირველყოფილი ადამიანები იყვნენ ეს სამნი. აქ აღარ არსებობდა არავითარი კულტურის ფორმა — მხოლოდ პრიმიტიული. აღარ არსებობდა სოციალური განსხვავებანი — მხოლოდ ერთი საერთო წარმომავლობა. რევოლუცია აშიშვლებს ადამიანებს, ათასწლოვან ქერქს აძრობს; შიშველი ადამიანი ერთმანეთს გრძნობს თავის თავდაპირველ ძირებს.

ნიკო ბრეგაძეს უჩვეულო სახე ჰქონდა. მეჭეჭიანი სიმბოლო ფართიანი ბეჭელია. ეს სიმბოლო გამოხატული იყო მის შესახედაობაში: თითქოს არწივის ჭკუული ბეჭელი. აქ ორივე ელემენტი ძლიერი იყო, ზემოქმედებაც ორმაგი. ბეჭლის მზერა თრგუნავდა, არწივი ცად ამაღლებდა. ეს სახე ნაცნობი იყო სტუმართათვის. ისინი უცნობს ათვალიერებდნენ. გასაოცარი მასში იყო ზანტი სიმშვიდე: არც ლაპარაკში, არც საქციელში აჩქარება არ ეტყობოდა. რაც კაცს თვალში ეცემოდა კიდევ, ეს იყო მისი სიმყარე: მთელი მისი არსება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს არასოდეს გამოეცადოს ქვეა ან მიწა... ელემენტი ცივი იყო, სითბო უცხო იყო მისთვის. სახე — უძრავი, ქვისა. ამ უძრაობას სუფთად გაპარსული, მხოლოდ გარეჭილი თავი კიდევ უფრო აძლიერებდა. სიტყვაძუნწი იყო. თუ ვინმეს გაელიმებოდა, ეს ღიმილი გვერდზე გაზედვისთანავე ქრებოდა და ლამის რისხვაში გადადიოდა. თვალები — უმოძრაო, მუქი; მკვლელის პასიანსური მზერით. მალულად აკვირდებოდნენ ეს თვალები სტუმრებს.

ნადიმი გაგრძელდა. პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ბუნების ყველა სიამე იყო მათს ლექსებში. მცხუნვარე მზე, მიწის ბელტი და მობალახე ხარის ძალა. მდინარეზე ასული ნისლი და ნაცრისფერი განთიადი, მოფარიკავის ხმლის პირი და გმირული ბრძოლა, ასტარტეს თეძოები და სიყვარულის ავხორცობა. ეს ყველაფერი უკავშირდებოდა სახელს „საქართველო“. საქართველოს სისხლი და მიწა ადანთებდნენ პოეტთ. სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა: ქართული რასა მცირერიცხოვანია, მისი ისტორია — ათასწლეულის ხნისა, მისი სტიქია — აღმოსავლეთი. ბერზენს არ ესმოდა ქართული. დროდადრო ნიკო უთარგმნიდა ლექსების ადგილებსა და სახეებს. ბერზენი შუბლს იჭმუხნიდა, ჩერდებოდა: ლექსები მის გულს თითქოს არ ეკარებოდა. ყველაფერი იყო ამ ლექსებში, ოღონდ არც ერთი სიტყვა რევოლუციაზე. ეს არც ნიკოს მოეწონა: არწივის სახეზე ახლა ბეჭლის გადაეყლაპა. პოეტმა, ისინი რომ სუფრასთან მოიპატიჟა, ნათელმხილველური იგრძნო ეს და შეცბუნდა. უცნაური იყო: პოეტებმა ლექსის წარმოთქმისას თავდაჯერება დაკარგეს; ერთს ენა დაება, მეორეს წინადადება დაავიწყდა, მესამის ცეცხლოვანი პათოსი უცერად ჩაქრა. მზისგან გამოვეგზებული პოეტი შეეცადა უხერხულობის გაფანტვას, რიტმულად მწყობრად აგებული ლექსი წაიკითხა — „ლენინ“. ნიკოს და ბერზენის სახეებზე კმაყოფილება გამოჩნდა, მაინც იდუ-

მალი ენდობლობა ჩრდილავდა მას, ორივემ ზუსტად იცოდა: რევოლუციისაგან განზე გამდგარს ლენინზე უფრო ეადვილება წერა, ვიდრე მიწის კოლექტივიზაციაზე. მეორე პოეტმა დაიწყო ლექსის კითხვა — „ოქტომბერი". ძლივს წარმოთქვა სახელი, რომ დაიბნა და მოულოდნელად კითხვა შეწყვიტა. ეს იმ წამს მოხდა, როცა ბერზინმა თავისი შეშის თვალების ბასილისკური მზერა მასზე შეაჩერა. ერთმა სტუმარმა ღვინით სავსე ჭიქა გადმოაპირქვავა და ნატას ტანსაცმელზე გადაასხა. მეორეს ბოთლი დაეცარდა ქვაზე. „უბედურების მომტანი უნდა იყოს ეს უცხო", ჩაილაპარაკა ერთმა. „ავი თვალი უნდა ჰქონდეს", დაუმატა მეორემ. „გაუხმეს ის თვალი", დაიჩურჩულა პირველმა. ბერზინმა თვითონაც არ იცოდა, ავი თვალი ჰქონდა თუ არა. სინამდვილეში ავადმყოფი თვალი ჰქონდა: მეხილში არ ეხრებოდა.

საერთო მხიარულება დაირღვა: ნატა გაწითლდა და მოსვენება დაკარგა. რაღაც აფრთხობდა, როცა ბერზინის თვალი მის მზერას ხვდებოდა. თამაზი შინაგანად გრძნობდა გამოწვევას, უფრო ღიზიანდებოდა. ნერვიულად ეწეოდა სიგარეტებს, ეს კარგს არაფერს მოასწავებდა.

ქართული სუფრა ერთიანობას მოითხოვს, ის ვერ იტანს განზე დგომას, ნიკოც და ბერზინიც, ორივე სვამდა, მაინც განზე იდგნენ — ფხიზლები რჩებოდნენ. ნიკომ იგრძნო, რომ მასაც უნდა ეთქვა რამდენიმე სიტყვა. თავის სიტყვაში მიუთითა — ოღონდ სიცილით, — რომ კარგია, როცა ამდენ პოეტურ სურათს პოულობენ რევოლუციისათვის, ბერზინმაც ილაპარაკა, მოკლედ, ცივად, აქ არ იყო გაღიმება, მხოლოდ სიმაგრე.

„ერთი რამ არის საკვირველი", თქვა მან, „ასე მგონია, აქაურ მიწას რევოლუცია ჯერაც არ შეეხებია".

მძიმე პაუზა.

„რა თქმა უნდა, არ შეეხებია", გამოეხმაურა ერთი ახალგაზრდა, „ეს მიწა, რომელზეც ახლა ვზივართ, ჩვენ საუკუნის წინ ცეცხლოვანი რაშებით გადათქერა ქართველმა სარდალმა გიორგი სააკაძემ. მის ნაკვალევზე ფესვს ვერ გაიდგამს რევოლუცია".

ახალგაზრდა კაცი გაგრძელებას აპირებდა, უეცრად თამაზის მზერას შეეჩეხა და გაჩერდა. ნასვამი იყო, მაგრამ მიხვდა, რომ შეტოპა. თავისი პასუხით სიტყვა გააწყვეტინა რუსულად მოლაპარაკე ბერზინს. ბერზინი დარჩა, როგორც იყო — გილიოტინის დანასავით ცივი. ბასრმა, ძლივს შესამჩნევმა რისხვამ იელვა დანის ფოლადზე; წამით გაიღიმა, ღიმილი იქვე გაქვავდა და დაიღრიცა.

დუმილი ჩამოწვა. ახალგაზრდა კაცს ლევანი ერქვა, ოცდა ხუთი წლისა ძლივს იქნებოდა. ქართულ რასას მასში ნამდვილი ვაჟკაცის სახე გამოეკვეთა. პროფესია არ ჰქონდა, არც სჭირდებოდა. სიცოცხლის სიხარული ტალღასავით მოაქვს მზის სხივს. ლევანი თვითონ იყო ცოცხალი ტალღა. რა საჭიროა მზის ხოტბა, თუკი მზის გულში ცხოვრობ? იგი არ წერდა ლექსებს. რა საჭიროა მეცნიერებებით თავის დამძიმება, თუკი ცოცხალ კლდეზე ამაყ ჯიხვს უცქერ და ხელში იარაღი გიჭირავს? ლევანი სწავლაზე არ გადარეულა. უბრალოდ ხარობდა იმით, რომ ცოცხლობდა. ის ადამიანთა ნარჩევი იყო, ლამაზი და ჯიშიანი, ათასწლეულებს ემუშავათ მისი შექმნისთვის. ხანდახან ფილმებში თამაშობდა როგორც ფეოდალური ტიპების შესანიშნავი შემსრულებელი. აქ გაეცნო და დაუმეგობრდა თამაზს. ახლა კი აგერ იჯდა გამომწვევად.

უხერხული დუმილი რომ დაერღვია, ერთმა ჯგუფმა სიმღერა წამოიწყო, მაგრამ უგუნებობა სიმღერაშიც შეიმჩნეოდა. უეცრად წამოდგა ერთი და თქვა:

„სააკაძის რაში შეუდარებელი სურათია ფეოდალური ეპოქისა, ვგონებ, ასე უნდა გავიგოთ ჩვენი მეგობრის სიტყვები. ქართული მიწა დღემდე ამ სულით არის გაჟღენთილი, და გასაგებია, რომ რევოლუციის გუთნის გატანა აქ

ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე საბჭოეთის სხვა რომელიმე მხარეში".

მოსაუბრემ მარჯვედ შეატრიალა ლევანის სიტყვები, მაგრამ ყველა გრძნობდა: ეს თავის მართლება უფრო იყო, ვიდრე განმარტება. ბრეგაძე კვლავ მოლუშული იყურებოდა. ამას ზედ ესეც დაერთო: ლევანმა ვაშლი ააგდო ჰაერში, პისტოლეტი ესროლა და შიგ შუაგულში მოახვედრა. ბრეგაძეს შუბლი მოეჭმუხნა: მის ფიქრებში ვაშლი სხვა რამედ შეიცვალა. ატმოსფერო დაიხუთა. მხოლოდ ლევანის განსაკუთრებული ხიბლი შველოდა ცოტათი, ისეთი თავდაჯერებით გაარტყა აგდებულ ვაშლს, ისეთი ლაღი და მხიარული იყო, რომ სხვებიც აიყოლია. ბერზენი უნდობლად ეკიდებოდა მხიარულებას, თუმცა ამ კაცში რაღაც მოსწონდა; ეს აბრაზებდა კიდეც. უცერად თამაზს შეხედა, რომლის თითები გაშეშებით სრესდნენ სიგარეტის კოლოფს. ბერზენი გაოცდა ამ მოუსვენრობამ: უცთომლად იგრძნო რჩეული მეტოქე თამაზში. თამაზმა აირიდა ბერზენის მზერა; ბერზენის სიტყვებმა გაალიზიანა, და კიდევ: ჩანდათან ბერზენი ნატისკენ აპარებდა თვალს. თამაზმა დაიჭირა მისი მეხრი მზერა. წამით საეჭვო ნაპერწკალი შენიშნა მასში. ნატამაც იგრძნო ბასილისკური მზერა. ამ კაცის თვალები აშინებდნენ მას, სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. თამაზის მიმინოსებრ თვალს ეს არ გამოპარვია, ბოლომდ ლამის დაახრჩო. ყველამ იგრძნო დაძაბული ატმოსფერო. მასპინძლები ცდილობდნენ, როგორმე გაეხალისებინათ განწყობა, უაზროდ დარბოდნენ აქეთ-იქეთ. ამაოდ ცდილობდა თავის შეკავებას თამაზი. ახლა ცეკვა წამოიწყეს, მაგრამ ერთი მოცეკვავე შორის წამოდგა და დაეცა. სიცილი. ეს შემთხვევა მოცეკვავის ნასვამობით ახსნეს, თუმცა მთლად ასეც არ იყო საქმე. კვლავ ქეიფი, მაგრამ ახლა თვით ბახუსსაც დაეკარგა ხალისი. მაშინ ისევ ლაპარაკი დაიწყეს, ლაპარაკობდნენ ბევრს და ზერელედ. სიტყვა „რევოლუცია" ხშირად გაისმოდა, უმეტესად ყურით მოათრევდნენ. ორივე კომუნისტი ზუსტად გრძნობდა სიყალბეს. ბრეგაძე და ბერზენიც ლაპარაკობდნენ. რევოლუცია იმდენჯერ ახსენეს, რომ ლევანმა ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინა და შესძახა: „ღვთის გულისათვის, ამიხსენით, რას უნდა ნიშნავდეს ეს რეოლუცია?"

„თქვენ მაინც ვერ გაიგებთ", უპასუხა აღელვებულმა ბრეგაძემ.

„რათ"? დაიყვირა ლევანმა რისხვით.

თამაზმა შეატყო, რაღაც ხდებოდა. მზერა ესროლა ლევანს. ლევანმა თავი დაიოკა, მაგრამ გამოწვევა თვითონ თამაზმა აიტაცა და ახლა თავის მხრივ იკითხა:

„რაღაა ის რევოლუცია, რომელიც ასე ძნელი გასაგებია?"

თამაზის კილო დამცინავი იყო. ბერზენმა ეს მყისვე შეატყო. ახლა რუსულად საუბრობდნენ და ისიც იერიშზე გადავიდა.

„რევოლუცია ძნელი გასაგებია მისთვის, ვინც რევოლუციონერი არ არის",

„კეთილი და პატიოსანი", უპასუხა თამაზმა, „ოღონდ ერთი რამ ამიხსენით. ახლახან ბრძანეთ, რომ რუსეთში ბევრმა მწერალმა გაიგო რევოლუცია. მე გეკითხებით: რამდენია მათ შორის რევოლუციონერი?"

„მმ, მმ... რაოდენობის დასახელება ძნელია... მე ვფიქრობ, ბევრი".

„ჭეშმარიტი რევოლუციონერი?"

„მმ, მმ... ჭეშმარიტი რევოლუციონერი... შეიძლება ცოტა, მაგრამ..."

„კარგით, ამაზე ნუ ვიდავებთ... მხოლოდ ერთი რამ მინდა ვიცოდე: ხომ არ გაგონდებათ რომელიმე მოსკოველი პოეტის ან მწერლის მხატვრული სახე, პლასტიკურად რომ გადმოსცემდეს რევოლუციურ კატაკლიზმს?"

„ასეთი სახეები იმდენად ბევრია, რომ ძნელია რომელიმე ერთი გაიხსენო".

„ალექსანდრ ბლოკის „თორმეტნი", ჩაურთო ერთ-ერთმა პოეტმა.

„მე არ მწამს ისეთი რევოლუცია, რომლის სათავეშიც ქრისტე მოაბიჯებს". მკვეთრად მიუგო თამაზმა. შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კვლავ ბერზინს მიუბრუნდა. „მე მსურს რევოლუციის ნაწილი, უტყუარი სახე დავინახო“.

ბერზინი შეყოყმანდა. ის კარგად ერკვეოდა თანამედროვე ლიტერატურაში, იცნობდა მრავალ სურათს, რომლებსაც რევოლუციის არსი უნდა გამოეხატათ, მაგრამ ამ წუთს ვერც ერთს ვერ დაასახელებდა. გრძნობდა, რომ ამ გალიზიანებულ კაცს მაინც ვერ დაარწმუნებდა, ამიტომ სხვა გამოსავალი არჩია: თავი ისე დაიჭირა, თითქოს დამარცხებულიყოს და თავის დასაძვრენად თამაზს შეკითხვით მიმართა:

„იქნებ თქვენ თვითონ გაიხსენოთ რომელიმე?“

თამაზი გაება ხაფანგში, დაუფიქრებლად მიუგო: „მე ვიცი ერთი, მაგრამ არა ლიტერატურიდან“.

თამაზს წამით დაავიწყდა, რომ ბერზინს სწორედ ლიტერატურიდან სთხოვდა მხატვრული სახის დასახელებას, მაგრამ სურათმა, რომელიც ახლა ამოუტივტივდა, ერთბაშად მოიცვა მისი სული; მთვრალივით იყო ატაცებული. გრძნობდა, ეს სურათი უთუოდ უნდა გაემჟღავნებინა.

„ბრძანეთ“, სთხოვა ბერზინმა გამარჯვებულის კილოთი. სხვები ბერზინს შეუერთდნენ. თამაზმა დაიწყო: „ეს ერთი ცხენის ისტორიაა“.

„ისევ ცხენი“, თქვა ვილაცამ სიცილით. თამაზმა შუბლი შეიჭმუხნა.

„ეტყობა, საიკაძის ცხენის შთამომავალია“, წაიჩურჩულა ბრეგაძემ ირონიულად.

„გაჩუმდით“, დაიძახა ყველამ.

თამაზმა დაიწყო თავისი მოთხრობა. პოლტავის თუ ეკოირინეცის გუბერნიაში რევოლუცია მძვინვარებდა. მთელი ერთი სოფელი, განურჩევლად ყველა, დიდი და პატარა, კაცი და ქალი, აღჭურვილი ჯოხებით, კომბლებით, ცულებით, ბარებით, იარაღით ერთი მემამულის სახლს თავს დასხმოდა. ეს უკანასკნელი თავისი ოჯახით უკვე გახიზნულიყო. გაბოროტებული გლეხები სასახლეში შეიჭრნენ და რბევა დაიწყეს. რაც ხელში ხვდებოდათ, ყველაფერს ანადგურებდნენ. ყოველი ნივთი მათს მრისხანებას აღვიძებდა. უცნაურია, მხოლოდ ცოტამ თუ აიღო ძვირფასი ნივთები თავისთვის; ცოფმორეულნი განადგურების ჟინს შეეპყრო უპირატესად. გლეხების ერთი ჯგუფი თავლისკენ გაემართა. კარი ჩამოგლიჯეს და შიგ შეცვივდნენ; ცხენები დაფრთხნენ. ოცამდე ცხენი გამოიყვანეს; მათგან ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა: მთლად თეთრი, ლაქების გარეშე, კოხტა, ნატიფძარღვებიანი. მისი ყოველი ასო მიწის სიხარული იყო, ყოველი კუნთი — განხორციელებული მზის ტალღა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. გლეხებს თვალები აემღვრათ, ერთ ხანს გაშეშდნენ მისი მშვენებით. ერთმა ალერსით თავისკენ მოქაჩა ცხენი. ცხენი ყალყზე შეხვდა ხეპრულ საქციელს. ბრბო აღსამომასწავებლად გაირინდა, უეცრად ვილაცამ დაიყვირა გაბედულებით: „ჯიშიანია!“ სხვამაც გაიმეორა ხმამაღლა: „ჯიშიანია“. მესამემ, მეოთხემ, მეხუთემ გაიმეორეს ეს სიტყვა, ბოლოს მთელი მასა უთავბოლოდ ღრიალებდა: „ჯიშიანია, ჯიშიანი!“ შური და რისხვა გამოსჭვიოდა ამ შეძახილში. აბობოქრებული მასა წინ გაიჭრა, თვითონაც არ იცოდა, რა სურდა. ხელები ამოძრავდნენ, ბაგეებს მიეყინა შეძახილი, ტუჩების კუთხეებში დუჟი აქაფდა, თითქო ბრბო რაღაცას ელოდა. უეცრად ცხენმა გაელვებულივით დაიჭიხვინა უცნაურად, ყალყზე შედგა, ადგილიდან მოწყდა და გაქანდა. გლეხები გაეკიდნენ, ცოფისაგან გონებადაბინდულნი. ცხენი გრძნობდა, რომ სიკვდილი მოსდევდა, გიჟივით მიქროდა. ლობესთან მიიმწყვდიეს და ალყა შემოარტყეს. ცხენი ნახტომისთვის მოემზადა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვილაცამ ალვირს ხელი ჩაავლო; ცხენი შეშინდა, წინა ფეხებით ლობეზე ჩამოეკიდა. ცხოველს მთელი ტანი უთრთოდა. როყიოდ დაიყვირა ერთმა: „ტყავი გავაძროთ წყეულ პირუტყვს!“ პირველს მეორე აჰყვა: „ტყავი გავაძროთ!“ მრავალი ხმა ღრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალუბდა, ერთმანეთში არეული. ბოლოს ყველამ ერთად დაიყვირა: „ტყავი გაგაძროთ!" ბრბო ყმუოდა; შიში და სიძულვილი მოისმოდა ამ გაშმაგებულ ღრიანცელიდან. ელვის სისწრაფით გააჩინეს დანები, ცელები, ნამგლები, ხელები თითქოს სიცივეში იმყოფებოდნენ. „ჯიშიანი, ჯიშიანი!" თავიდან აყმუვლდა ბრბო, აყმუვლდა ისე ყურისწამღებად, თითქოს რაღაცის ეშინია და ამ ეცხო შიშის ყმუილში გამოგუდავს ლამობსო.

„ცხენი ცოცხლად გაატყავეს", დაასრულა ალმოდებულმა თამაზმა. „ეს არის პროლეტარული რევოლუცია" — უეცრად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გაუბედავად დაუმატა: „ამ ცხენში ხალხმა მათრობელი ნაყოფი იხილა, ჩაგვრის სიმბოლო — და მთელი ბოღმა, ასწლეულობით დაგროვილი, უეცრად მასზე გადმოანთხია. ეს არის რევოლუციური შურისძიების სისხლიანი სურათი". თამაზი დაჯდა აგზნებული.

„სწორია, ასეა! ბრავო, თამაზ!" დაიძახა ყველამ.

თამაზმა მოკლედ მოჭრა სათქმელი. მის სიტყვებში რისხვის ცეცხლი გიზგიზებდა. იმ ადგილას, სადაც გლეხები ყვიროდნენ, „ჯიშიანია, ტყავი გაგაძროთო", სიბრაზისაგან ენა დაება.

„ბრავო, თამაზ", უყვიროდა ყველა.

თამაზი თავდახრილი იჯდა. ნატამ თვალი გაამარა მისკენ და შეშინდა: ამ წუთს თამაზს შეეძლო გამოღადრული ყელიდან სისხლი დაელია, ნატა შებრუნდა.

სუფრა კვლავ ახალისდა. თამაზის სიტყვაში რევოლუციის ნამდვილი სახე იყო მოცემული, ამან ყველა აღაფრთოვანა: სახე რევოლუციისა, რომელშიც წილი არ გიდევს.

სტუმრები წამოიშალნენ.

თამაზი, დალურჯებული, მოშორებით მიაბიჯებდა. ახლა სტანჯავდა თავის სიტყვათა ცეცხლი. ხომ არ გასცა ამ ცეცხლმა? შორიახლოს ბრეგაძე და ბერზინი მიდიოდნენ. მათი საუბარი პასუხს სცემდა ამ შეკითხვას.

„კარგად ლაპარაკობდა, არა?" კითხა ბრეგაძემ ბერზინს.

„ლაპარაკით კი..."

„ბატონო?"

„ვერ გამოიცნობდი, ხალხთან ერთად მჟღინვარებდა ცხენის გასატყავებლად თუ გამხეცებულს თვითონ ხალხის მოსარჩობა სურდა".

„შენ უფრო მეორე გგონია", გაიცინა ბრეგაძემ.

„ეს უფრო ჰგავს სიმართლეს", მიუგო ბერზინმა.

სტუმრები დაიშალნენ, გაღმა სამყურების მინდორი ჩანდა.

„აბა, ვინ იპოვის ოთხფოთლიანს?" დაიძახა ერთმა.

ყველამ დაიწყო ძებნა; თამაზმაც, ვერავინ იპოვნა. მოულოდნელად გამოჩნდა ბერზინი, ხელში ოთხფოთლა ეჭირა, ნატას მიუახლოვდა, თავაზიანი თავის დაკვრით გადასცა. ნატას გაუკვირდა, თუმცა გამოართვა: მკერდზე დაიბნია. თამაზმა დაინახა ეს, ტუჩზე იკბინა.

როცა ნატასთან მარტო დარჩა, სიტყვის უთქმელად მოაშორა ოთხფოთლა მის მკერდს. ნატა ხედავდა, როგორ სათითაოდ აძრობდა ფოთლებს და ნელა ფანტავდა. ქალი შეშინდა, მაგრამ ისიც მასავით დადუმდა.

IV

## აქ დაზღვეული არავინაა

ბერზინს ამიერკავკასიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული. ძირითადად ლიტერატურის, კინოს და თეატრს განაგებდა. მარქსისტული ხაზი ლენინური გაგებით ყველგან უნდა გატარებულიყო. ამ თავისთავად არცთუ იოლ ამოცანას ამიერკავკასიის თავისებურებაც აძნელებდა: მოსკოვური მიდგომა აქ არ გამოდგებოდა. თვით ამიერკავკასიასაც ვერ მოეკიდებოდა. ვერ განიხილავდა როგორც ერთგვაროვან რასმე, რადგან საქართველო სხვაგვარად არის მოწყობილი, ვიდრე სომხეთი, ეს კიდევ სხვანაირად, ვიდრე აზერბაიჯანი. ამ სამიდან

თითოეული განსხვავებულ მოპყრობას მოითხოვდა. ეს იცოდა ბერზინმა. ფრთხილი მოსინჯვით უახლოვდებოდა ყოველ ახალს, გულმოდგინედ ცდილობდა ყველა თავისებურების ჩასწვდომოდა. მისთვის ცოცხალი ადამიანი სქემაზე მეტს ნიშნავდა. მასთან ყოველ შეხვედრას გულისყურით ეკიდებოდა, ამით ძირფესვიანად განსხვავდებოდა სხვა კომუნისტთაგან. არც კოჭრის ლხინს ჩაუვლია უკვალოდ: ბევრი რამ შეიტყო ქართველთა ზნე-ჩვეულებისა და ხასიათზე. კიდევ იყო რაღაც, ამას რომ უკავშირდებოდა: ნატას გაცნობა, რომელმაც, ჩანს, თავგზა აუბნია.

ბერზინის მატერიალისტურ მსჯელობაში დაუძლეველ ფიზიოლოგიურად შემოსაზღვრული ადგილი ეკავა: მეტი არაფერი. ეს ქალი კი — ბერზინმა ეს გულისტკივილითაც კი შენიშნა — მეტი იყო. ნეტავ ისიც მოდუნდა და რომანტიულ ქსელში გაება? არა, ასეთი უბედურება როგორ შეემთხვევა რეალისტ ბერზინს! მის გამშრალ ტვინში რაღაცამ გადაურბინა, ღიმილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ღიმილი გაქრა, როცა თბილისში ნატა მეორედ ნახა. ეს დაუძლეველი ცეცხლი ნისლში იყო გახვეული, რომელსაც ბერზინი დაფიქრებული ნათირვით ისრუტავდა. ახლა წამდაუწუმ მასთან შეხვედრის ნატრობდა. მაგრამ ცნობილი კომუნისტის ურთიერთობა უბრალო სტენოგრაფისტთან ხალხს ათქთქარებდა — ეს კი არ უნდა დაეშვა. ამრიგად, მხოლოდ შემთხვევას მიენდო — გაუფაცეცებით, ბრმად. თეატრში, მთავრობის ლოჟიდან ფოიეში გამოსული, რამდენჯერმე შეეფეთა ნატას. ერთხელ თავი დაუკრა მხოლოდ, მეორედ სიტყვაც გაუბა. ქალი შეშინებულ ჩიტს ჰგავდა: რაღაც დამორცხვებული ჰქონდა ამ კაცის მზერას. არც პირველად, არც მეორედ ნატას ბერზინისათვის იდუმალი უბრალოებაც კი არ შეუტყვია. მესამე შეხვედრა თითქმის ოცდამეტ წუთს გაგრძელდა; ამან შეაკრთო ქალი. თავისი ნების წინააღმდეგ ბერზინის ახალ წიგნზე ალაპარაკდა.

„წაიკითხეთ?" ჰკითხა ბერზინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯერ არა".

„იქნებ არა გაქვთ?"

„არა, არა მაქვს".

„შეიძლება გაჩუქოთ?"

„დიდად მადლობელი ვიქნებოდი".

„როდის მოგართვათ?"

ქალი შეცბა. ამას არ მოელოდა.

„ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით!" დაბნეულმა მიუგო.

„ოღონდაც არ შეგეწუხდებით!"

ქალს შერცხვა. უარის თქმა გვიანღა იყო.

„თუ თქვენთვის მოსახერხებელია, ზეგ საღამოს". უნდომლად უთხრა.

„სიამოვნებით!" მიუგო ბერზინმა და მისამართი ჩაიწერა.

მთელი ორი დღე ნატა უგუნებოდ იყო. რატომ ვერ უთხრა უარი? ნეტავ ამდენი ძალა ჰქონდა ამ ქვის კაცს? ქალი არც ისე ნაზი იყო, ოცდამეოთხე წლისა, ქვრივი, ბევრი რამ გამოეცადა. მაგრამ ასეთ ძალას „ჯერ არსად წასწყდომოდა. თამაზის ძალას სითბო ახლდა, ეს კი ხოლომდე ცივი იყო. ქალი დაღონდა. კიდევ კარგი, თამაზი არ იყო თბილისში — მოსკოვს მიევლინათ სცენარებისათვის. სიშორე განშორების ჰმატებდა. კიდევ იყო რაღაც, რაც ნატას გულმა საშველად იხმო — სამყაროს დოთლის ამბავი, რატომ ამჟამად მაშინ თამაზმა ითხოვთა-ლა, რატომ დაღლილა და დაფანტა? ეს როგორ დაემართა თამაზს, ძლიერს, თავდაჯერებულს? ნეტავ იცქირიან? ნატას მაშინ ეწყინა. ახლა უნებურად იმ წყენას აღვიძებდა.

დათქმულ საღამოს მოვიდა ბერზინი, ნატას თავისი წიგნი გადასცა. ქალს გაეწყო სტუმრისათვის სუფრა — ჩაი, ცოტაოდენი ხილი. ბერზინი უზრუნველად ჩამოჯდა ტახტზე; თითქოს აქაურობის ჩვეული სტუმარი ყოფილიყოს; თუმცა ფამილიარობის მაინც ვერაფერს დაამჩნევდა. სიტყვა არ ეწყო — ნატამ ვერ დაძლია შიში. ბერზინი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და სიტყვაში შეუმჩნევლად სამოქალაქო ომის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექსპონატებზე გადაიქცნენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა. ნატა ყურადღებით უსმენდა. რამდენიმე მოთხრობის შემდეგ ერთი მატარებლის ამბავი წამოიწყო მარჯვედ. ნამდვილი ეპოსის ნაწყვეტივით ჟღერდა ნაამბობი.

ეს მატარებელი იმ დალუქული ვაგონის ღვიძლი შვილი უნდა ყოფილიყო, რომელმაც თავის დროზე გერმანიის მიწა გადასერა, რათა რუსეთში რევოლუციის ცეცხლი დაენთო. დალუქული ვაგონი რევოლუციური ტვირთით იყო გატენილი — ლენინითა და მისი ერთგული ხალხით. ეს მატარებელი კი რევოლუციურ ენერგიის აავსო. იმხანად იმის ფრონტი რვა ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული. ჯარი მოწყდა მოსკოვს, რევოლუციის გულს, რომლის ფეთქვას ფრონტებამდე უნდა მიეღწია. ეს გულისცემა მატერიალურ ძალასავით უნდა გადასცემოდა ჯარს — ის, რა ტვირთის დაატარებდა ის ფანტასტიური ეშელონი. გამარჯვების ნებით გაცოცხლებულს მოუქონდა ცეცხლი, რევოლუციის ვნება და სულისკვეთება. იმედისა და აღმაფრენის გასაღვივებლად მისი ერთი გამოჩენაც კმაროდა. მატარებელში იყო სამდივნო, ტელეგრაფი, სტამბა, რადიო, ელექტროსადგური, ბიბლიოთეკა, აბანო; ასევე გარაჟი ბენზინით, მანქანებით, ტანკებით. სადაც მატარებელი ვერ გადიოდა, იქ მანქანებით და ტანკებით გადიოდნენ ას კილომეტრამდე მანძილს. მოსკოვთან კავშირი წუთით არ წყდებოდა; პირდაპირ ხაზი მუშაობდა დღისით და ღამით. მოსკოვის ძალა — მტრის შურის ძიება — ამ მატარებელში დაგროვდა. გაზეთი გზაში გამოდიოდა. ანტენა დაჰყვენეს და უნაპირო რუსულ სტეპებში — თოვლის ნამქერის, მარტოობის და დარდის სამეფოში — ნაცნობიდან, უცნობიდან იღებდნენ ცნობებს. მატარებელი ჯარს ამხნევებდა, მის სიმამაცეს აორკეცებდა. თუ რომელიმე ქვედანაყოფი გასაჭირში ჩავარდებოდა, ტროცკი — ის ახლდა მატარებელს — თათბირს იწვევდა. მასში კომისრები, წითელგვარდიელები, ადგილობრივი პარტიული ჯგუფი და პროფკავშირების წევრები მონაწილეობდნენ. დაძაბულ შრომაში ერთის ინტერესი მეორეს ედებოდა. ერთობლივი გარჯა შობდა გამოსავალს — გასაჭირში ჩავარდნილთა მოულოდნელ ხსნას. ჩექმები, ტყავის ქურთუკები, იარაღი, თამბაქო, ასანთი, თეთრეული — ყველაფერს ამას მატარებელი აწვდიდა არმიას, ოღონდ კი ცეცხლი არ ჩამქრალიყო. ხშირად ერთ მხედრულ ნაპერწკალს ძალუძს ცეცხლი ჩაქრობას გადაარჩინოს. თუ პოლკის გაძლიერება იყო საჭირო, სანდო მუშებს და თავგამეტებულ კომუნისტებს გზავნიდნენ — დასუსტებული პოლკიც კვლავ პოულობდა იერიშისთვის საჭირო ძალას. მატარებელშიც იყო ორასი-სამასი ნაცადი მეომარი. ამ რეზერვს ბევრჯერ გადაუწყვეტია უმძიმესი ბრძოლის ბედი. ხანდახან მატარებელი ჯარს ადგილობრივი გლეხებით, პარტიზანებით და პატიმრებით შევსებაში ეხმარებოდა. სამარა, ჩელიაბინსკი, ვიატკა, პეტროგრადი, ბალაშოვი, სმოლენსკი, ისევ სამარა, ჩელიაბინსკი, როსტოვი, ნოვოჩერკასკი, კიევი, ჟიტომირი — საჭირო დროს ყველგან ჩნდებოდა ეს ლეგენდარული გმირი. მატარებელმა ოცდათექვსმეტი გზობა გაიარა, ათეულ ათასობით კილომეტრი მოიტოვა უკან. კიევიდან თუ ვიატკიდან, ციმბირიდან თუ ყირიმიდან — ყველა მხრიდან შველას ითხოვდნენ. მატარებელიც მუდამ მზად იყო.

ნატა დაძაბული უგდებდა ყურს ბერზენის ნაამბობს. დედით რუსი იყო და დაუვიწყარი რუსული სტეპები აგონდებოდა. იმ სტეპებს სერავდა ლეგენდარული მატარებელი, რომლის ამბავსაც ჰყვებოდა ბერზენი. იგი არ იყო მჭევრმეტყველი, მაგრამ მის სიტყვებს არ აკლდა დამაჯერებლობა. თხრობისას ხშირად ჩერდებოდა. ნატას თვალწინ დატრიალდა უმაგალითო ომი, რომელშიც ძმები ერთმანეთს ხოცავდნენ. მატარებლის პათოსმა გაიტაცა — ეს ომი გარდაუვალად მიაჩნდა. მეტიც: ზო-

გვერ ეჩვენებოდა, რომ სამართალი მატარებლის მხარეს იყო — ისე ემოქმედა ბერზინის მოხელეებზე სიტყვებს, სიმტკიცე, სიმშვიდე. შეურყევლობა, შეუპოვრობა — ეს ყველაფერი გამოსჭვიოდა მის ნაამბობში. ბერზინი მატარებლის ცხოვრების მრავალ ეპიზოდს გადმოსცემდა, — ყველგან ტროცკის დემონური აჩრდილი მოჩანდა, თუმცა კი ამ მხარეს მხოლოდ გაკვრით ეხებოდა. გასაოცარი რწმენა და საშინელი ნებისყოფა ერთდროულად დაინახა ნატამ ბერზინში. იმ მატარებლის ნაწილი ხომ არ იყო ისიც? გაიფიქრა ნატამ. ქალის ეჭვი გამართლდა: ამბის დასასრულს სასხვათაშორისოდ ბერზინმა ხმადაბლა თქვა, რომ თვითონ ამ მატარებლის მეზღვარი და მებრძოლი იყო. ნატა შეკრთა, ეს რომ გაიგონა. თვალებში ჩაჩედა. ხელშესახებად ცხადად დაუდგა თვალწინ ის მატარებელი და მისი ხალხი — ცივი, პირქუში, მტკიცე. ქალი შიშმა შეიპყრო. აკვირდებოდა ამ კაცს და მასში ორად ორ ელემენტს ამჩნევდა: ცინსა და ნებას, პირველს — ცოცხლისებრს, მეორეს — რკინის. სულის კვალიც არ იყო. ქალი გაფითრდა: რაღაც ეზიდებოდა მისკენ, რაც სძულდა. ბერზინი მიხვდა, რომ შთაბეჭდილება მოახდინა. ერთბაშად წამოხტა და დაემშვიდობა ქალს. ნატა დაიბნა.

თამაზისგან თითქმის ყოველ დღე იღებდა წერილს. ყოველ წერილში იყო მონატრება, ტკივილიც, რადგან ნატასგან იშვიათად თუ ისმოდა რამე, ისიც არაფრისმთქმელი. და ეს მაშინ, როცა წერილების წერა სწორედ ნატას შეეძლო. თამაზი იტანჯებოდა, მაგრამ არც ერთ წერილში ეჭვის ნატამალიც არ გამჟღავნებულა. ეს აბარებდა ნატას. ხშირად უთქვამს თამაზისთვის: უკანასკნელ ატომამდე წრფელი უნდა იყო, რომ საუსნებით გამოხატო შენი გრძნობა წერილში. განა ნატა ახლა წრფელი არ იყო? იყო, მაგრამ ბერზინთან შეხვედრამ აამღვრია მისი არსება. ანკარა წყაროსაც შეიძლება იგივე შეემთხვეს, ფიქრობდა ის. აქ არ ყოფილა ამღვრევა — გრძნობით სურვილის უტყუარი ნიშანი. პირიქით, ბერზინი უსქესო არსებად ეჩვენებოდა. აქ სხვა რამ მოქმედებდა — უცხო ძალა. ხანდახან ისიც კი ეჩვენებოდა, რომ ეს ძალა ბერზინს სულაც არ ეკუთვნოდა, მით უფრო სახიფათო ჩანდა ეს კაცი. მან დაატყვევა ნატა თავისი უცხოგვარობით. ქალი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ძალის უკან ბერზინში რაღაც სხვაც იმალებოდა. ის არ ცდებოდა: ბერზინი ერთ დროს ხარკოვის გპუ-ში მოღვაწეობდა, მაშინ ბევრი სისხლი დაღვარა. ამ სისხლს ხომ არ გრძნობდა ქალი?

V

## დაბლეჯილი ლეირთის ხორცადქცეული ნაწილი

თამაზი თბილისში დაბრუნდა. გზად კვლავ ის უნაპირო, გადამწვარი, ნალეწილიანი ტრამალები გამოიარა. ძლივსღა ტრიალებდნენ მიტოვებული ქარის წისქვილები. თითქოს ხალხთა გადასახლება ყოფილიყოს, ყოველ სადგურში ბავშვთა და მოზრდილთა ბრბო მატარებელს წალეკვით ემუქრებოდა. მეჭკარის, ლანძღვა-გინების მეტი არაფერი ისმოდა ჰორიზონტში. ერთმანეთს ავიწროებდნენ; სურსათ-სანოვაგით თუ ტანსაცმლით სავსე ტომრები, თავზემოთ რომ დაელაგებინათ თაროებზე, დაბლა ცვიოდა — ლანძღვა-გინებისა და ჭყივილის ახალი ტალღა გადაუვლიდა ვაგონს. მხოლოდ რისხვა როდი ეწითა თვალებში: ენით გამოუთქმელი მწუხარებაც საშინელი ადამიანების დაკარგვის გამო, განშორების ტკივილიც. საიდან მოდიოდნენ ეს ადამიანები? საით მიემართებოდნენ? ვერავინ იტყოდა. მიწასთან დაკავშირებული მყარი ცხოვრება აღარ არსებობდა. რისხვა გზაშივე ჰქრებოდა, ახლის და უცხოს ცნობის წადილი იმარჯვებდა. ცუდი თამბაქოს კვამლი, იოდოფორმისა და თვითნაბადი სპირტის სუნი ამძიმებდა ჰაერს. ხალხი სულ უფრო მჭიდროდ ეკვროდა ერთმანეთს; ისმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბუშრობა, ხმამაღალი სიცილი. ხვდებოდნენ უცხოები — შორდებოდნენ ახლობლები, დამშვიდობებისას ერთმანეთის გულისცემას გრძნობდნენ. თამაზი მხოლოდ გულს უგდებდა ყურს.

მისთვის გული მხოლოდ კუნთი არ იყო; ის იყო ხორცადქცეული ნაწილი მისტიურად დაგლეჯილი ღმერთისა. და როცა მისი გული სხვა ადამიანის გულს ეხებოდა, შიშნარევი სიხარული ეუფლებოდა: თითქოს ღმერთი ისევ მთელდებაო. ამიტომ უყვარდა მოგზაურობა: მუდამ ახალი შეხვედრები ელოდებოდა. ახალი გულების გამოცნობა. მრავალი ქვეყანა მოევლო: ევროპა, რუსეთი, სპარსეთი, თურქეთი, თურქესტანი; ყველგან ახალი შეხვედრების ბედნიერება ელოდა. გული იხსნება გულისთვის, ფიქრობდა ის, თუმცა ყოველთვის ბოლომდე არა. მაგრამ რა ღვთაებრივია წამი, როცა ერთი გახსნილი გული მეორეს უახლოვდება — როგორც ატმის ერთი ნახევარი მეორეს? ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ წამს სადღაც გზაჯვარედინზე ვინმე მგზავრი ჩერდება, რომლის გული ჩემი გულისთვის არის შექმნილი, ფიქრობდა თამაზი. ასეთ დროს სევდა იპყრობდა. ან იქნებ ასეთი გული აღარ ძგერს? თამაზს წამით შეეკუმშებოდა გული. სიკვდილის შეხება თუ იყო?

ამ მგზავრობისას თბილისიდან მოსკოვში და უკან რამდენიმე ასეთ შეხვედრას შეესწრო. ერთ სადგურში ვიღაც ჩავიდა და ჩაისთვის მდუღარე ამოიტანა. ერთმა რომ ჩაიდნის აესება ვერ მოასწრო, მეორემ ცხელი წყალი გაუყო. მესამეს ჩაის დასატკბობად ვაშლი არ ჰქონდა — შაქარი არ იყო — მეოთხემ სიხარულით უწილადა ვაშლის ნაჭერი. ერთმა ბედის ნებიერმა მოულოდნელად ცოტა ძეხვი იშოვნა, გამხმარი, ობმოკიდებული. ჯიბის დანა ამოიღო, ერთი ნაჭერი ჩამოჭრა და მადიანად გაუწოდა მეზობელს. ვიღაც ქალი ვერ იძინებდა — შვილი უტიროდა — ერთმა უცნობმა ალერსით გაართო ბავშვი, დააძინა. ღამით იყო ღრმა ძილი, ხვრინვა და საძაგელი სუნი. სადღაც, რკინიგზის რომელიღაც მიტოვებულ უბანზე მატარებელი მოულოდნელად გაჩერდა — რამე ხომ არ მოხდა? — გარედან მემანქანის ყრუ ნაბიჯების ხმა და ქარით მონაბერი სიტყვები შემოდიოდა. ვისაც ჯერ არ ეძინა, გრძნობდა, როგორ შერთვოდა გული საგანთა სიმშვიდეს. შემდეგ მატარებელი ისევ დაიძრა.

თამაზი გრძნობდა: ახალი სიყვარული იბადებოდა, ან უკეთ, სიყვარულის წყურვილი, ყვირილი. გულები იღებოდა. ბედი აკავშირებდა ადამიანებს, ყოველი წამი სავსე იყო მოულოდნელობით. ეს ღვთის დაბადების მოლოდინს ჰგავდა. თამაზი ხანდახან ფიქრობდა: ყველა გულს რომ შეეძლოს სხვების შესაბამისად გაღება, ბოლომდე, მთლიანად, კოსმიურად, მაშინ ალბათ გამთელდებოდა დანაკუწებული ღმერთი. ამის გაფიქრებაზე კანკალებდა. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა. ეს გულები მყისვე უკან იხევდნენ, როგორც კი კაცი დღევანდელობას შეეხებოდა. თითქოს კამეჩმა ანკარა წყაროში ჩაადიჯაო — გული სამალავში ძვრებოდა, უჩინარდებოდა. მერე ზოგ სახეზე შიში ჩნდებოდა, სხვებზე ისევ უნდობლობა, ხანდახან მტრობაც. პირდაპირი შემოხედვა აღარ არსებობდა, სიტყვა უკან იხევდა, ძუნწდებოდა, საუბარი კალაპოტიდან ვარდებოდა, მიკიბულ-მოკიბული ხდებოდა. გამოცდილი კაცი მიმართებათა მთელს კიბეს შენიშნავდა — საბჭოეთთან მიახლოებას თუ მასთან გაუცხოებას, მტრობას, მიუკარებლობას. ზოგჯერ ვინმე უადგილო, ზედმეტ სიტყვას იტყოდა. მაშინ მოსაუბრეს სიჩუმე ატყდებოდა თავს, ყველა დუმდებოდა. მოსაუბრე გრძნობდა შეცდომას და მის გამოსწორებას იწყებდა. თვით გამოსწორებაც ფარულად ხდებოდა. ერთ სადგურზე თამაზი ასეთ სცენას შეესწრო: ვიღაც გლეხი მზესუმზირას აკნატუნებდა და კომუნისტებს ლანძღავდა. ბოლოს, თავისი სიტყვებისთვის რომ დამაჯერებლობა შეემატე-

ბიბლიოთეკა

ბინა. გადაფურთხება. იმავე წამს მოეჩვენა, რომ ერთ-ერთი გპუ-ელი მისკენ გამოემართა და ნერვიული ჩვეულება აუტყდა. თამაზი მიხვდა. გლეხი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აღშფოთებულის გადაფურთხება ჩვეულებრივ ხველებად გაესაღებინა. თამაზმა მწარედ ჩაეღიმა.

ერთი ასეთი თამაზის კუპეშიც იჯდა. განსაკუთრებით თვალში საცემი არაფერი სჭირდა, ოღონდ ეს იყო, სიამოვნებით ლაყბობდა, მხიარულობდა და ყოველი საუბრის შემდეგ სიმღერას იწყებდა. სადგურებზე ჟურნალ-გაზეთებს ყიდულობდა, თუ განსაკუთრებულს გადააწყდებოდა რამე — ხმამაღლა კითხულობდა. კითხვისას მიგადამიგ თანამგზავრებს ათვალიერებდა, თითქოს მათი აზრის გაგება სურდა. თავიდან თამაზს გაქანებული კომუნისტი ეგონა. „დიდი სიძნელეების დაძლევა მოგვიხდება. იმედია, ჩვენ ამას შევძლებთ", ამბობდა ის. ამ წინადადებაში „ჩვენ" ხაზგასმულად და ერთგვარი პათოსით წარმოითქმებოდა. მოგვიანებით მახვილი შეუმჩნევლად „ჩვენ"-გან „დაძლევა"-ზე გადავიდა. თანდათანობით გამოიკვეთა „სიძნელეების" დაუძლეველი ბუნება, განსაკუთრებით რაც კოლექტივიზაციას შეეხებოდა. თამაზი ყურს უგდებდა. „აჰ", სხვას არას ამბობდა, ხანაც თავის დაქნევით გამოთქვამდა თავის აზრს. რამდენიმე სადგური გაიარეს. უცნობის სიტყვებში თანდათან იზრდებოდა „სიძნელეები". თამაზი ახლა შემარჯვენე ოპოზიციონერად თვლიდა მას. ერთ დღესაც არ გაუვლია, რომ მისი ლექსიკონიდან მთლად გაქრა „ჩვენ". მის წინადადებებში ახლა მხოლოდ უპირო „ისინი" მოქმედებდნენ: „ისინი აკეთებენ, აშენებენ" და სხვა ამგვარი. ამას დარწმუნებით წარმოთქვამდა, ხანდახან „მაგრამ"-იც ამოტივტივდებოდა. ახლა თამაზიც მონაწილეობდა საუბარში, თუმცა ფრთხილად, ამას ალბათ მის სიტყვაძუნწობას აწერდა უცნობი. როსტოვიდან მოყოლებული უცნობის „მაგრამ" აშკარა კრიტიკად იქცა. საოცარია, მხოლოდ ახლა გაიცნეს ერთმანეთი. თამაზი ხედავდა, რომ მისი თანამოსაუბრე კომუნისტი არ იყო. ალბათ მიტმასნილია, ფიქრობდა თამაზი. კრიტიკა კიდევ უფრო გამკვეთრდა, როცა დანარჩენმა ორმა მგზავრმა კუპე დატოვა. თამაზის მეზობელმა ასეთი ფაქტი მოიყვანა ხმადაბლა: 1920 წელს საბჭოებმა სამოქალაქო ომისაგან გაპარტახებულ უკრაინაში 5130000 ტონა ხორბალი მოიწიეს, 1930 წელს კი, სოფლის მეურნეობის აღდგენის პერიოდში — 8 776 000 ტონა. „წინსვლა დიდად შთამბეჭდავი ვერ არის", ირონიულად დაასკვნა. ახლა თამაზმაც წამოიწყო სიძნელეებზე ლაპარაკი, მაგრამ საუბარი ადვილად ვერ აეწყო. შემდეგ უცნობი სხვა საკითხებს შეეხო. როცა თამაზის მწერლობა შეიტყო, მყის ლიტერატურაზე ალაპარაკდა. ეტყობა, საკმაოდ კარგად იცნობდა საბჭოთა და საზღვარგარეთულ ლიტერატურას. თამაზი გაირინდა, თუმცა მოთმინება მთლად ვერ დაძლია. ახლა თანამგზავრს შეეტყო დაეჭვება. რა იყო ეს, უნდობლობა? მაგრამ საუბარი გააგრძელა. რაღა აღარ ახსენა? ლიტერატურა, კინო, თეატრი, შემდეგ ისევ: ხუთწლიანი გეგმა, კოლმეურნეობები, მანჯურიის საფრთხე, სტალინის მაგარი ხელი. არაფერი დარჩა განუხილავი. სულ უფრო გაბედულ გამოთქმებს არჩევდა. როცა ბაქოს მიუახლოვდნენ, მისმა სიტყვებმა მკაფიოდ კონტრრევოლუციური ელფერი შეიძინა. ამის შეტყობას გპუ-ელის ყურები არ სჭირდებოდა. გამბედაობასთან ერთად იმის სურვილიც ცხადად ემჩნეოდა, რომ თამაზსაც მიეღო მონაწილეობა საუბარში, მაგრამ თამაზი ბოლომდე მორიდებული დარჩა. თანამგზავრი დადუმდა, გუნება გაუფუჭდა. დაღამდა. ისინი დაწვნენ, დაიძინეს. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა ბაქოში შევიდნენ. უეცრად დაძახებამ გამოაღვიძა თამაზი:

„ამხანაგო ენგური!"

თამაზი წამოდგა და თვალები მოიფშვნიტა. მის წინ წასასვლელად გამზადებული თანამგზავრი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უმორჩილესად გთხოვთ მაპატიოთ, რომ გაგაღვიძეთ“, თქვა მან.

„არაფერია“, უპასუხა თამაზმა.

„მხოლოდ დამშვიდობება მინდოდა“.

„კარგია, რომ გამაღვიძეთ. მეც მსურდა თქვენთან დამშვიდობება“.

„ვინ იცის, შევხვდებით ოდესმე?“

„ვინ იცის?“

„თქვენ განსაკუთრებით შეეხეთ ჩემს გულს...“

„ძალიან მიხარია“.

„თქვენ შეეხეთ ჩემს გულს და... სამწუხარო იქნებოდა, თუ ჩემში დაეჭვდებოდით... ეს მოწამლავდა ჩვენი შეხვედრის სიხარულს“.

„ეგ რამ გაფიქრებინათ?“

თანამგზავრმა გამომცდელად შეხედა. თამაზს უხაროდა, რომ ღამით შედგა დამშვიდობება. ერთხელ კიდევ მოიფშვნიტა თვალები: ამ კაცმა მართლა ხომ არ ამოიკითხა მისი აზრები?

„მშვიდობით“, თქვა მგზავრმა მოწყენით.

„ღმერთით გევლოთ“, გულაჩუყებით უპასუხა თამაზმა.

მგზავრმა დატოვა ვაგონი. თამაზი კვლავ მიწვა, ძილი არ ეკარებოდა. რა მოხდა? პატარა, უმნიშვნელო ეპიზოდი. და მაინც მწვავე ტკივილს გრძნობდა. მთელი ორი დღე კაცი მისი თანამგზავრი იყო, იქნებ თანამოაზრე. რატომ ვერ გახსნეს გულები? ატმოსფერო რატომ იყო უნდობლობით გაჟღენთილი? რატომ ჩადგა ეჭვი მათ შორის? თამაზის გული მწუხარებას აღევსო. დაგლეჯილი ღმერთის ხორცადქცეული ნაწილი კვლავ მარტო იყო მასში, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილი, დაღონდა: სხვა ადამიანში ღმერთთან მიახლოება უკვე აღარ იყო შესაძლებელი. გული დაუმძიმდა. გარეთ იყო ქარი და სიმარტოვე. ერთი აზრი გაუჩნდა: იქნებ თვითონ გამომშვიდობება იყო ხაფანგი? მთელი ღამე ამ ეჭვს ებრძოდა. იქნებ კიდევ შეხვედროდა მას. მაშინ ბევრ რამეს ეტყოდნენ ერთმანეთს, დაახლოვდებოდნენ, — მაგრამ ახლა მანძილი დარჩა მაინც. რა დაძლევდა ამ მანძილს? ამისთვის სასწაული იქნებოდა საჭირო, გულის სასწაული. მაგრამ ჩვენს დროში რომელი გულია სასწაულისათვის მზად? თამაზი კიდევ უფრო შეწუხდა. ახლა საკუთარ თავს სდებდა ბრალს. მეტისმეტი სიფრთხილე რომ არ გამოეჩინა, იქნებ ეს შეხვედრა ღმერთის გამოცხადებით დამთავრებულიყო. ო, ეს სიფრთხილე! ეს შინაგანი შიში, ეს უმთავრესი სენი სიცოცხლის! ეს ღალატობაა, ცოდვაა სიცოცხლის წინაშე. თამაზი მარტო იყო. ის თანამგზავრი შორს იყო. მარტოობა, მიგდებულობა სდევდა მას გარშემო. „სად ხარ, ღმერთო?“ დაიყვირა გულში და დაავიწყდა, რომ ღმერთი ყველგანაა, სადაც გული ღიაა, სამსხვერპლო ცხოველის დარად მზად არის თავის შესათავაზებლად. „სად ხარ, ღმერთო?“ უეცრად სიცილი მოესმა, შეშინებულმა მოათვალიერა იქაურობა: ყველას ეძინა. ძილში თუ გაიცინა ვინმემ? ამით ინუგეშა თავი.

VI

## როცა სისხლს ღვრიან

თამაზი დარდს შეეპყრო. დარდს ავადმყოფობასავით გაედგა ფესვები მის სულში. ბაქოსთან მომხდარ სამგზავრო შემთხვევას ახალი ტკივილი დაემატა: ნატას მაგიდაზე ბერზინის წიგნი დახვდა — „თეატრი საბჭოეთში“. გველის ნაკბენივით დაუარა ტანში, როცა ავტორის გვარი წაიკითხა. ნელა აიღო წიგნი, გადაფურცლა. მიძღვნის წარწერას შეეფეთა. გაფითრდა. მდუმარედ იდგა, გაუნძრევლად, მაგიდას მიყრდნობილი. ნატამ შეამჩნია, როგორ იკბინა თამაზმა ტუჩზე; მიხვდა, რაოდენ აღელვებას იოკებდა. ქალი მოელოდა შეკითხვას, თუ საიდან გაჩნდა ეს წიგნი — კაცი დუმდა. სულ სხვა რამეზე იწყეს ლაპარაკი. თამაზს აღარ შეუხედავს წიგნისთვის. ქალი გრძნობდა კაცის გულს, მის ანთებულ სიხარულს განშორების შემდეგ. იმასაც ხედავდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შხამი ჩაეწვეთა სიხარულს. ახლა წუხდა, რომ არ დაუძერა ბერზინთას შეხვედრას. მაშინ არც ეს წიგნი იქნებოდა მაგიდაზე და არც წერილი ვაჟკაცის შუბლზე. მიუახლოვდა თამაზს, და თითქოს სურს, დარდი გაუქარვოს, მარჯვენა ხელი ალერსიანად გადაუსვა შუბლზე. თამაზმა ხელისგულზე აკოცა. ქალმა გაზრუნებული მზერა მიაპყრო კაცს ბედნიერების ბაზგმა წამით დაავიწყა ტკივილი, მაგრამ წიგნი არც ახლა უხსენებია არც ერთი სიტყვით. უეცრად მოაგონდა, რასაც ბუნდოვნად გრძნობდა მეზღვაურობის დროს. ნატას წერილების კილო სხვაგვარი იყო, ვიდრე საერთოდ. გრძნობა არ შესცვლია — ეს დანამდვილებით იცოდა; მაინც რაღაც ეცხო უნდა შეეპყრობოდა ქალს.

თამაზი იტანჯებოდა. ასეთ სულიერ მდგომარეობაში ქალაქის ქუჩრობებს გაურბოდა ხოლმე. ცდილობდა ბუნების წიაღში ცოტა ხნით მაინც განთავისუფლებულიყო ქალაქის ტერორისგან, სადაც მხოლოდ ნიღბებს ხვდებოდა. ასეთი ცდა სხვა დროს მუდამ გამარჯვებით თავდებოდა. დღეს კი ისე იყო, თითქოს მოძრაობის ენერგიც დაეკარგა; ტახტზე იწვა და წამოდგომა არ უნდოდა. წერა არ შეეძლო. რაღაც წიგნი აიღო; მხოლოდ მეოცე გვერდზე შეამჩნია, რომ გონებით სხვაგან იყო. წიგნი გვერდზე გადადო. ცხოვრება მწარე იყო, უბადრუკი. თანდათან გაუფერულება, დაჭკნობა თუ დაკარგვა — ეს იყო სიცოცხლის ხვედრი.

უეცრად დააკაკუნეს მოესმა. ადგა, კარი გააღო. პეტროვი შემოვიდა. ეს პეტროვი პარიზში ნახა ოთხმოციან წლებში. სოციალრევოლუციონერების მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა. გულკეთილი ფენხელა რუსული სახიდან ცბიერი მონღოლური თვალები იმზირებოდნენ. რბილი ნაბიჯები, ნაზი არსება, მოკრძალებული სიტყვები, მუდმივი ღიმილი და უხმო მოალერსე ხელები — ეს იყო მთელი პეტროვი. ოღონდ ხანდახან, ძალზე იშვიათად, მის სახეს რაღაც რისხვისა თუ სულსისმაგვარი გადაებოდნენ. ორი დღის წინ შეხვდა პეჩაში თამაზს. თამაზმა ვერ გაიხსენა, მთლად გამოცვლილიყო. პეტროვმა კი მცირეც იცნო. მოსკოვში მუშაობდა საგარეო ვაჭრობის კომისარიატში და თბილისში, როგორც თვითონ თქვა, განსაკუთრებული მისიით იყო მოვლინებული. თამაზი გაიხარა ამ შეხვედრამ, თუმცა შეუმჩნევარი ალღო სიფრთხილისკენ მოუწოდებდა. მისი გონება სხვანაირად სჯიდა. ადამიანები რომ თვრამეტი წელი არ ნახავენ ერთმანეთს, მათი ურთიერთობებიც იცვლება. თითოეული ადრინდელ გულითადობას ელის და ხედავს, რომ ის აღარსადაა. ეს ორივემ შეამჩნია; მაგრამ პეტროვი მიჩვეული იყო ასეთებს და დიდად არ შეწუხებულა. პარიზში პეტროვს თავისუფლად მოაზროვნეებს მიაკუთვნებდნენ. თამაზთან საუბარში გამოჩნდა, რომ ახლაც არაფერში ჩამორჩებოდა ევროპულ კულტურას. მთელი დღე ერთად გაატარეს. მასთან საუბარი თამაზისთვის ინტელექტუალური სიხარული იყო, თუმცა რაღაც ანტიპათიას ვერაფრით ძლევდა თავის თავში. პეტროვი მრავალ პრობლემას ეხებოდა, მუდამ რევოლუციასთან კავშირში. თამაზს ბაქოსთან მომხდარი ეპიზოდი ახსოვდა და უფრო გულდია იყო პეტროვთან. რევოლუციას არ უარყოფდა, პირიქით, თანამედროვე სამყაროს განდიდებისათვის აუცილებლადაც კი მიაჩნდა. მაგრამ რომ არ უარყოფდა, ეს არ ნიშნავდა, რომ ეთანხმებოდა; ყოველ შემთხვევაში, მის დასაცავად არ გამოდიოდა. თამაზი შეეცადა თავი აერიდებინა საბოლოო განაჩენისათვის და ძალზე მარჯვედ შეატრიალა საუბარი. ეს თავშეკავებულობა პეტროვისთვის საცნაური არ უნდა გამხდარიყო; მის დასაფარავად თამაზმა ხერხს მიმართა: გულუბრყვილოდ აჩვენა თავი, თითქოს არ ესმოდა ალმერული საკითხები. პეტროვი მიხვდა. ფარული ორთაბრძოლა გაჩაღდა. დღეს ბრძოლა გრძელდებოდა.

რა აღარ ახსენა პეტროვმა? რუდოლფ შტაინერი და მისი სკოლა, ფრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეა და მთელი ფსიქოანალიზი, იუნგი, ლეოპოლდ ციგლერი, ჰერმან კაიზერლინგი, მარტინ ბუბერისა და ოსკარ გოლდბერგის შეხედულებები ებრაელობაზე, ბახოფენის გაცოცხლება ლუდვიგ კლაგესის მიერ, ლეო ფრობენიუსი და ატლანტიდის კულტურის აღმოჩენა აფრიკის ტომებში, რასობრივი ფსიქოლოგია, ოკულტიზმი, ანდრე ჟიდი, პოლ ვალერი, ორტეგა ი გასეტი, უნამუნო — ყოველივე ამაში და კიდევ უფრო მეტში პეტროვი კარგად ერკვეოდა. თამაზი აღტაცებით უსმენდა. მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდეგ იშვიათადღა სმენია ფილოსოფიური და ლიტერატურული სიახლეები თავის ევროპელ მეგობართაგან.

„თუ გნებავთ, შემიძლია სხვადასხვა წიგნები გათხოვოთ", უთხრა პეტროვმა.

თამაზს სახეზე უეცარი გაკვირვება გამოეხატა. პეტროვი მყისვე მიხვდა: რაში სჭირდებოდა ეს წიგნები მას, ვინც მხოლოდ შემთხვევით და მცირე ხნით მოავლინეს თბილისში?

პეტროვმა, რომელმაც შეამჩნია მისი გაკვირვება, აუხსნა: „თქვენ იცით, მოსკოვიდან თბილისამდე თითქმის სამი დღე-ღამეა საჭირო, ამდენივე აქედან მოსკოვამდე. როგორმე ხომ უნდა გაიყვანოთ დრო. ამიტომ წიგნები დამაქვს ხოლმე თან. უცხოურ წიგნებს საზღვრის ვაჭრობის კომისარიატიდან ვიღებ. ოთხ-ხუთ წიგნს მაინც ვშთანთქავ მოგზაურობაში. იცით, მოგზაურობისას წიგნს სხვანაირი ხიბლი და განსაკუთრებული გემო აქვს".

ბევრს ლაპარაკობდნენ. უეცრად პეტროვს ფრობენიუსის ბოლო წიგნი გაახსენდა: „ბედმცოდნეობა კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით".

„წიგნი არ არის მარქსისტული", გაიცინა პეტროვმა, „მაგრამ ნამდვილად საინტერესოა, განსაკუთრებით თქვენთვის. თქვენ ხომ გიყვართ ძველი ბაბილონი თავისი დიდი ეპოსებითურთ. თუ არ ვცდები, ქართველები თქვენს უძველეს სამშობლოდ თვლით მას. ახლა კი მოისმინეთ", — პეტროვმა ამოიღო წიგნი ტყავის ჩანთიდან, გადაფურცლა და წაიკითხა: „თამუზისა და იშტარის სიკვდილი ბუნების სიკვდილია. მაგრამ რამდენადაც აქ უძველესი გადმოცემა უნდა იყოს მოცემული, მის ბაზაზედ უნდა ვიგულვოთ ქვეყანა, რომელშიც ბუნების სიკვდილი და გაცოცხლება საერთოდ მკაფიოდ ვლინდება. ტროპიკულ ან სუბტროპიკულ ქვეყნებში ეს არ დასტურდება. მითი ჩრდილოეთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, კასპიის ზღვის ნაპირზე) უნდა განვითარებულიყო".

პეტროვმა ღიმილით შეხედა თამაზს: „მმ, რას იტყვით ამაზე?"

თამაზი აენთო, როცა გაიგო, რომ ეს მითი კასპიის ზღვასთან იყო წარმოშობილი. ბაბილონური ეპოსები თამაზისთვის პოეზიის უმაღლესი გამოცხადება იყო; როგორ გაეხარდებოდა, თუ მათი სამშობლო მართლაც კასპიის ზღვის სანაპირო აღმოჩნდებოდა. პეტროვმა შეამჩნია თამაზის სიხარული და თვითონაც გამხიარულდა. მეტოქე უკვე მის ბადეში იყო გახვეული. თამაზიც გამოცოცხლდა.

„ვინ იცის, იქნებ გამართლდეს ფრობენიუსის ვარაუდი. თამუზ-იშტარის მითის სამშობლოდ ის აზერბაიჯანს უნდა მიიჩნევდეს, სადაც ზოროასტრი წარმოიშვა. ეს მითი უთუოდ უკავშირდება ზოროასტრის მითს — ვნებითა და აალებული ცეცხლით. შესაძლოა, საქართველოსთანაც ჰქონდეს მიმართება: ჰერეთში, საქართველოს ძველ კუთხეში, მთვარის კულტი ბატონობდა; მისი კვალი დღესაც სახილველია. რიტუალურად იგი თამუზ-იშტარის მითს უნდა ენათესავებოდეს".

„ნუთუ ეს შესაძლებელია?" სიხარულით წამოიძახა პეტროვმა.

ის მხოლოდ თამაზის სიტყვებს კი არ უგდებდა ყურს, არამედ კიდევ რაღაცას ამ სიტყვების უკან. ეს „რაღაც" ძალიან ფრთხილად უნდა მოსინჯულიყო — ამიტომ გადამეტებული მხიარულებით ფარავდა თავის განზრახვას.

უკვე წინასწარ ტკბებოდა გამარჯვებით.

საუბარი გრძელდებოდა. პეტროვი ახლა კაიზერლინგის ახალ წიგნზე ლაპარაკობდა — „სამხრეთამერიკულ მედიტაციებზე", — განსაკუთრებით იმ თავზე, რომელშიც სამხრეთამერიკული ყოფა „განის" იდეით არის ახსნილი. ბევრი რამ, რაც მიწას ეხება, უცხო არ იყო თამაზისთვის: კავკასიასა და საქართველოში მიწის ელემენტი არსებით როლს ასრულებს. საუბარს არაფერი აფერხებდა.

უეცრად, ეტყობა სხვათა შორის, პეტროვმა მექსიკაზე წამოიწყო საუბარი: „ადამიანის მსხვერპლი!" დაიწყო ხმადაბლა. „არსებობს რამე უფრო იდუმალი ქვეყანაზე? ადამიანი საკუთარი სისხლით კვებავს ღმერთს. ხომ გახსოვთ აზრაამი? ასევეა მექსიკაში, სადაც რჩეული ტაძარში მიჰყავთ".

პეტროვმა მცირე პაუზა გააკეთა. თამაზმა იგრძნო, რომ პეტროვი საშინელების თქმას აპირებდა და გაინაბა, თითქოს საფრთხისათვის მოემზადა. პეტროვმა განაგრძო:

„ფართო ქვაზე რჩეულ ყმაწვილს გააწვენენ, გახდიან. შემდეგ მოდის დიდი ქურუმი, ხელში ბასრი ქვის დანა უჭირავს. ყმაწვილს აკავებენ. ქურუმი ნელნელა, დინჯად იხრება. შემდეგ ელვის სისწრაფით სერავს ნორჩ მკერდს და გასისხლიანებული გული ამოაქვს. ისევ გულიც სიჩუმეა, ხალხი სასწაულს ელის. ქურუმი ჯერ კიდევ მფეთქავ გულს მაღლა იშვერს მზისკენ, თითქოს სურს მას დაანახოს: ეს შენი წილია. გული არის მზე და მზე არის გული. სისხლის წვეთები და მზის სხივები ერთმანეთს ერთვის. გასისხლიანებულ გულში იღვრება მზე. სისხლისგან გაცლილი გული მზით ივსება. შემდეგ ქურუმი ხალხისკენ ტრიალდება, აჩვენებს გულს. ხალხს ექსტაზი იტაცებს, ღვთაებრივი სიგიჟე იპყრობს".

პეტროვი გაიშრუჟა საკუთარმა სიტყვებმა. თამაზი იცნობდა ამ რიტუალს, ნაამბობმა მაინც შეძრა. ახლა ისე იყო შეპყრობილი, რომ პეტროვის პათეტიკურ სიტყვებში მსახიობობის კვალსაც ვერ ამჩნევდა. პეტროვი შეჩერდა.

„რას ფიქრობთ?" აღელვებით ჰკითხა თამაზს.

„რაღაც იდუმალი უნდა იყოს სისხლში", მიუგო თამაზმა; „ის ერთდროულად სხეულებრივია და ეხილავი. გაგონდებათ ბიბლიური „ნეფეში"? ეს არის სიცოცხლის ძალა, ღმერთის პლასტიური ელემენტი. მე ვფიქრობ, მსხვერპლები უკან უბრუნებენ სისხლს მას, ვინც მათ სისხლი, ესე იგი სიცოცხლე, აჩუქა".

„რათა მუდმივად შეინარჩუნონ მისტიური კავშირი ღმერთსა და ხალხს შორის...", ორაზროვნად დაუმატა პეტროვმა.

„სწორედ ეგ!" მიუგო თამაზმა. „ღმერთის შექმნილი ღმერთად უნდა იქცეს, ის ღმერთის წიაღში უნდა დაბრუნდეს. ღმერთს სისხლი სჭირდება, უსისხლოდ ღვთიური კვდება".

„მესმის...", თქვა პეტროვმა. „ეს გადმოცემა იმავე სახისა უნდა იყოს. კოკრეტის ნაპირას სამსხვერპლო ცხოველებს კლავდნენ. მკვდრების აჩრდილები ჭარდებოდნენ, რათა დაღვრილი სამსხვერპლო სისხლი შეესვათ და რამდენიმე წამით ხორცის გრძნობით სიცოცხლით დამტკბარიყვნენ".

„ასეა", დაუდასტურა თამაზმა.

„მაშასადამე, ღმერთებს სისხლი სწყურიათ?" მაცდურად იკითხა პეტროვმა.

„იმავე ზომით, როგორც ადამიანებს სწყურიათ ღმერთი", უბრალოდ მიუგო თამაზმა.

„ჰაა...", ამოიოხრა პეტროვმა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს უცხო რამ გაეგონოს.

„მხოლოდ სისხლი კრავს ადამიანს ღმერთთან", აღტაცებით აგრძელებდა თამაზი. „ძლიერია მექსიკის ხალხი: საკუთარი სისხლით კვებავს ღმერთს და მსხვერპლად მიტანილი სისხლით კვლავ იღებს ღვთიურ ძალებს".

„ნამდვილად... მაგრამ რა ძლიერი უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იყოს ის ქერუბი, რომელიც ნოჩჩ მკერდს აპობს და გასისხლიანებული გულს ამოაქვს?" იდუმალად დაიჩურჩულა პეტროვმა.

თამაზი გაოცდა. უცნაურმა დუმილმა დაისადგურა მათ შორის.

შემდეგ პეტროვმა კიდევ უფრო მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

„დიდი ოკულტური ძალა უნდა ჰქონდეს იმ ქერუბს".

თამაზი შეცბა; თავის თავს დაუბრუნდა.

დუმილი დამძიმდა.

„გპე-ელსაც ასეთი ძალა უნდა ჰქონდეს..." თქვა მოულოდნელად პეტროვმა.

თამაზი უცებ გულის სისინს გრძნობდა.

„როგორ?" მკვეთრად ჰკითხა.

„გპე-ელიც ღვრის სისხლს — მერედა როგორ?" გაიცინა პეტროვმა.

„მას არ სჭირდება ღმერთი!"

„ხოლო ღმერთს არ სჭირდება იგი, არა?"

„სწორედაც".

„აქ რაღაც სხვაა".

„გაუგებარია... სისხლი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის".

„და მხოლოდ მას სჭირდება სისხლი, ხომ მართალია?"

„სწორედაც".

„არა; მეორესაც სჭირდება".

„ვის?"

„ეშმაკს... ჰა, ჰა, ჰა...", მაცდურად გაიცინა პეტროვმა.

თამაზი დადარდიანდა. პეტროვი მზვერავი აჩრდილივით ედგა წინ, მის მოუსვენარ თვალებში ბოროტი ნაპერწკალი ბრწყინავდა. ლაპარაკი გაგრძელდა, თუმცა ცოტათი თავშეკავებულად. პეტროვი აღტაცებული კილოთი ლაპარაკობდა, მაგრამ გამოცდილი თვალი გამოიცნობდა ნაძალადევ აღტაცებას. და მაინც თამაზის მზერა ნისლიანი იყო. ახლა საშინელ ისტორიებს უამბობდა პეტროვი, ამტკიცებდა, რომ ზოგიერთი გპე-ელი ხელებს სისხლში იბანს. ასეთ სცენას მოჰყვა: ერთი გპეელი მძიმეჩექმებიან ერთ ლამაზ ქალს თითებს სისხლით სავსე აბაზანაში ჩაწევს — ქალს თვალი ებინდება და წინასწარმეტყველებას იწყებს. რაღას აღარ იგონებდა?

თამაზი დაბნეული ესმენდა. არ იცოდა, მართალს ამბობდა პეტროვი თუ რამე იმალებოდა მისი სიტყვების უკან.

„მერწმუნეთ: ვინც სისხლს ღვრის, ოკულტურ ძალას იღებს", გაიმეორა პეტროვმა თავდაჯერებული კილოთი.

„მხოლოდ მაშინ, თუ სისხლი ღმერთს ეწირება მსხვერპლად", მკვეთრად მოჭრა თამაზმა.

„არა მხოლოდ მაგ შემთხვევაში... შავი მაგია გაიხსენეთ".

პეტროვს ტუჩებზე გამომწვევმა ღიმილმა გადაურბინა. მისი მოუსვენარი თვალებიდან კოლოსავით გამოფრინდა რაღაც და თამაზს უჩხვლიტა. ეს უკანასკნელი გამოფხიზლდა, დადუმდა. ამ დუმილში პეტროვს თავისი აზრის ვერც უარყოფა ამოიჩინა, ვერც დადასტურება. ისე ჩანდა, თითქოს თამაზი მდუმარედ ფიქრობდა მის სიტყვებზე. სინამდვილეში ერთი სული ჰქონდა, როდის დატოვებდა სტუმარი.

პეტროვმა ერთხელ კიდევ სცადა რამე ეთქმევინებინა თამაზისათვის — ამაოდ: თამაზი საკუთარ თავში ჩაძირული დუმდა. მაშინ პეტროვი მკვეთრად წამოდგა, დაემშვიდობა და წავიდა.

თამაზი ჯერ კიდევ ფიქრებში ჩაფლული იჯდა. უეცრად კარი ჩუმად გაიღო და პეტროვის გოგრისავით თავი ერთხელ კიდევ გამოჩნდა.

„მაპატიეთ, ბატონო!" დაიწყო მან; „კინაღამ დამავიწყდა — მინდოდა გამეგო, რას ნიშნავს ქართულად „ჯუღა?"

ის კართან შეჩერდა და იღიმებოდა. თამაზი აილეწა: რა იმალება ამ უცნაური შეკითხვის უკან? გაიფიქრა მან. პეტროვმა მყისვე შეამჩნია მისი გაოცება და მლიქვნელური ღიმილით დაუმატა:

„გიკვირთ?... სტალინის ქართული

გვარი ხომ ჟღლაშვილია? „შვილი" უშუალო შთამომავლის უნდა ნიშნავდეს; ხოლო „ჟღლა" რა არის, ეს ვერც ერთმა ქართველმა ვერ ამიხსნა..."

„ძველი ქართული სიტყვა უნდა იყოს. რკინის წიდას ნიშნავს, რასაც სხვა ხალხები შლაკებს უწოდებენ", ძალისძალად უპასუხა თამაზმა.

„რკინის წიდა...", გაიცინა პეტროვმა; „უკეთესი იქნებოდა, გვარად რომ რქმეოდა „ჟღლა"— თუმცაღა რკინის წიდასაც შეიძლება მიენდო, პა?"

პეტროვმა კვლავ გაიცინა.

თამაზმა უეცრად ნათელმხილველივით განჭვრიტა ეს კაცი. მის ღიმილში დაინახა გამოწვევა, დაცინვა, მუქარა. ერთ წამს მოეჩვენა, რომ უნდა სწვდომოდა ამ მაცდურს და გარეთ გაეგდო, თუმცა თავი დაიოკა. პეტროვი ციკაციკით ერთხელ კიდევ დაემშვიდობა და ოთახიდან გარონინდა.

თამაზი დიდ ხანს იდგა გაშტერებული. რას ნიშნავდა ეს შეკითხვა „ჟღლას" შესახებ?, უეცრად რაღაცამ გაუელვა ტვინში, ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ მაცდურმა იცოდეს „ის"? თამაზი ძრწოლამ აიტანა. მაგრამ საიდან უნდა იცოდეს? აფორიაქებული ეკითხებოდა საკუთარ თავს. თითქოს ერთბაშად რაღაც გაახსენდაო, წამოხტა და საჩქაროდ ლევანისკენ გაეშურა.

უკრაინულიდან თარგმნა
ალექსანდრე პარხომენკომ

□ [illegible] □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭი ძნელაძე

## წიგნიდან: „გაძლება"

* * *

თუ ეს სამოცი წელი —
    წამში არ გასულიყოს, —
კიდევ ასი შეცოცხლოს
    და მით დაეტანჯულიყო;

თუ ეს სამოცი წელი —
    წამში არ გამდნარიყოს, —
თუნდაც დღესვე გავთავდე —
    მაგის რჯულიც არ იყოს;

თუ რამე გამეგება
    ვინმესი ან რამესი —
ლექსის წერა საქმეა
    უშესანიშნავესი;

მე მინახავს მკითხველი
    „ულისე" რომ არ ესმის...
ეს არ გახლავთ ამჟამად
    უმნიშვნელოვანესი;

თუ ეს წელი სამოცი —
ასს არ ჯობდეს ზოგისას, —
არაფერი მცოდნია
    ასაკობრიობისა!..

* * *

წამი, ყოველი წამი,
ო, შენით არს, ღმერთო!
შენით დგანან მთანი,
შენით ღელვენ ზღვანი!...
ღმერთო, გევედრები —
შენს საუფლოს შემრთო, —
სულს არ დაუსაზღვრო
უსაზღვრობის ზღვარი!...

დღეს სამყარო ფეთქავს
ჩეინ-სტოქსის სუნთქვით,
ლექსსაც გადმოედო
ყოფის არითმია...
თუმცა, რა გამოვა
ყველაფერი თუ ვთქვი, —
ასა, ბოლო სიტყვა
შენთვის დამითმია!...

## სასჯელი

რომ გამიჭირდა —
    ფიქრი დავიწყე:
ფიქრმა შვა გრძნობა,
    გრძნობამ — სტრიქონი!...
ღმერთო! —
    წარსული გადამავიწყე,
აწმყოს მე თვითონ გამოვიგონებ!...

რაც შეეხება მომავალს —
იგი
დიდიხანია აუხსნელია:
მომავლისაგან
დღევანდლის მკვდრნი
განკიცხვასა და დევნას ელიან!..

* * *

თუ ერთმანეთს არ წავეხმარებით,
თუ ერთმანეთს არ დავეხმარებით,
თუ ერთმანეთს არ გავეხარებით, —
ცხოვრებას ველარ გავეხვალებით!..

თუ ერთმანეთს არ მოვინახულებთ,
თუ ერთმანეთს არ მოვიმსახურებთ,
თუ არ მივაჭამ-მოვიქახუნებთ, —
დღეისდღეს ველარ გავეხვალებით!..

თუ ერთმანეთს არ შევეყვარებით,
თუ მართლა პირუტყვს შევედარებით,
თუ შურით სხვის ბედს დავეხარბებით,—
ცხოვრებას ველარ გავეხვალებით!.. —

...ერთმანეთს პირში სული ვუბეროთ,
ტანჯვა — ვუმცროთ,
ლხინი — ვუბევროთ,
თუ ერთმანეთი არ გვეყვარება, —
ცხოვრებას ველარ გავეხარებით!..

* * *

გაწვიმდება ალბათ... თუმცა —
არც ეს არის უთუმცაო!..
ფერით ოქროს მოაგავს თუ ცა,
ანუ —
მწიფე თუთუნსაო, —

ამტკიცებდა ამით თომა
(სიტყვა მისი არ გაწბილდეს!..)
ენ იცისო, — ამიტომაც
შეიძლება არ გაწვიმდეს!..

გვალვა დროშებს აფრიალებს,
ცეცხლის თვალებს აბრიალებს, —
ფერად ფარდებს ფხრიწავს ქარი...

ღმერთო! ღმერთო! გევედრები:
ერთი გადმოათქრიალე,
ერთი გადმოაჩქრიალე
ამ გადამწვარ მიწას წყალი!..

## იმედიანი ნუხილი

გზა ბედმა გადამიბერდა
    ოცდასამ მაისს — მარშან...
ტრემი გადამიბრუნდა,
    მაგრამ გზა მაინც არ ჩანს!..
კვლავ კატასტროფას მოველი,
    მომდევს ღრუბლების ხრო...
წარუვალია ყოველი,
    წარმავალია დრო!..
გზა ბედმა გადამიბერდა
    (ამას არ გიზამს ძმა!)
ტრემი გადამიბრუნდა,
    მაინც არა ჩანს გზა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზღვისპირა სოფელში მზის ჩასვლისას გაგონილი

აიაზმის წმინდა წყაროვ,
   არ გადაილევარო...
გული, გული, — გევედრები —
   არ გადაიღალო!..

მზეო, მზეო! — მწვანის დედავ, —
   ცეცხლი ხარ თუ წყარო;
მზეო, რამე ხომ არ გიჭირს, —
   ხომ არ წაგებმარო...

ავერ, გოგო ჩონგურს უკრავს,
   ტაშრულებს და ხარობს:

„მაღლა მთიდან მოდიოდნენ
   კაკალა და მარო..."

მზეო, მზეო! თბილო დედავ, —
   ნანასავით წყნარო...
„ბიჭო, შენ თუ არ გინდივარ,
   არც მე მიყვარხარო"

აიაზმის წმინდა ჩქერო —
   არ გადაილევარო...
მზეო, მზეო, მაცოცხლებო,
ცეცხლი ხარ თუ წყარო!..

## სიკვდილის შემდეგ თქმული

[illegible] გელდიაძის ხსოვნას

სული,
როგორც ლორთქო ყანა
დასეტყვილი,
დაშეხილი, —
წუხდა, წუხდა,
სანამ პირში მედგა!..
რომ ინატრო
რამე ღვინო,
რომ ინატრო
რამე ხილი —
ზოგჯერ ისე
მინატრია სევდა!..
სევდაშია ზოგჯერ შვება.

(ნუ დამძრახავთ
შებრუნებულ აზრისთვის!..)
ზოგჯერ სისხლი
გაგიშრება
უკულმართი
ფიქრითა და საზრისით!...
ვერ იქნება
ვერასოდეს კმაყოფილად,
ქვეყნიერი ვინც ცოდვები
იტვირთა...
მზის ქვეშ ტანჯვა
არაფერი არ ყოფილა,
არაფერი —
შედარებით... სიკვდილთან!...

## სინანულის ლექსი

(ნაცნობ მოტივზე)

დაგტოვე, — უნდა დაგტოვე,
დაგტოვე, — უნდა დაგტოვე
დაგტოვე, — მინდა არ მინდა, —
სამშობლოვ, —
უნდა დაგტოვე!...

ეს ფიქრი ისე მწარეა —
გულში ხანდახან ვარ მთქმელი:
ან საქართველო არ გერქვას,
ან მე არ ვიყო ქართველი!...

## უბედურება

ყელში ხელს გვიჭერს ფარული და აშკარა მტერი,
ამ დროს ჩვენ თვითონ ერთმანეთს ვმტრობთ (სად ხარ ილია!..)
არეულია საგარეო საქმენი ჩვენნი,
მაგრამ... რას იტყვით: საშინაო დაწყობილია?!...

## გამარჯობა შენი!

უცებ ვიგრძენი: კავშირი არაფერთან არა მაქვს...
რომელ კავშირზეა ლაპარაკი? რაგვარ კავშირზეა საუბარი?..
ჩამოვისვი ხელები (სხეულზე შეეხებლად!..) ტანის ირგვლივად!..
არავითარი მყარი საგანი, არაფერი შესაგრძნობ-შესახები!.. მხოლოდ
ჰაერია ირგვლივ, ჩემი ტან-სხეულის ირგვლივ!... ისე კი (ო, ღმერთო!)
ადამიანს ყოველწამიერად ეჩვენება, რომ მას რაღაც ფიზიკურ-მყარი
კავშირი აქვს გარესამყაროსთან!.. რა არის ეს? ელექტრონი?...
თითქოს ტვინიდან გადის რაღაც, ფიზიკურად არსებული სპირალები და ეს
ბაზ-სპირალები, ეს აზრიანი „მავთულები" მიერთებულია გარესამყაროს
შეცნობად სივრცეებთან!.. და გაარსებებს და გაკავებს ეს გაცნობიერებული
კონტაქტები, დგახარ ფეხზე და აზროვნებ, მიდიხარ,მოდიხარ, მართავ
საკუთარ თავს...
ისე კი... შემოისვამ ირგვლივ სხეულზე ხელებს (ხორცთან მიეკარებლად...)
და ...ჰაერია მხოლოდ, ფიზიკურად შეეხებადი და შეგრძნობადი
ჰაერი!.. შენ კი-ხარ და ხარ, მიდი-მოდიხარ, სუნთქავ, აზროვნებ და
შეიცნობ სივრცეთა მიღმურ სამყაროსაც კი! კაცი ხარ რაღა!., კაციც და
ადამიანიც!... ხორცი სულის ცეცხლზე გეწვის და... ნელ-ნელა თავდები!...
„მწიფედ" მოაზროვნე თუ ხარ, — ნამდვილად შეიშლები, მეორეს, რომ
არ ხედავდე — შენს მსგავს არსებას!...
კიდევ კარგია —არსებობს მეორე ადამიანი!
კიდევ კარგი, რომ მარტო არა ხარ!..
— გამარჯობა შენი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯარჯი ფხოველი

* * *

თოვს,
ვარსკვლავების გაყინული ცრემლები
ცვივა.
ეს ღამე შენთვის აღარ მზიანობს.
გიახლოვდება შორეული, გლუვი და
ცივი,
გულზე რომ უნდა გადაგიაროს...
რა ტერფებს უძლებ, რა ჭრილობებს
და რამდენ ტკივილს,
მამულის მიწავ, გულდორღიანო!

* * *

არ მიყვარს თებერვალი
არც ჩიტებს უყვართ და არც ხეებს, ჩამობარდნილებს.

მაგის თოვლის ხელთათმანებს
სისხლი აცხია.

ამ თვეში მუდამ ძველი ჭრილობები მეხსნება;
ჩემი კვალია
სისხლის ზოლი თებერვლის თოვლზე...

ღმერთო, ნეტავი უამთვეოდ მოვიდნენ წლები,
მე ვერ ვიქნები ბედნიერი,

ეს მწარე თვე სანამ მოდის საქართველოში!

ის ნადირი ვარ,
თებერვალში მოსაკლავად რომ დასდევს ყველა:
თითქოს მე მეძებს თებერვალში ყველა სამიზნე.

ამ მწარე თვეში ჩემს სიმღერას
სიყვარული არ შეერევა:
სისხლი აცხია თებერვალში ნათქვამ სიმღერებს...

არ მიყვარს თებერვალი;
არ მიყვარს თებერვალი!

## ერთი კაცის სიკვდილი

შეცდომები
მის სწორხაზოვან ბიოგრაფიაში
მოჩანდნენ,
როგორც
კეთილშობილი
ხეები.

ხოლო თვითონ
მთელი ცხოვრება
იმ ხეების გამო ინაღვლა,
ის ხეები ვერ ამოძირკვა,
ის ხეები ვერ გადაწვა,
ის ხეები ვერ დაივიწყა...

ღმერთო,
რატომ ჰქონდა უშეცდომო კაცის
პრეტენზია,
ამ ფიქრს რატომ გაახეთქვინა გული! —
ვფიქრობ ეხლა იმის სამარესთან,
როცა
მიწყდა კუბოზე კაკუნი
და უკვდავი დავიწყება
როცა ადგამს პირველ ნაბიჯებს.

* * *

პოეზია ეძებს თავისთავს:
ბალახის ფოთოლში,
ყორნის ფრთაში,
მდინარის ხმაურში...
კაცის გულში, ქარის ქვითინში...
პოეზია ეძებს თავისთავს.

ჟალათის სულშიც
ცდილობს შეხედვას,
წარღვნის მღვრიე სარკეშიც კი სურს,
რომ თავისთავი ამოიცნოს:
დაფლეთილი,
გადამსხვრეული.

და მეც
ჩემი დაწყევლილი ბავშვობიდან
მომდევს,
მომდევს,
გველის წივილით
და მისი სუნთქვა საშველს არ მაძლევს!

## ეკოლოგიური ბალადა

ცათამბჯენის ფესვებიდან ამოსული
ყვავილი
ჰკნება
მეხრეჭების
მჯიღში
გაწურვილი
ჰაერის შეხებისას...
და თვალებზე ხელებს იფარებს...

ჰკნება ყვავილი.
ჰკნება გული.
ჰკრება მდინარე...
და რჩება მხოლოდ
ამ ქალაქის შემზარავი ხმა...

ჰკნება ყვავილი...
და თვალებზე ხელებს იფარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენი ქვები

მე შენს ქვებს ვეტყვი ჩემს სიმღერას: შენი ქვები
მზეზე ბრწყინავენ.

სალოცავის ქვები: ძველისძველი ცეცხლის შხეფები,
ვულკანის მდუღარე ყელი რომ გამოიარეს, ფანტელებად
რომ ეკიდნენ კენაპეტ ცაზე; ტანფები რომ დაუმძიმა
და მიწას რომ დაანარცხა ხსოვნის სიმძიმემ...

შენი ქვები მზეზე ბრწყინავენ...

სალოცავის ქვები: ძველისძველი ტანჯვის შხეფები,
ვულკანის ცეცხლში გამოვლილი სტრიქონები, მდუღარეში
ფეხდაბანილი, შორეული სიმღერების ფერადი თიხა,
შავეთის ფერფლი, ქვად რომ შეკრა დროსთან ბრძოლის
ავმა წყურვილმა, მიწის წვენმა, მდინარესთან ჰიდილის ქინმა.

შენი ქვები მზეზე ბრწყინავენ...

ნეტავ, ჩემს ლექსსაც მზე აწვიმდეს, თმას უწეწდეს
წვიმის სხივები... და ეგდოს ქვებთან ამ გრძელ გზაზე
და ჟანგისფერ ოფლს იშრალებდეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ შატაიძე

# პური

მოთხრობა

დაცხა. ფშატის ყვავილის დილანდელი ნაზი სურნელი დამძიმდა და მინდორში ჩაგუბდა. გულისგამაწვრილებლად ბზუოდნენ ფუტკრები, კრაზანები, ბუზები, ბუზანკლები. რაც უფრო მატულობდა სიცხე, მით უფრო ხმამაღალი და გამაბეზრებელი ხდებოდა იმათი ბჟუილი.

ცხენი მაინც სძოვდა — მოჭრილი, ხორციანი ჩიჩვირით ერთად აგროვებდა ბალახს, წინა კბილებით სჭრიდა და ახრამუნებდა. გაბმულ ზუზუნსა და ჭრიჭინების კრუალში ესმოდა სოფლის მხრიდან მონაფრენი ხმები: ქათმის კაკანი, ბავშვის ღნავილი, ზაქის შესაბრალისი ყოყინი. მისი პატარა, მოუსვენარი ყურები სულ იოლად იჭერდნენ ყოველ ბგერას, მაგრამ გარეგნულად მშვიდად სძოვდა — მიწაში ჩასმულ პალოზე გრძელი თოკით გამობმული დინჯად ტრიალებდა წრეში, თავჩაღუნული მეათასედ მაინც ეძებდა პატარა მოედანს, სადაც იმნაირად მოეპოხნა და მოესუფთავებინა ბალახი, რომ მწვანედ აღაღანებულ მინდორში ის წმინდად მოკალოებული ალაგი ფარგლით შემოხაზულს ჰგავდა.

იმ წრის იქით ამაოდ იწვდენდა კისერს ცხენი, ამაოდ ეწოდებოდა სიმწიფეში შესულ მაღალ იონჯასა და მელისკუდას — დაჭიმული თოკი არ უშვებდა. ამიტომ მიდიოდა და მისძოვდა წინა შემოვლაზე დაჭენებულ ძირებს, ჩიჩვირით რომ ვეღარაფერს სწვდებოდა, ჯერ კიდევ მაგარი, ყვითელი კბილებით ჰკორტნიდა კატაბალახას მირჩენილ როკს, მრავალძარღვას მიწაზე გაფარჩხულ ფოთლებს, დაბალ მატიტელას. მარტო ერთხელ ასწია თავი და ზემოთ, ფშატების ძირში გაფარჩხებულ, აშრიალებულ კორომს ფრთხილად გახედა: ხშირი, აყვავებული ბალებიდან მელას გამოეყო შავი დრუნჩი, ეყურებოდა... ცხენმა მუქარით დაბერა ნესტოები, დაიფრუთხუნა და ნადირიც უმალ გაქრა, მაგრამ ამის მერე ბალახს აღარ მიეკარებია, იდგა და სოფლისკენ იცქირებოდა. თეთრად ჩამოქნილ გზაზე არავინ ჩანდა. მაინც თვინიერად იდგა, იცდიდა და ძალიან რომ დააწუხა წყურვილმა, მაშინღა გაიწია, გაიწია და მიწაში ჩასმული პალო ისე იოლად ამოაგდო, თვითონვე გაუკვირდა. წრიდან გავიდა, იონჯაში შევიდა, მაგრამ აღარ გაჩერებულა, გზა განაგრძო. მიდიოდა და გრძელი თოკი უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთრევდა, თოკის ბოლოში მიბმული ბალო კი ბალახებში მხიარულ მალაყს გადადიოდა.

მზე რომ საშუადღეოდან გადავიდა და დასავლეთისკენ დაეშვა, სიცხე დადარჯა და მართალია, განიერ მინდორს ჯერ კიდევ ასდიოდა ალმური, მაინც შეება იგრძნეს ყვავილებმა — სოსნებმა, გვირილებმა და ფურცელმოჩუჩქურულმა ყაყაჩოებმა. თითქოს რაღაცისთვის ემზადებაო, იშმუშნებოდა მთელი ის იმოდენა ველი: ფუტკრები და ბუზანკლები ჩაცხრნენ, სამაგიეროდ ჭრიჭინებმა უმატეს კრუალს, მერცხლები დაბლა, თითქმის მიწის პირზე დაფრინავდნენ; დახტოდნენ გულწითელა, წიწკანა და ბოლოცეცხლა ჩიტები; ბელურები ყაჩაღებივით გუნდ-გუნდად აიშლებოდნენ ერთი რომელიმე ადგილიდან, წავიდოდნენ, წავიდოდნენ და მერეგან სადმე ჩასხდებოდნენ. იმათ ჟივილ-ხივილსა და ფრთების ფრთხიალს აინუნში არ აგდებდნენ თვალებგამოკუსული მწვანე ხვლიკები, ცეროდენა სფინქსებივით უძრავად რომ იწვნენ ბალახებში. აფრასავით იბერებოდა არჟაკელზე გაბმული აბლაბუდა, რომლის შუაგულში ქინძისთავისოდენა, ყავისფერი ობობა იჯდა და ნიავს აყოლილი ნელა ქანაობდა.

მზე კი სულაწრიალებული გადადიოდა დანაბეისის სერზე. რაღაცნაირი ზეიმური სიხარულით ეთხოვებოდა აქაურობას, ალერსიანი სხივებით ეფერებოდა განიერ მინდორს, მაღლა, გორზე შეფენილ სოფელს, მთათა ჩამოშწვანებულ კალთებს, ტყიან ფერდობებს და როცა ბოლოს ჩამუქებული ქედის გადაღმა გადაიწურა, გარემო ჩაყუჩდა, გაირინდა და მინდორში ბინდისპირის სიმშვიდე დაისადგურა.

მეცელამოყირილი ცხენი ფერდობზე მიმავალ ბილიკს მიუყვებოდა, გაჩქარებული მილაყუნებდა, მაგრამ ზანდახან მაინც წასძლევდა სული, სამძღვარზე ამოსული ბალახის დეყს მიეტანებოდა და ჩაჩუჩით იწევდა. ეგაგ ყოფით აიარა აღმართი და სოფლის ორღობეში შესული ახლა ხებილის ნეკერს მისწვდა, მაგრამ როცა ვიღაც თმაწვერგაბურძგნულმა კაცმა ბოსტნიდან მიწის გოროხი გამოესროლა და თან ერთი კარგი, ლაზათიანი გინებაც მოაყოლა, დაფრთხა, გაიქცა და თოკზე გამობმული ბალოც რაკარუკით თან გაიყოლა.

ორღობიდან სოფლის პატარა მოედანზე გავიდა, მწვანე ლოპრმოდებულ ნავს მიადგა და წყალს დაეწაფა. მოწყურებული ლონივრად სვამდა, ყურს არ უგდებდა წყაროსთან მოგროვილი ქალების წივილს, ნავის პირზე დამწკრივებულ კოკებს რომ მიესივნენ და ფეხებიდან ფათაფუთით აძალეს, ხოლო როცა ხილაბანდით პირახვეულმა ვიღაც კეშტმა დედაკაცმა გავაზე გამეტებით დასცხო მეშტი, ფეხი მოინაცვლა და გვერდზე ისე მიდგა, რომ წყლისთვის პირი არ მოუცილებია.

კარგა ხანს სვამდა. ნეტარებით გაბრუებულს თითქოს ამ ქვეყნისა აღარაფერი გაეგებოდა, მაგრამ პატარა, მოუსვენარ ყურებს მაინც გამუდმებით ატოკებდა, ყოველ ჩქამს, ყოველ ბგერას იჭერდა და ამიტომ კარგად ესმოდა შეშფოთებული ქალების ქოთქოთი, კრიახი, მათი ლაპარაკი:

— ვისია, ქა, ეს ტიალი?!

— იაკოფასია, მაღალი იაკოფასი!

— იაკოფა იმასა და ჭირი!

— როგორ მოსწყურებია, 'გენაცვალეთ?!

— ააცალე, ქალო, კოკა არ გაგიტეხოს!

— გვერდზე მიდექ, შე სამგლევ, შენა!

— კარგით, დააცადეთ, ღმერთი არა გწამთ?! დალიოს...

და ცხენიც სვამდა, ხარბად, გაუმაძღარი მოუთმენლობით ნთქავდა გრილ, მაცოცხლებელ სითხეს და ეჩვენებოდა, თითქოს ცაცხვის ეს უზარმაზარი ნავი სულ ერთიანად რომ ამოეხვრიპა, წყურვილს მაინც ვერ მოიკლავდა. მაგრამ თანდათანობით დაიცხრო ჟინი, ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ კიდევ მოწრუპა ღინჯად, დაგემოვნებით და თავი რომ აწია, ჩქერიდან წკრიალით ჩამოედინა წყლის გამჭვირვალე, ცივი წვეთები.

სოფელში კი საძოვრებიდან მობრუნებულ ნახირთან ერთად ნება-ნება შემოდიოდა საღამოს ბინდი. მტვრიან შარაზე გაჩხარებულნი მოდიოდნენ ტანმორჩილი ჭრელი ფურები, იმათ ღინჯად მოსდევდნენ მოზვრები და ქედებდაბებული ხარები, სულ ბოლოში ზანტი კამეჩები მოიზლაზნებოდნენ.

სოფელმა სული ჩაიდგა: ისმოდა ძაღლების ყეფა, ერთმანეთში ჩარეული ცხვარ-ბატკნის ჭყივილი, ცურებდაბერილი ძროხების ზმუილი და ფურ-კამეჩების ალერსიანი ყოყინი. შინდის რკლებით დაბმულ ხბორებსა და ზაქებს საცოდავად ებრიცებოდათ თვალები, გზისკენ იწევდნენ და ერთი სული ჰქონდათ, სანამ მოახლოებულ დედებს თბილ ჯიქნებში შეუყოფდნენ პატარა დრუნჩებს. ბანიანი მიწურების წინ კი ჩასაფრებულებივით იდგნენ საწველმომარჯვებული დედაკაცები, ზოგ ეზოში უკვე ისმოდა კიდეც ტოგანში ჩამავალი რძის ჩხრიალი და ჰაერშიც თბილი რძის საამო სურნელი ტრიალებდა.

— აშუქალო! — იძახდა ორღობეში ბატონკაცური სიდინჯით მომავალი თხისტყაოსანი მენახირე, — იცოდე, დილაზე, თუ შენი სულელი ძროხა აღარ გამაყოლო, დღე-დღევანდლამდე ფეხები ჩამაწყვიტა სირბილით!

ძროხის ცურთან ჩაცუცქული დედაბერი იმის ყვირილს ყურს არ უგდებდა, ან კი რა ანგარიშში ჩასაგდები იყო ტვინაფხეკი თავის რატრატი, დილით მაინც აღარაფერი ეხსომებოდა. ცოტა ხანში ახლა ქვემოდან ისმოდა იმისი ძახილი:

— ცხენი აშვებულა, იაკოფ, ცხენი!

— რას ამბობ, ბიჭო, სადა ნახე?!

— ზემოთ არი, წყაროსთან

ერთ ეზოში ახალგაზრდა ქალი წითელ ძროხას რქალზე აბამდა. მენახირე დადგა, ქალს ნაღვლიანი ღიმილით მიაჩერდა და დაუძახა:

— შენს გაზრდას, წყალი დამალევინე, ლხინავ!

ქალმა უსიტყვოდ დააბა ძროხა, უსიტყვოდ გაბრუნდა და სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. თათე იდგა და თვალს ვერ აცილებდა იმის ლამაზად მომრგვალებულ მხრებს, ვიწრო წელს, განიერ თეძოებს და როცა ქალი შინ შევიდა, ერთი ისეთი ამოიოხრა, ლამის გულიც თან ამოაყოლა.

ლხინამ დოქი და მომცრო ჩაფრუკა გამოიტანა, რომელსაც იქვე, იმის თვალწინ გამოავლო წყალი, გაავსო და მიაწოდა. თათემ სულმოუთქმელად დაცალა, ჩამოსველებულ მეჩხერ წვერზე ღონიერად გაისვა ხელის ზურგი, გაიღიმა და ყვითელი ღრჯოლები გამოაჩინა.

ქალი შეკრთა, შუბლი შეიკრა:

— წადი, გაიარე!

— რა იყო, გოგო?!

— გაიარე-მეთქი! — ქალმა ჩაფრუკა ხელიდან წაჰგლიჯა, მიბრუნდა და თითქმის სირბილით შევარდა სახლში.

გამობრუნდა თათეც და სახეგაბადრული, გაღიმებული, რაღაცნაირად გაამაყებული დაეშვა თავქვე.

ეზოებში კი უკვე იბუდებდნენ ქათმები — თხილებისა და თუთის ტოტებს შეხიზნულნი მოუსვენრად ფრთხიალებდნენ, კრიახით, კეტკეტით ირჩევდნენ მყუდრო ადგილს და დასაძინებლად ემზადებოდნენ.

ძროხები და ფურკამეჩები დედაკაცებს ახლა იმათი ნაშიერებისთვის მიენებებინათ და ისინიც, რძის ნაღვენთით პირჩატკბარუნებულები, სიამისაგან კუდაპრეხილები დაჭრეულები სწოვდნენ გამოცლილ ჯიქნებს.

ქალები უკვე სახლებში ტრიალებდნენ, სავახშმოდ ემზადებოდნენ. ზოგი ტაგნიდან ჯამზე დაკიდებულ ქვაბში ასხამდა რძეს, ზოგი ცეცხლს ანთებდა, ზოგიც ბნელ წალოში აჩხარუნებდა ჯამ-ჭურჭელს.

შინ მისულ თათეს დილანდელ ცივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილშეჭამანდში ჩაეფშვნა პური, უგემურად ილუღნებოდა და ლბილსა ლამაზ ლანდს თვალებგაშტერებული უღიმოდა.

კაცები გარეთ, მიხას კაკალჭვეშ ისხდნენ და დინჯად ბაასობდნენ:

— დილაზე ქალები უნდა წავასხა და ავაზელელო... არ გაავდარდეს, კაცო! — ამბობდა ბაჟა, ბებერი, მაგრამ ჯერ ისევ მაგარი კაცი.

— პეე... დღეს მზე ისე იკბინებოდა, რო!

— პა? ვითომ გაავდარდება, მიხავ?

მიხამ თავი აილო და ჩამოლამებულ ზეცას აჰხედა.

ჩამოიარა იაკოფამ, ცხენი დაეჭირა და შინ მიჰყავდა:

— სალამომშვიდობისა, მიხავ! გამარჯობათ, ხალხო!

— მშვიდობა მოგეცეს... ხვალ საღამომდე ფიქრი არ არი.

— გაგიმარჯოს! რათ?!

— ხვალ საღამომდე არ იწვიმებს — მეთქი.

— მოდი, იაკოფ, მოდი, დაისვენე!

მაღალი იაკოფა ახლოს მოვიდა, მაგრამ ცხენი აღვირით ეჭირა და არ ჩამომჯდარა.

ხეზე შეხორხლილი ქათმები ჩაჩუხრალიყვნენ, უკვე ეძინათ.

ბაგაზე ოხვრითა და ქშენით წვებოდა საქონელი...

ბალღებს ვახშამი მოუთავებინათ, ერთმანეთზე მიხუტებულნი ჩუმად იწვნენ და თვალებდაჭიდებულნი, ძილგამფრთხალნი უსმენდნენ დიდებს, რომლებიც საოცრად ტკბილ, იდუმალი ხმით ჰყვებოდნენ ხელმწიფის ოქროსქოჩრიანი ვაჟების საგმირო ამბებს.

ბოლოს კაცებიც ადგნენ, სიბნელეს შეერივნენ — სახლებს მიაშურეს. მარტო მიხალა იჯდა მორზე, მთვარის ამოსვლას ელოდებოდა და როცა ცის კიდეზე სისხლისფრად შეღებილი მნათობი ამოცურდა, შეკრთა, უნებურად შუბლისკენ გაექცა სამი თითი და პირჯვარი აჩქარებით გადაიწერა.

●

კლდეკარის მხრიდან ერთი შავი, შავად ჩაკუნაპეტებული ღრუბელი წამოვიდა, ნარინჯისფრად განდლერილებულ მთვარეს ზედ გადაეფარა და ისე ჩამოაბნელა იქაურობა, რომ თვალთან თითს ვეღარ მიიტანდა კაცი.

გოგია გაჩერდა, მაღლა აიხედა და გუნებაში იმ ღრუბელს ერთი გემოზე შეაგინა. მერე დაიძრა, სური ჩაიარა, მანქელებთან ღელეს გადაახტა, მაგრამ სიბნელეში კარგად ვერ მოზომა და ცალი ფეხი წყალში ჩატაკა. ეხლა უფრო გამეტებით შეაგინა იმ ღრუბელს, ბექზე აფიდა და სოფლისკენ დაეშვა. ქალამანში კარგა ხანს უჭყაპუნებდა წყალი, მაგრამ სიარულში თანდათან დაიწრიტა, გაშრა და გაჩუმდა.

ახლა უხმაუროდ მიდიოდა, უხმაუროდვე შევიდა სოფელში. უჩუმრად გაიარა ვიწრო ორღობე. მაქმანზაანთ სახლეუკან თხილებში ჩაჯდა, ხელისგულები პირთან მიიტანა და ორჯერ ჭოტივით დაიძახა. ერთხანს იჯდა და მაღალი იაკოფას სახლს თვალს არ აცილებდა, მერე ისევ დაიძახა ჭოტივით, ისევ ორჯერ.

სიბნელეში რაღაც გარაბუნდა და სახლის კარი გაიღო.

— სად მიხვალ, კაცო! — მოისმა ქალის ნამძინარევი ხმა.

— მოვალ, — გაეპასუხა მაღალი იაკოფა და თხილებისკენ წამოვიდა.

მოვიდა, შემოვიდა თხილებში და გოგიას გვერდით ჩაცუცქდა. ხომ ორივენი ჩაცუცქულები იყვნენ, გოგია მაინც ქვემოდან ასცქეროდა იმას.

— რომელი ხარ, ბიჭო?

— გოგია ვარ, კენიწი...

— რა გინდა?

— თელომ, ჭავარში ამოვიდესო.

— რა უნდა.

— რა ვი, უსიკვდილოთ ამოვიდესო...

იაკოფა წამოდგა და თხილის ბუჩქებს მთელი თავით ასცდა:

— წამოვიდე რამე?

— არა, არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკოფა წავიდა, გაუჩინარდა.

გოგია ტოტებს შეეპოტინა, ხელის ფათურით მოძებნა ფოთლებში მიმალული თხილები და კრეფა დაუწყო. ეტყობოდა მაგრად ესხა — მალიმალ პოულობდა და უბეში იყრიდა.

გამოჩნდა იაკოფა, მაგრამ თხილებისკენ აღარ გადმოუხვევია, გზაზე გავიდა და ზემოთ აუყვა...

გოგია ადგა, ხალათის გამობერილ უბეზე ხელი მოისვა, უხმოდ გაიცინა, ბაქმაზაანთ სახლს შემოუარა, ღობეზე გადახტა, ბოსტან-ბოსტან იარა და იაკოფას სოფლის თავში დაეწია.

ის შავი ღრუბელი ისევ ისე იყო გადაფარებული მთვარეზე და თვალწინ არაფერი ჩანდა, მაგრამ მაინც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ. უკან ძაღლის ყეფა მისდევდათ.

ავიდნენ ღელესთან. იაკოფა ისევე, ადგილიდანვე არწია და ზედ გადაევლო. გოგია გამოქანდა, ისკუპა, მაგრამ ცალი ფეხი მაინც ჩაუვარდა წყალში. აღარ შეუგინია.

ავიდნენ ფლატეზე და ღელის მარჯვენა ნაპირს გაუყვნენ. ახლა უკვე მხარდამხარ მიდიოდნენ. გოგიამ უბეში ხელი ჩაიყო და ერთი მუჭა თხილი ამოაცოცა:

— ჰა, თხილი არ გინდა?

იაკოფამ ცერად ჩამოჰხედა:

— ჰაი, რა მიწას ამოსაფარებელი ხარ, ვინც არ გიცნობს!

გოგიას გაეცინა:

— აჰა, გამომართვი!

იაკოფამ თხილი გამოართვა და კბილით გატეხა:

— აბა, ბიჭო, ხო უყურებ, რო ჯერ გული არა აქვს!

გატეხა გოგიამაც და მართლაც ბეწიტი გამოდგა. მეორეს პატარა, ქინძისთავისოდენა გული აღმოაჩნდა, სამაგიეროდ რძესავით იყო.

ეგრე, თხილის კნატა-კნუტით მიდიოდნენ.

— რაო, რა მინდაო?

გოგიამ პასუხის გაცემა დააყოვნა, მერე რაღაც სხვანაირი ხმით უპასუხა:

— ავიდეთ და თვითონ გვითხრას...

იაკოფამ ნაბიჯი დაავრძელა. გოგია ერთხანს ჩამორჩა, მაგრამ მალე სირბილზე გადავიდა და ჭავარში მისულები არ იყვნენ, რომ დაეწია კიდეც.

— აბა, სად არი? — მოუბრუნდა იაკოფა.

— ზემოთ, კაკლებთან.

ცოტაც იარეს და სიბნელეში გამოჩნდა დიდი კაკლები. იქიდან, ეტყობოდა, უკვე შენიშნეს, რადგან ჭოტის ძახილი შემოესმათ.

გოგიამაც გასძახა ორჯერ.

კაკლებქვეშ ხუთიოდ ბიჭი შეკრებილიყო — ზოგი იჯდა, ზოგიც ბალახზე მიწოლილიყო. აქვე იყო თედო გინტური და კიდევ ვიღაც უცხო, ქალაქურად ჩაცმული, მხრებში ჩაბრილი კაცი.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მიესალმა იაკოფა, მაგრამ სალამზე არავინ უპასუხა და მაშინვე მიხვდა, რომ აქ სხვანაირად იყო საქმე.

სიჩუმე იდგა. ნაკადულის საამო ლიკლიკი ისმოდა და კიდევ ზემოთ, ტყისპირში ნამდვილი ჭოტი კიოდა...

*

ღამის სიჩუმეში მშვიდად მიღიკღიკებდა ნაკადული და მისი ხმა უდარდელად ჩათვლემილ მიწას გულს უფონებდა. ნებივრად ფშვინავდა გარემო და სოფელსაც ეძინა. სიბნელეში შავად მოჩანდნენ ქოხები — ბანიანები, შეშინებული წიწილებივით ერთმანეთზე მიხუტებულნი. სოფლის თავში ნაბადმოხურული მწყემსივით იდგა თავისი მრევლის მოდარაჯე ძველი საყდარი. მიჩუმებულიყო არემარე. ძაღლიც კი არსად იყეფებოდა და იმ სიჩუმეში ძალიან შორიდან, თითქმის ქვეყნის დასასრულიდან, უცრად, რაღაც უცნაური ჩქამი მოვიდა — ჩუმი ფაჩუნი, როგორიც პეპლის ფრთათა უწყინარი, ნაზი შრიალი, მაგრამ იმ ხმამ მაინც წამოახტუნა მიხას სახლის სახოხეში მიწოლილი ფხიზელი ძაღლი. ნაგაზმა ყურები ცქვიტა, თავი აწია და ღამის გრილი ჰაერი ფრთხილად დაყნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა. ურთხის ეგრე იწვა, თავდებული, დაძაბული გასცქეროდა ღამის სიბნელეს. მერე წამოდგა, გაიზმორა და მოქნარებისას ყმუილისმაგვარი ჩქამი წასცდა.

ქოხებიდან ადამიანების უდარდელი ფშვინვა ისმოდა.

ეძინა მიხასაც. იმის შვილებს — ეროშანეთის მიმდევნო პატარა ბიჭებსა და გოგოებს სახეზე ნეტარი ღიმილი გადასდიოდათ, რადგან ახლა ისინი ზოგი ხელმწიფის ოქროსქოჩრიანი ვაჟები იყვნენ და ზოგიც ლარიბი მზეთუნახავები. სიზმრების იდუმალ ქვეყანაში დამორჩილობდა იმათი დედაც და თავად მიხაც იქავე იყო, იმ უცნაური შუქით განათებულ ძველ სასახლეში, სადაც ოქროს ტახტზე თეთრწვერა, თეთრჩოხიანი ღმერთი ზის, აქეთიქიდან კი ანგელოზები ამოსდგომიან.

— მოდი, მიხავ, მოდი... — ეუბნება ღმერთი და მიხაც უახლოვდება, კრძალვით, ცახცახით იჩოქებს. ღმერთი თავზე ხელისგულს ადებს და ისიც ისეთ სითბოსა და სიხარულს გრძნობს, რომ მთლად იღვენთება, ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები.

უეცრად გარეთ ძაღლი აყეფდა და სანამ გაეღვიძებოდა, მიხამ იგრძნო ყოვლის თავბრუდამხვევი სიჩქარით ჩაქანდა და ჩაეხეთქა უძირო ბნელში. თვალისდახამხამებაში გაქრა და გაშქაშა წრეების ქაოსში გაიბნა ყველაფერი. ძაღლის გაავებული ყეფა საცერველი სისწრაფით არღვევდა და აფერმკრთალებდა ყოველივეს და როცა ცხენის ფრუტუნი და კაცის ძახილიც გაიგონა, საბოლოოდ გამოფხიზლდა და თვალები გაახილა.

მაშინვე ავი უგრძნო გულმა, თუმცა ისეთი დრო იყო, კარგს არც არავის ელოდებოდა — სამწუხაროდ, გვალვამ და მოუსავლიანობამ ქვეყანა დაამშია, არაჭამთ გამოაცალა. ხალხი ცარიელ მხალზე გადადიოდა, სოფლის ქალები და გოგო-ბიჭობა ერთიანად მინდორში იყვნენ გაკრეფილები, ათასნაირ ბალახბულახს აგროვებდნენ, ხარშავდნენ და იმით გაჰქონდათ თავი. ამასობაში სოფლებს კალიასავით მოედნენ ლტოლვილები. ჩალის თავზარს სცემდა იმათი ჩამოკონკილი ტანსაცმელი, შიმშილისაგან ამოადებული თვალები და საშინლად გამოწვდილი, ჭუჭყისაგან შეჭმული ხელები.

თვითონ რა ჰქონდათ, იმათთვის რა უნდა მიეცათ, მაგრამ ძვალ-რბილში გამჯდარი სტუმართმოყვარეობის გრძნობა აიძულებდათ საკუთარი შვილებისთვის მოეკლოთ და შიგ დღეში ჩავარდნილი მოყვასი კი არ გაეწბილებინათ. ეგეც არ იყოს, ეცოდებოდათ, გული უკვდებოდათ, რადგან იმათაც, იმ საწყლებსაც ჰყავდათ შვილები — შიმშილისგან შეცვლილები, ტიტლიკანა ბალღები, ულითოდ რომ ღნაოდნენ და შიშის ბარტყებივით პირდაღებულნი ერთთავად საჭმელს სთხოვდნენ თავიანთ უბედურ მშობლებს.

არც აწბილებდნენ, თუ კი რამე ებადათ, შუაზე უყოფდნენ და ისინიც — გრძელწვერა, უბიწოდშეული კაცები და სიგამხდრისაგან ყვრიმალებამოჩრილი ქალები უცხო, გაუგებარ ენაზე უხდიდნენ მადლობას, პირჯვარს იწერდნენ, გამხდრჯნილი, ჭუჭყიან თავებს მოწამედ ხრიდნენ და მოწყალების სანაცვლოდ ათასგვარ სათქმით საქმეში ეხმარებოდნენ გლეხებს: ზამთრისათვის მომარაგებულ შეშას უჭრიდნენ, ვენახებსა და ნათესებს უხარავდნენ, ქვებსა და საპირფარეშოების ორმოებს უთხრიდნენ.

თავიდან ძალიან მოსწონდათ ეს უენებელი, კეთილხმოვან ენაზე მოუბარი ხალხი, უცქეროდათ იმათი განსაკუთრებული ღვთისმოშიშობა და უხაროდათ, რომ დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს ყველას ჯვარი ეკიდა კისერზე. მაგრამ სულ მალე მთელს დუნიას მოედო აჭაური მოსახლეობის მოწყალე გულის ამბავი და ქვეყნის ოთხივე კუთხიდან ლტოლვილების ისეთი უზარმაზარი, ულევი ნაკადი დაიძრა, რომ ისედაც შეჭირვებულებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ, რადგან ახლა ისინი ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წნის, ლოცვა-კურთხევისა და პირჯვრის წერის ნაცვლად უკვე მოითხოვდნენ, ილანძღებოდნენ, მუშტით მოიწევდნენ, არც ქურდობას თაკილობდნენ და არც ძალით წართმევას ერიდებოდნენ.

დაშინდა ხალხი, აქამდე დღენიადაგ მოღიავებულ კარებებს მაგარი ურდულები გაუყარეს, ფანჯრებზე დარაბები დააჭედეს, ძაღლი გაიკრიეს, ასეთი თვალი და ყური გამოისხეს, მაგრამ შიმშილისგან გამძვინვარებული ადამიანების შეკავება ძნელი გამოდგა: ისინი სულ იოლად აღებდნენ დაკეტილ კარებს, საგულდაგულოდ დამალულს ადვილად აგნებდნენ, წინააღმდეგობის გამწევსა და ხელის შემშლელს კი საშინელი, გაუგონარი სისასტიკით უსწორდებოდნენ.

თავზარდამცემი ამბები დადიოდა იმ ხალხზე, მაგრამ მიხამ კარგად იცოდა, რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, დღესდღეობით ცარიელ სტომაქს რომ გაუგონებინა, სტომაქს, რომელიც მას შემდეგ შეუყურყურებს ადამიანს, რაც ღმერთმა ადამ და ევა სამოთხიდან გამორეკა და თან გაჯავრებული მშობელივით მოაძახა — თქვენივ ოფლით მოიპოვეთ პური თქვენი არსობისაო.

თვითონ ბავშობიდან იცოდა ოფლით ნაშოვნი პურის ფასი: ჯერ ათი წლისაც არ იყო, მისი ადრე დაქვრივებული დედა ხელმეორედ რომ გათხოვდა, მაგრამ მამინაცვალი და იმისი მოზრდილი ქალები უკვე ლუკმას აყვედრიდნენ დაბადებით კოჭლ ობოლს, რომელსაც თავისი ხეიბრობის გამო ხნიერი გვერდად ვერ ეჭიდა — არც საქონელში გარბოდა, არც ვენახსა და მინდორში. აბა, ეგეთ მუქთამჭამელს ვინ შეინახავდა, კუტსა და არაფრისმაქნისს კისერზე ვინ დაისვამდა და მამინაცვალმაც, საკმაოდ შეძლებულმა გლეხმა, ქალაქში წაიყვანა, იქ ერთ ნაცნობ მეღუქნეს მიაბარა, თუმცა კი არ მიაბარა, ბრმა ლეკვივით აჩუქა და ისიც, ის მამაცხონებული მეღუქნეც, სწორედ ისე ექცეოდა, როგორც უბელო კაცი მოექცევა ნაჩუქარ ლეკვს.

არეთინის გარეთუბანში ჰქონდა დუქანი და მუშტარიც ბლომად ეხვია. პატარა სოფელი გაკვირვებული, პირდაღებული ათვალიერებდა წამსვლელ-მომსვლელს: ოჯახის დიასახლისებსა და ფელამუშპრუწიალ, კოხტა მოსამსახურე ბიჭებს, ლიპიან ვაჭრებსა და ტყავისფეშტამლიან ხელოსნებს, თინბაქ კინტოებსა და კურტნის მეშვებს, ურცხვ ლამაზმანებსა და თავისივით სოფლებიდან ჩამოხეტილ, მაგრამ უკვე გაეშმაკებულ ბალღებს.

ათასი ჯურის ათასის ენაზე მოლაპარაკე ხალხი შედი-გადიოდა დუქანში, ერთთავად ტკბილად მომღიმარე არეთინა კი ყველას იცნობდა, ყველას თავის ენაზე ელაპარაკებოდა, სტუმრის გულში იხედებოდა და სულ წვრილად იცოდა, ვის რა უხაროდა, ვის რა სწყინდა, ვის ჯიბეში რამდენი ოქრო ჩხრიალებდა. საღამოობით კი დუქანს რომ დაკეტავდა, სახიდან უცებ მოისხეპავდა იმ ღიმილს, დაღლილობისგან გასავათებული დახლთან ჩადგმულ სავარძელში ჩაესვენებოდა და საანგარიშოს კოჭებს აჩხაკუნებდა — იმდღევანდელ ნავაჭრს ითვლიდა, ქაღალდის ფულს ცალკე აწყობდა, ლითონისას ცალკე და თან წამდაუწუმ ეჭვით გასცქეროდა პატარა მიხას, სველი, ჭუჭყიანი ტილოთი დუქნის იატაკს რომ რეცხავდა და თვალის უპეებში ოფლჩამდგარი პატრონის საქმიანობას აინუნშიც არ აგდებდა.

გადიოდა დრო და მიუხედავად იმისა, რომ აქაური ცხოვრება, სოფლისაგან განსხვავებით, სულ სხვა წესსა და რიგზე იყო აწყობილი, მიხა მაინც იოლად ეგუებოდა ქალაქს. ახლა მარტო დუქანსა და იმის ახლო-მახლო ქუჩებს კი არა, თითქმის მთელ მტკვარგამოღმა უბანსაც იცნობდა, როგორც კი დროს იხელთებდა, მაშინვე მეიდანში ან მადათოვის კუნძულზე გარბოდა, სადაც ათასგვარ სანახაობას ბუზივით ეხვია ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად სწორედ მეიდანში ნახა აქლემი, მადათოვზე კი ნასწავლი სპილო, რომელიც ხელმარჯვე დალაქივით იქცეოდა — ვიღაც გამოპრანჭულ კაცს საპნისქაფიან ფუნჯს უსვამდა სახეზე და პარსავდა კიდეც. ნახა დაშნის მყლაპავები, პირიდან ცეცხლისმფრქვევლები, თოკზე მოსიარულენი, მაგრამ იქვე გახდა ერთი თავზარდამცემი ამბის მოწმეც — ზედ იმის თვალწინ ვიღაც ჯიბგირმა თავის ამხანაგს სამართებლით გამოსჭრა ყელი და მიხამ სულ ახლოდან დაინახა შავად პირდაღებული ჭრილობა, საიდანაც შადრევანივით ასხამდა სისხლი, გაიგონა მომაკვდავი კაცის ხრიტინი და მერეც, დიდობაშიც, ხშირად ესიზმრებოდა ხოლმე ყელგამოღადრული ადამიანი, საკუთარი სისხლის გუბეში თავწაჭრილი ქათამივით რომ ფართხალებდა.

ორ-სამ თვეში ერთხელ დუქანში შემოვიდოდა ვინმე ბეტესურა გლეხი, ქუდს კარებშივე მოიხდიდა, დახლში ჩამდგარ არუთინას მოწიწებით დაუკრავდა თავს და ამბობდა:

— ისა... ჩვენებური ბიჭი, აჰა...

— მოდი, კაცო, მოდი! — ამხნევებდა მედუქნე.

— აი, კოჭლი როსა, შენი ჭირიმე, მიხაი...

— ჰო, აქ არი, ბიჭო! — დაიძახებდა არუთინა, მაგრამ საწყობში მოფუსფუსე მიხაი, რომელსაც უკვე გაეგო გლეხის ხმა, სიხარულისაგან გულაჩქროლებული თაგვივით გაიტრუნებოდა, ყურს იგდებდა, გლეხთან შეხვედრის სიხარულს იხანგრძლივებდა.

დუქნიდან მკაფიოდ ისმოდა იმათი საუბარი და ისიც ისეთი გაფაციცებით უსმენდა, ისე უფართხალებდა გული, თითქოს იმ ჩვეულებრივ, არაფრისმთქმელ ფრაზებში რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, საგულდაგულოდ დაფარულ-დამალული საიდუმლოს ამოცნობას ლამობსო.

— რასა იქთ, როგორა ცხოვრობთ?

— მთქნარებით ეკითხებოდა არუთინა.

— რა ვი, შენი ჭირიმე, [illegible] ვცოცხლობთ...

— როგორი ამინდებია? — ამბობდა მედუქნე და თან საწყობის კარისკენ იყურებოდა, — სად დაიკარგა, ის ძაღლიან კარგი დედამამიშვილი?!

— გვალვაა, ბატონო, ცის ნამი გვენატრება...

— ჰო? არ ვარგა... ბიჭო-მეთქი!

მიხა კი ძალისძალით იოკებდა გულის ძგერას, ყელში მოჩრილ ხორკლიან ბურთს უკანვე იბრუნებდა და მღელვარებისგან გაოფლიანებულ ხელის გულებს ხალათის კალთებზე იმშრალებდა.

— ხორბალს ხო კარგი მაზანდა ჰქონდა? — ისმოდა დუქნიდან.

— კაარგი, შენი ჭირიმე, კაარგი!

— ვა, დაყრუვდა ის ოხერი?! — ბრაზობდა მოთმინებიდან გამოსული არუთინა და მიხაც, რაკი სხვა გზა აღარ იყო, საქმიანი ნაბიჯით გამოჩლახუნდებოდა საწყობიდან, გლეხს, ვითომც ვერ ამჩნევსო, გვერდს აუვლიდა და პირდაპირ მედუქნეს მიადგებოდა:

— მეძახდი, აღავ?

— ვა? გეძახდი, მა რა! — ხმაში სუსხს ირევდა არუთინა, მაგრამ უცბათვე გონს მოსული შაქარივით ტკბებოდა და მამობრივი სიყვარულით სახეგაბადრებული ალერსიანი ხმით ეუბნებოდა, — აი, მიხაჯან, ნახე, ვინ მოსულა!

ისიც მაშინვე შებრუნდებოდა გლეხისკენ, რომელიც იღლიაში ფუთაამოჩრილი უხერხულად ჭმუჭნიდა ნაბდის ქუდს და მორცხვად გაღიმებული ჭიანაჭამ კბილებს აჩენდა.

მერე იდგნენ, ერთმანეთს ქვეშ-ქვეშ შესცქეროდნენ და გამხიარულებული არუთინას სიცილი ესმოდათ:

— ახლო მიდი, რაღა! ვა, ეს ვინა ყოფილა?! ახლო მიდი-მეთქი! ჰო, ეგრე! ხელი ჩამოართვი...

ბიჭი ხელს უწვდიდა და გლეხიც თავის დიდრონ, ჭოპოსანივით ხორკლიან ხელისგულში იწყვდევდა იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა, ოფლიან მტევანს, ეღიმოდა, თუმცა კი აშკარად ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ თავის ვალს მოიხდიდა, სანამ მისას სოფლიდან გამოტანებულ ფუთას მიაჩეჩებდა ხელში და იქაურობას გაეცლებოდა.

— აი, ეს დედაშენმა გამოგატანა...

— ჰო, ძია!

— როგორ არი, გაიგე... ხო კარგა ხარ?

— კარგად, ძია!

— მაშ წავალ...

მიხა ჩუმად იდგა, ჭრელ ფუთას გულში იხუტებდა და ისეთი თვალებით ასცქეროდა, თითქოს გლეხს დედის დანაბარებიდან რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი დავიწყებოდა და იმის გახსენებას შესთხოვსო. ის კი უხმოდ, უსიტყვოდ გაბრუნდებოდა, გასასვლელისკენ მიდიოდა და კარის ზღურბლთან ერთი წამით შეყოვნებული ქუდს იხურავდა, ისეთნაირად ისწორებდა თავზე, თითქოს ეხლაღა მოაგონდა მიხას დედის დანაბარები, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა. ბოლოს ჩაიბურტყუნებდა — ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთო, გარეთ გავიდოდა და ქუჩაში მოზიმზიმე ხალხს შეერეოდა.

ქალაქში ჩვიდმეტ წელიწადს დაჰყო. მართალია მედუქნე შიმშილსა და თავში ჩათაქუნებას არ აკლებდა, მაგრამ ბევრი რამ ისეთიც ასწავლა, რამაც პატარა ხეიბარი კაცად აქცია. სწორედ იქ გაიგო მიხამ ფულის ყადრი, იმისი ყოვლისშემძლეობის ამბავი, ნიჭიც გამოაჩნდა — სულ მალე ისწავლა ჩოთქზე ანგარიში და ისე მარჯვედ აჩხაკუნებდა საანგარიშო კოჭებს, ძველი, გამოცდილი ვაჭარი გეგონებოდათ. მთელი დღის ფეხზე დგომისა და ძაღლივით კეთილის ქიცინისაგან სიქაგაცლილი ართუთინა საღამოობით განცვიფრებული დასცქეროდა ამ ცხვირმოუხოცავ ტეტიას, საკვირველი სიზუსტითა და სისწრაფით რომ აჯამებდა რიცხვებს.

მალე ისეთი ფხა გამოიჩინა, ეჭვიანი მედუქნე დაძმისაც ვერ გამოიჩენდა. თვრამეტი წლისა იყო, არუთინამ მოგების წილში რომ შეიყვანა, ოცდარვა წლისა კი, როცა ფულებით ჯიბეგამოტენილი, კარგ ბედაურზე გადამჯდარი მიხა თავის სოფელში ჩავიდა, სამიკიტნის წინ თავშეყრილ გლეხებს ვინმე კეთილშობილი აზნაური ან სულაც მთავრობის მოხელე ეგონათ — სასწრაფოდ მოიშვლიპეს ქუდები და ჩოხა-ახალუხიან, ვერცხლის ქამარ-ხანჯლიან მხედარს მდაბლად მიესალმნენ.

გუშინდელ დუქნის ბიჭს ასეთმა შეხვედრამ გული აუჩუყა. ცხენიდან ჩამობობღდა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

მაშინღა იცნეს საბრალო ხეიბარი!

ნირწამხდარები, ცოტა არ იყოს, გაბედნიერებულებიც კი მიაჩერდნენ და როცა გაზინზღლულმა შტამლიანმა თანდილამ, იმ სამიკიტნის პატრონმა, მიხას გამოწვდილ ხელს ზედაც არ დახედა, შეჩქეროებულ გლეხებს თვალი მოავლო და სიცილით თქვა — მე კაცი მეგონა და ჩვენი კოჭლი მიხა კი ყოფილა! — მიხვდა, რომ ესენი ეგრე იოლად არ აპატიებდნენ იმ მდაბალ სალამს და ბალღობიდან მოძულებულ ხეიბარს არც ამხანაგად გაიხდიდნენ. მიხვდა, რომ სოფელმა [illegible] ღვთის გლახას თანდილას პირით განაჩენი გამოუტანა, ალერსიანი დაცინვით წამოუტიელა თავში და მისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა.

— დაჰე, დაჰე, ზედგამოჭრილი პრისტავია! — იჭაჭებოდა მიკიტანი და გლეხებიც იცინოდნენ, ერთმანეთს თვალებს უპაჭუნებდნენ, მიხას აქეთ-იქით აწრიალებდნენ და ისე სინჯავდნენ, თითქოს კაცი კი არა, მადათოვის კუნძულზე გამოყვანილი, კისერზე ჯაჭვშებმული ჩოხიანი მაიმუნი ყოფილიყო.

ისიც ნირწამხდარი ტრიალებდა, ულაზღად იღიმებოდა და გაოგნებულს, რატომღაც გაბრუებულს ეჩვენებოდა, თითქოს ამ სანახაობას საიდანღაც, შორიდან უყურებდა, საკუთარ თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვისი თვალით შესცქეროდა, იმ გლეხებთან ერთად სწორიდა, სინჯავდა საწყალ ხეიბარს, სოფლის გასართობად, მის გასამხიარულებლად რომ მორთულიყო და ცოტა ხნის შემდეგ, როცა სიცილისგან ფერდებატკიებულ ხალხს იმისი ოინბაზობა ყელში ამოუვიდოდა, ისიც თავის ძველმანებს მოძებნიდა, ფათაფუთით გადაიცვამდა და იჭაურობას კრეჭით და მანჭვა-გრეხით გაეცლებოდა.

— თქვენ იცინეთ და ამას ფულიც ექნება ნაშოვნი! — თქვა მიკიტანმა და თითქოს ძლივს გაახსენდაო, მიხამ ენებურად უბეზე გადავლო ხელი და თითქოს სასწაული მოხდაო, მაშინვე ყველაფერმა ჩვეული სახე დაიბრუნა — მისი განზე გამდგარი სული კვლავ სხეულში ჩაბრუნდა და ახლა შორიდან კი აღარ უყურებდა თავის თავს, არამედ საკუთარი თვალებით შესცქეროდა ამ ბრიყვ გლეხებს, ყურში რომ წავლეთ მისთვის ხელი და იმ ადგილისკენ მიაჩნდრიკებდნენ, მათი აზრით ჭკუასუსტებსა და ხეიბრებს რომ უკეთენოდათ. მაგრამ მიხას სულაც არ ეპიტნავებოდა ის ოპიანი კუნჭული, სულაც არ ენდოდა სოფლის მენახირის, ტანსაცმელშემოფლეთილი ტვინაფრაკის ბედი გაეყო, რომელიც ბალღობიდან ახსოვდა და ვინაც თავისი სახელიც კი არ იცოდა, რადგან ყველანი, საკუთარი მშობლებიც კი მისი დღე და მოსწრება „სულელს“ ეძახდნენ.

მართალია, სოფელს თავისებური სიყვარულით უყვარდა ჭკუასუსტები და ხეიბრები, მოწყალებასაც და ლიმილს არ აკლებდა, ოღონდ არავის დაახედერინებდა, მაგრამ მიხას ჩირადაც არ უღირდა ამნაირი ქომაგი, რადგან ქალაქში გატარებულმა ტანჯვა-წვალების ჩვიდმეტმა წელიწადმა კარგად ასწავლა, რომ ყველაზე დიდი მოსარჩლე ფული იყო და მდიდარი კაცი, მთლად დაერდომილიც რომ ყოფილიყო, ბოგანისა და არაფრისმჭკონეს მაინც შედამ სჯობდა. არეთინის დუქანში ისეთ ჭეშმარიტებას ეზიარა, რომელიც ამათ ამ გლეხუჭებმა ყურმოკვრითაც არ იცოდნენ, რადგან ცხვირი არ გაეყოთ ამ კაკლის ნაჭუჭისოდენა სოფლიდან, სადაც ჯერ ისევ ძველი კანონები მოქმედებდა. ძველებურად იყო ცხოვრება აწყობილი და დედამიწაც ძველებურად ბრუნავდა.

მიხამ აგდებულად აათვალიერა მიკიტანი და უთხრა:

— ფულის მეტი რა მაქვს!

გლეხებმა ყურები ცქვიტეს, სახეზე ღიმილშერჩენილები რაღაც ახლის მოლოდინში გაილურსნენ.

— ბიჭოს?! — ჩაიფხუკუნა თანდილამ, — მაინც, რამდენი გექნება?

— რა შენი ჭკუის საქმეა! — გაიცინა მიხამ, — მიდი, სანამ კაი გუნებაზე ვარ, ამ პატიოსან ხალხს თითო ბოთლი ჩამოუდგი!

მერე ცხენი ღობის მარგილზე მიაბა და სამიკიტნოს ღია კარში შეჩლახუნდა.

— შემოდით... — შეთქმულივით დაისისინა თანდილამ და მიხას უკან მიჰყვა.

უხერხული სიცილით, თავების კანტურით და მორიდებული ხველებით შელაგდნენ პატარა, ფარდაგლება ფარდულში და მკვირცხლად დაფაცურებულ მიკიტანს მიაცქერდნენ, რომელიც ნაჭრით გამოჩორკნილ, ზინზილიან მაგიდაზე ბოთლებსა და ჭიქებს ალაგებდა და თან ისე იმანჭებოდა, თითქოს ნაძირალ ოინბაზობდა, თითქოს ჭამაზის დამხმარეა და იმის გამოსვლამდე იჭაურობას სანახაობისთვის ამზადებსო.

მიხა დაჯდა და გლეხებიც სულელური კრეჭით ჩამოსხდნენ, მაგიდას ირგვლივ შემოუმწკრივდნენ, ბოთლებს მისწვდნენ და ღვინო დაისხეს. სქელი, წითელი სითხე მადიანად ჩაიხლიჩინდა ჭიქებში და ვარდისფერი ქაფი მოიგდო. თითქოს ეხლავე დაარწმუნდნენ, მართლა გვასმევენო, კაცები გამოცოცხლდნენ, ახმაურდნენ, სუფრის თავში მჯდარი მიხა მადლიერების გრძნობით შეათვალიერეს.

— შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავ! — უთხრა ერთმა ხნიერმა გლეხმა, ჭიქა უკბილო პირზე მიიყუდა, გამოცალა და სველ ულვაშზე მაჯა გაისვა.

— გაგიმარჯოს!

— იცოცხლე, მიხავ!

— კარგად იყავ, გაგიმარჯოს!..

წელანდელი ყინული გალხვა, გულგვამში ნელ-ნელა დაუარათ საამო სითბომ და როცა გახალისებულმა მიხამ დაიძახა — თითო კვარტიც, მიკიტანო! — მოწონების ნიშნად თავები დააკანტურეს.

შებლშეკრული თანდილა ნელა წამოდგა, გულზე ხელებდაკრეფილი მიხას თავზე დაადგა და ზემოდან დაჰხედა:

— ჯერ ამისა, გადაიხადე!

გლეხები უხერხულად შეიშმუშნენ, თანდილას შეწუხებული სახით მიაჩერდნენ, მიხამაც მდუმარედ მოავლო თვალი სუფრას.

— არ მენდობი, შე კაი კაცო?!

— ვითომ რად უნდა გენდო რა, რომელი თარხან-მოურავი შენა მყევხარ!

მიხამ ჩოხის უბეში ჩაიყო ხელი, ასიგნაციების სქელი დასტა ამოიღო, იქიდან ერთი ცალი გამოაძრო, დაჰმუჭნა და მიკიტანს სახეში მიაგდო.

დუქანში სიოსავით გაირბინა ჩურჩულმა.

თანდილამ პირშივე დაიჭირა ფული, გაასწორა და სუფრასთან მსხდომთ გაკვირვებული მზერა მოავლო:

— ამისი ხურდა რო არა მაქვ?!

— მერე, რაღას მედიდგულები აქ! — დამცინავად გაიცინა მიხამ, წამოდგა, ფული უკან გამოართვა და ახლა ხალხს მიუბრუნდა, — ჰა, რომელი დაახურდავებთ?

სამიკიტნოში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, ქვემოთ, ხევში მიმავალი ნაკადულის ლიკლიკს გაიგონებდა კაცი.

— არა, შვილო, ემაგის ხურდა კნიაზისანთაც არ ექნებათ... — დაიჩიფჩიფა უკბილო ბერიკაცმა და თანდილას წარბებქვემოდან ახედა.

მიხამ ზიზღით მოათვალიერა ისინი, მიკიტანს მათრახის ტარი მიაბჯინა მკერდზე, გზიდან ჩამოიცილა, [illegible]ვიდა და ცოტა ხნის მერე იმისი ცხენის ფლოქვთა თქარუნმა სოფლის მიყუჩებული ორღობე აახმაურა.

გაავებული ძაღლი ღავღავებდა, ქვეყანას იკლებდა, ვიღაცას ეტანებოდა. დედაკაცსაც გაღვიძებოდა — ბუხართან ფუსფუსებდა, მიხა კი აჩქარებით იცვამდა შარვალს, ტახტქვეშ შეყრილ ჩექმებს ეძებდა და ავად შეჰკვნესოდა გული. ბოლოს, როცა ჩექმებსაც მიაგნო, ხვნეშით ჩაიცვა და წამოდგა, შალმობურვილმა დედაკაცმა ბუხრის თავზე შემოდგმული ჭრაქი აანთო და მიაწოდა.

იმათი თვალები სულ ერთი წამით შეხვდნენ, მაგრამ იმ ერთ წამშიც ათასი რამ უთხრეს ერთმანეთს...

კაცმა მეხის მძიმე კარს ურდული აჰყარა, ჭრაქით გაალო, გამჭვარტლული ჭრაქი მაღლა ასწია და სიბნელეს მიაშტერდა. ქალი ქმრის ზურგს უკან ატუზულიყო და ახლა, იმასთან შედარებით, პატარა და უმწეო ჩანდა.

საცოდავი ადამიანი იყო ეს დედაკაცი — ხუთი შვილი ჰყავდა და იმისი მოფერება და კოცნა-ალერსი ერთსაც არ ახსოვდა. წყევლა კი ისეთი იცოდა, ზეციდან ფრინველს ჩამოიღებდა. სულ ქვის ქვეშ აყენებდა ხუთივეს: აჭმევდა — წყევლა-კრულვით აჭმევდა, ასმევდა — წყევლა-კრულვით ასმევდა. მაგრამ მიხა მაინც გრძნობდა, რამხელა სიყვარულით უყვარდა ამ ქალს შვილები, მაინც ამჩნევდა იმის თაფლისფერ თვალებში ჩამდგარ შუქს და ტუჩის კუთხეებში მიმალულ ღიმილს, კარგად იცოდა იმ სიტყვების ფასიც, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც რომ წამოსცდებოდა ხოლმე — დედა დაგიმიწდეთ, შვილებო! ცამეტი წლის წინათ, იმ მარიამობა დღეს კი სულ სხვანაირი იყო — ნორჩი, მწვანე... ტოლებში ჩამდგარი სილამაზითა და სილაღით ყველასაგან გამორჩეული...

ჩითის კაბა ეცვა, ისიც ძველი, გახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული, ალაგ-ალაგ წმინდად, ფაქიზად ამოკემსილი. ერცხვენებოდა იმ თავისი კაბის გამო და ამხანაგებს, ლიბა-ატლასიან გოგოებს ეფარებოდა, მილეთის თვალს ემალებოდა. იმის მამას, ცალთვალა სანდუქას მოლილვით ეხვია წვრილშვილი — თერთმეტი ჰყავდა! ან რა სასმელ-საჭმელი ეყიდოდათ, ან რა ჩასაცმელ-დასახური, მაგრამ მაშინ მიხამ ჟერ კიდევ არ იცოდა ესენი, დაბლუკან იდგა და თვალებგაშტერებული, თავზარდაცემული შეჰყურებდა იმ პატარა ქალს და ეჩვენებოდა თითქოს რკინის მძიმე ურო დაეკრა ვინმეს თავში და ისე დაერეტიანებინა, როგორც ყასაბს დასაკლავი მოზვერი.

საყდრის ეზოში სახელდახელო დახლი ჰქონდა გამართული, დღეობა იყო და მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიას ბლომად ხალხი მოსწყდომოდა. ისმოდა არღნის ჭყვიტინი, დოლის ბაგაბუგი, ზურნის ჭიჭყინი და მთვრალი კაცების ღრიანცელი. დახლზე აისნაირი საქონელი გამოეფინა და მუშტარიც ბევრი ეხვია:

— ამ ფართლის არშინი რა ღირს, ბიჭო?

— აბა ერთი, სამი გირვანქა ბროდსკის შაქარი აგვიწონე!

— წინდის ჩხირები არა გაქვს, შვილო?

და მიხაც გაოგნებული, სახეზე უაზრო ღიმილდაფარებული ტრიალებდა, მუშტარს ფართლის ნაცვლად თაროს ფასს ეუბნებოდა, შაქრის მაგივრად პილპილს უწონიდა და გაოცებულ მყიდველს დაბნეული შეჰყურებდა.

ჩამოიარეს იმათაც, იმ გოგოებმაც. წინ ვიღაც თამამი ბარიშნა მოუძღოდათ ყიჟინით. დაუწყო იმან მიხას ხუმრობა — ნახე, რა საპატარძლო გოგოები მომიყვანია! — ცეცხლზე ნავთი დაუსხა იმ დალოცვილმა. დანარჩენები იცინოდნენ, დამფრთხალი ციცნებივით ეხუტებოდნენ ერთმანეთს. იცინოდა ის პატარა ქალიც, მაგრამ იმის სიცილში მაინც მეტი სიმორცხვე და რაღაცნაირი ნაღველი ერია. მერე დალიეს ლალიძის ლიმონათი, იყიდეს ფერჩიანი კანფეტები და წავიდნენ. წინ ისევ ის ყეენივით გოგო მიუძღოდათ, სხვები უკან მისდევდნენ — ერთმანეთს მიხუტებულნი, მოცინარნი, მოკეკლუცენი.

ჩაიარეს, მაგრამ იმას, იმ პატარა ქალის ფეხები უკან რჩებოდა, რამდენჯერმე მოიხედა კიდეც. ბოლოს ცდუნებას ველარ გაუძლო, მობრუნდა და ხარიხაზე გადაფენილ ქალალის თხელი თითებით წაეტანა, სინჯვა დაუწყო.

„ვაიმეთია, მა რა არი", — ფიქრობდა მიხა და თითქოს ყელში ხელი წაეჭირესო, სუნთქვა ეკვროდა, პირი უშრებოდა.

— აბა ერთი აქეთ მოიხედე, გოგო... — ამოთქვა ბოლოს, მაგრამ საკუთარმა ხმამ ისე დააფრთხო, რომ ერთხანს დაბნეული, გაოგნებული იფხანდა კეფას და როცა იმ პატარა ქალმაც ქვეშ-ქვეშ ამოხედა, მაშინღა მოეგო გონს, მაშინღა მოიბრუნა გამართული გული.

— ვისი ხარ, ქალო?

— სანდუქასი... — მორცხვად უპასუხა იმან, მაგრამ მაშინვე გაახსენდა გასათხოვარი ქალის წესი, კოპები შეიკრა, პირი გაიბუზა და შეუტია, — რაში გჭირდება, ვისიცა ვარ!

— მოიცა, ქალო, რადა ბრაზობ?! ცუდი ხო არაფერი მიკადრებია...

გოგოს ახლა თავისი სიფიცხისა შერცხვა, განზე გაიხედა, თვალით ამხანაგებს დაუწყო ძებნა, მაგრამ ისინი უკვე შორს წასულიყვნენ, სიცილ-ტკრციალით მიიკვლევდნენ გზას ხალხის ბრბოში. მიხა კი ჩუმად ათვალიერებდა ქალის ღარიბულ სამოსს — გახუნებულ კაბას, იაფფასიან ჩუსტებს და გრძნობდა, როგორ მშვიდდებოდა, როგორ ნელ-ნელა უბრუნდებოდა ჩვეული სიდინჯე და საკუთარი თავის რწმენა.

— მაშ სანდუქასი ხარ; ჰა?

პატარა ქალმა არ უპასუხა, თავი ჩალუნა და სახეზე სიწითლე მოედო.

მიხა არ იცნობდა სანდუქას, ან კი საიდან უნდა სცნობოდა, ამ სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულაც პირველად იყო, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, ჩაახველა და რიხიანად უთხრა:

— რას იტყვი, რო დღეის სწორზე ჩვენები გამოუგზავნონ მამაშენსა?

— უიმეე... უწინაც დღე დამლევია! — ლოყა ჩამოიგაზა გოგომ და გასაქცევად შებრუნდა, მაგრამ სანამ ხელში შეერჩოდა, მიხამ მაინც მოასწრო და დაეძახა:

— ვაჟკაცი კაცი ვარ, გოგო, დედოფალივით შეგინახავ!

იმავე დღეს გაიკითხ-გამოიკითხა და როცა გაიგო, ცალთვალა სანდუკა ბოგანო, წვრილშვილი გლეხი ყოფილიყო, ეამა, გული საგულეს ჩაიდო, კარის თავზე კი ნიშნობის ბეჭდითა და ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული დედა და მამინაცვალი გაუგზავნა, ქალი დაანიშნინა და ცოტა ხნის შემდეგ შინაც ისე მიიყვანა, პატარძალმა ქორწილის მეორე დღესვე შეიტყო ქმრის ხეიბრობა, მეორე დილიდოლა გაიგო, რომ მთელი თავისი ბედკრული ცხოვრება ამ დაფეხვილი კაცის მოვლა-პატრონობასა და ლოლიაობაში უნდა გაეტარებინა და დედოფლობას ეინლა ჩიოდა, მთელი იმხელა ოჯახიც — სახლ-კარი, სახნავ-სათესი, ვენახი, საქონელი და დუქანი იმისი თავშისაცემი უნდა გამხდარიყო.

მართლაც, ქორწილის წლისთავზე მიხას მამინაცვალი უფალმა მიიღო, დედა ლოგინად ჩავარდა, იავადა, იავადა და მოკვდა ისიც. მამინაცვლის ქალები ერთი ქალაქში იყო გათხოვილი, მეორე — მთიულებში, დააწვა ყველაფერი კისერზე იმას, იმ ბეჩავ ქალს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ერთი საყვედური არ წამოსცდენია, ერთი არ დაუკვნესია — ერთგული, ღონიერი ხარივით ეწეოდა მძიმე ჭაპანს.

— რომელი ხარ!

— გამოდი, კაცო, გამოგვხედე, შეგვჭამა ძაღლმა!

მიხამ უკან მიაბრუნა თავი, მაგრამ ცოლისთვის აღარ შეუხედავს, კედელზე მიყუდებული ჯოხი აიღო და ოთახიდან გავიდა...

ქალი ისევ იქ იდგა, სიბნელეში მზარალი, კარის ჩარჩოზე ხელმიბჯენილი, გარედან კი უკვე ისმოდა ლაპარაკი და მიხას ყვირილი — ძაღლს უწყრებოდა. ავი წინათგრძნობით შეპყრობილი ქალი თვალებგაშტერებული გასცქეროდა ქმარს, რომელსაც თავზემოთ აწეული ჭრაქი ეჭირა და მართალია, მისი სუსტი, მოციმციმე შუქი იმ სიბნელეში სხვას არავის აჩენდა, მაგრამ მაინც ხვდებოდა, რომ მოსულები შინ შემოსვლას ეპირებოდნენ.

ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან გაუმრავლდათ სტუმრები — გუშინწინ გინტერი და კიდევ სამი სხვა კაცი ეწვიათ — პური უნდა აგიწეროთო. მიხა სახეზე ღიმილგადაფენილი შემოუძღვა იმათ: რას ამბობთ, კაცო, რომელი პური, — იცინოდა, ათახთახებულ მუცელზე ხელებს იწყობდა. გინტერი და სამი კაცი მოლუშულები შესცქეროდნენ გამხიარულებულ მასპინძელს, ოთახს ათვალიერებდნენ, ერთი მათგანი დაიკუზა და ტახტქვეშაც კი შეიხედა.

ქალს სული ფეხებში ეპარებოდა, ღმერთს შესთხოვდა — ოღონდაც ეხლა გადაგვარჩინე, კაცს ავი არა მოსწონს რა და, თუ გინდა, მთელი პური ამათი ჭირის სანაცვლო იყოსო. პური კი ბევრი ჰქონდათ — ამბრები, ქვევრები, საკუჭნაო და, რაც მთავარია, ნაფუზარში გათხრილი უძირო ხარო, სულ ხორბლით იყო სავსე, მაგრამ საკუთარ შვილებსაც არ უმხელდნენ ამ ამბავს.

სოფელში ხმა დაყარეს — მთელი ჭირნახული ქალაქელ ვაჭარს მიჰყიდეთო. წინათ, სოფელში მართლაც ამოდიოდა ხოლმე ერთი ქალაქელი სომეხი, გლეხებისგან ხორბალს ყიდულობდა და კარგ ფასსაც იძლეოდა, მაგრამ როცა დაბერდა და სიარული ველარ შეიძლო, შუაკაცად და ხორბლის შემსყიდველად მიხა დაიყენა. გლეხებს მიხასთან უფრო ეიოლებოდათ საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰქერა, ვიდრე იმ გადამთიელ ვაჭართან — ეს მაინც ამათი იყო, ამათი სისხლი და ხორცი, ეს უფრო ღირდობდა. უნამუსოდ არ გაფუქანდა მეზობლებს და მიხამაც ფხა გამოიჩინა: ქალაქელი ვაჭრისგან განსხვავებით გლეხებს წინასწარ ურიგდებოდა, ბეს აძლევდა, მკათათვეში კი ზედ კალოზე მიუყენებდა ურმებს, იქიდანვე მიჰქონდა ქირნახული.

გამოხდა ხანი, ქალაქელმა სომეხმა ჭირი წაიღო, მაგრამ მიხამ პურის შესყიდვის თავი არ დაანება, ეგ კი არა, ეხლა უფრო მეტსაც იძენდა. ფულს დახარბებული გლეხები ქირნახულის დიდ ნაწილს ჰყიდდნენ და თავისთვის იმდენსღა იტოვებდნენ, მეორე მოსავლამდე ძლივსძლიეობით რომ გაეტანათ თავი. მიხაც ყიდულობდა, ინახავდა და გაზაფხულზე, ასელის ჯავილობისას, როცა სოფელში ფქვილის ამბრები ამოცარიელდებოდა და პურის მაზანდაც ერთორად აიწევდა, ისევ იმათზე, იმ სულელ გლეხებზე ასაღებდა, თანაც ბევრს ნისიად აძლევდა — მომავალი ქირნახულის ანგარიშში აძლევდა და იმათაც ძალზე მოსწონდათ ეგეთი აღებ-მიცემობა, მადლობითა და თაყვანისცემით მიჰქონდათ ორიოდ კოდი, რომ მკათათვეში ოთხით გადაეხადათ.

ასე და ამგვარად, რამდენიმე წელიწადში მიხას იმდენი ხორბალი დაუგროვდა, რომ აღარ იცოდა სად წაეღო, რაში ჩაეტია. ცოლის ჩიჩინს — გაყიდე, მოიშორეო, — ყურს არ უგდებდა, ჯიუტად იცდიდა და როცა სამწლიანმა გვალვამ და მოუსავლიანობამ სოფელში პურის ნასახი გააქრო, ნიშნისმოგებით უთხრა — ეხლა რაღას იტყვი, ქალო, კარგი არა ვქენი, რო არ დავიჯერეო?

ხორბლის მაზანდა კი დღითიდღე მაღლა იწევდა, ერთი ხუთად იზრდებოდა და მალე იმის დროც დადგა, რომ სამჯერ მეტზეარი ეშოვა, სარფიანად გაეყიდა, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი არავინ ჩანდა და ამიტომაც ეშინოდა, ჩემი პურის ამბავი სოფელ-ქვეყანას არ მოედოს, თორემ მშიერი კაცი ცოდვიანია, მუცლის გულისთვის არაფერს დაერიდებაო. ეგეც რომ არა, ლტოლვილებით იყო იქაურობა სავსე, სოფლის გარეთ, მინდვრებსა და ხევ-ხუევებში დაედოთ ბინა, ღამღამობით კი მშიერი მგლებივით დაძრწოდნენ ორღობეებში და სასუნნავს ეძებდნენ. ამიტომაც გაუჩნდა, ამიტომაც დაუარა ხმა — გავყიდე, აღარა მაქვსო! მაგრამ ეტყობა, მაინც გამჟღავნდა საიდუმლო, რაღაცა იყნოსა სოფელმა, თორემ ეგრე გულდაჯერებული არ შემოუღებდა კარს მხარიღლივ მაუზერგადაკიდებული თედო გინტერი, ეგრე შებღმეცრითა და მუქარით არ ეტყოდა — პური უნდა აგვიწეროთო!

— ხომ გითხარით, გავყიდე-მეთქი! — იცინოდა მიხა, რაღაც სხვანაირად ბჟირდებოდა, თითქოს ჩემრობდა, თითქოს თავის თავსაც დასცინოდა და იმ კაცებსაც.

— რახან ეგრეა, სახლი უნდა გაგიჩხრიკოთ! — გამოაცხადა გინტერმა. გაგონებოდათ მიხას მხიარულება გადაედოთ, იმასაც რაღაც სხვანაირი კილო შეპპარვოდა ხმაში.

— გენაცვალეთ ჩემი თავი! — დაიძახა მიხამ და მერე ქალს მიუბრუნდა, — დედაკაცო, სანამ ჩვენ სახლს გაგვჩხრეკამდეთ, ერთი შენებურად დატრიალდი!

ქალი გაოცებული შესცქეროდა ქმარს, ჰკვიანზე ხომ არ გადავიდაო, ფიქრობდა, მაგრამ იმის სიცილში, იმის მხიარულებაში მაინც გრძნობდა რაღაც საიდუმლოს, გამამხნევებელს და ნელ-ნელა გონს მოდიოდა, გული საგულეში უდგებოდა, მშვიდდებოდა და ცოტა ხნის მერე სტუმრებს ისიც სახეში შეჰღიმოდა, თვალებში შესციცინებდა.

გაიყვნენ საკუჭნაოში, სადაც ხორბლით დატენილი, ნაბდებმოფარებული ტომრები ეწყო. გადახადეს ნაბდები და ტომრები რომ გამოაჩინეს, მიხამ უფრო უმატა სიცილს — აი, რაღა გინდათ,

ხო იპოვეთ! — იძახდა, სიცილისგან სუნთქვა ეკვროდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

იმისი განწყობილება დანარჩენებსაც გადაედოთ, გაილიმეს, ერთმანეთს თავების ქნევით გადახედეს — ვერ უყურებთ, ამ დაფეხვილს, გაცურება რომ მოუვინდომა?! — დაითვალეს ტომრები და ჩაწერეს ქაღალდში.

„აბა, მარანიც გავვილეო"!

ახლა მარნისკენ გაუძღვა სიცილისგან ათახთახებული მასპინძელი, გასაღებები აიჩხაკუნა, ჭრიალით შეაღო კარი.

ახადეს ამბრებს — პურით არის გამილოფებული, მოაშადეს ქვევრებს და ისინიც სავსეა! ჩაიწერეს ყველაფერი, მიხა კი იცინის, ვეღარ ჩერდება.

— რა გაცინებს, კაცოო?! — ეცინებათ იმათაც, იმ კაცებსაც, — შენ კიდევ სადმე გექნება დამალული!

— არაო, არაო! ოი, ღმერთო, რჯული! — და გაქვავებული სახით გადაიწერა პირჯვარი.

გამოვიდნენ მარნიდან, გაჩერდნენ შუა ეზოში და გინტერმა თითის ქნევით უთხრა:

— იცოდე, მიხავ, კიდევ სადმე თუ გაქვს დამალული, ციმბირს აქეთ დაგატოვებინებ!

— არა, კაცო, აემ ბალღების ხორციმჭამელი ვიყო, არა!

მერე ყველანი შინ შევიდნენ, მიუსხდნენ სახელდახელო სუფრას და პური გატეხეს, მაგრამ, როგორც მთავრობის ხალხს შეეფერებოდა, დიდხანს აღარ გაუგრძელებიათ ქეიფი, მალევე წავიდნენ. მიხამ ეზოს ჭიშკრამდე მიაცილა სტუმრები, მერე უკან გამობრუნდა, ჭოხზე ბჯენით, რაღაცნაირი მხიარული ჩლახუნით გადმოჭრა ეზო, შინ შემოვიდა და არეულ სუფრასთან გაჩერებულ, გაშტერებულ ცოლს ალერსით მოუთათუნა ქედზე ხელი.

აღწერილი ხორბალი იმავე საღამოს წაიღეს, მაგრამ ნაფუზარში გაჭრილ უძირო ხაროში დაბინავებული მთავარი ზინაძო გადაურჩათ და ქალი მიხ-ვდა, რომ მიხა იმ ერთი ზღაპრის გმირივით მოიქცა, კარებში დაბმულ მშიერ ლომებს წვლები რომ მიუყარა, თვითონ კი უვნებლად შევიდა ბროლის სასახლეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხა სახლისკენ მოუძღოდა კაცებს. ორნი იყვნენ და იმათ შორის ქალმა მაშინვე იცნო მაღალი იაკოფა — ბიჭების ნათლია. მეორე, ქალაქურად ჩაცმული, მხრებში მოხრილი კაცი უცხოდ ეჩვენა, უკან მიდგა და სტუმრები კარებში შემოატარა.

— გამარჯობა, ნათლიდედ! ძალიან ძალი კი გცოდნიათ, კინაღამ შეგვჭამა ძაღლმა! — გაეცინა იაკოფამ.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით... — მიელაქუცა ქალი.

იაკოფას დანახვამ შვება მოჰგვარა, მაინც შინაური კაცი იყო, ნათელ-მირონის შემომტანი, თორემ ავე, შარშან ამ დროს არ იყო, ის ორნი რომ მოუცვიდნენ, მიხას მუშტი შემოსცხეს სახეში, გულზე მაუზერი დაადეს და დაჰყვირეს — პური მოგვეცი, თორემ დედაბუდიანად ამოგწყვეტთ! მაშინაც სწორედ ეს დრო იქნებოდა, ბავშვებს გაეღვიძათ და იმათმა ტირილმა მთელი სახლი შესძრა. მიხას ცხვირიდან სისხლი სდიოდა, ლოგინს სვრიდა, მაგრამ დაჰედტერიკიანი, ყაბალახით პირახვეული კაცი ზემოდან მძიმედ აწვა, არ უშვებდა და როცა დაიბრიტინა — ბალღები მშივრები მეხოცებიან, ჩემთვის რა მაქვს, თქვენ რა უნდა მოგცეთო, — ახლა იმან ჩაუტიალა თავში.

ქალი გახევებული იდგა, ხელფეხწართმეული ადგილიდან ვერ იძვროდა და იმასღა ნატრობდა — ნეტავი არ ესროლონ, არ მოკლანო... დიდი მორწმუნე არ იყო, მაგრამ ახლა გულმხურვალედ ლოცულობდა — ოღონდაც გადაგვარჩინე და თავში ქვა უხლიათ, სულაც წაუღიათ მთელი ხორბალიო.

„ამიშვით, კაცო, მოგრიგდეთ, ბალღები ნუ დამიწიოკეთო", — ამოიხრიალა ბოლოს მიხამ და ყაბალახიანმაც თავი ანება, უკან გადგა, მაგრამ მერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მაღაზიის ლუდი მაინც არ მოაშოროს გულიდან.

ქალმა ჭრაქი აანთო, კოკა მოიტანა, ქმარს სახე მობანა, წვერ-ულვაშში ჩალეკურტებული სისხლი გაასუფთა, თან ატირებულ ბალღებს უტევდა — გაჩუმდით თქვე დასაწყევლებო, — და როცა მიხამ თვალი უყო, საავადმყოფოდან ხელადით ღვინო გამოიტანა და ზედ ცოტაოდენი მისატანებელიც მოაყოლა.

კაცებმა უარი თქვეს: ღვინოს არ დაულევთ, პური მოგვეცი და წავალთო.

ახლა ისინი საკუთარ მობოვნილებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ყაჩაღებს — ვაბალახებით თავშიჩარგეულები, ჩამოკონკილები იდგნენ და დარცხვენილები ათვალიერებდნენ ჭრაქის შუქით განათებულ ოთახს, ტიტლიკანა ბალღებს, აშლილ-არეულ ლოგინებს და როცა ბოლოს მაღაზიისამა იარაღი უბეში დამალა, მიხას დამცინავმა ღიმილმა დაუარიბა ტუჩები და ცოტა არ იყოს უამხედ ჰკითხა:

— რამდენი მეშოკი გინდათ ემაგ რევოლვერში?

— პა?! — ამხანაგს გადახედა შემკრთალმა ყაჩაღმა.

— პო, რა იყო, მაშ მუქთად ხომ არ გაგატანთ პურსა. რამდენი მეშოკი მოგცეთ-მეთქი?

კაცმა იარაღი ამოიღო და ქალს სული გაეპარა ფეხებში, თმა მაღლა წაუვიდა და ერთი წამით თვალებიც კი დახუჭა. მაგრამ როცა გაახილა, დაინახა, რომ ყაჩაღი შავად ალაპლაპებულ მაუზერს დასცქეროდა, ათვალიერებდა, ხელში ატრიალებდა და ქალი მიხვდა, რომ ეს კაცი მშიშარა არ იყო, რადგან იმ თოფისა ყველაზე მეტად თვითონ ეშინოდა. თოფისა და, რაც მთავარია, ყაჩაღის სახელისა, რომელიც შიმშილისა და ცოლ-შვილის საცოდაობის გამო მიეკერებინა საცოდავად გამხდარებული პატიმრის ნომერივით.

— საჭირელი თქვენია და ფასიც თქვენ უნდა თქვათ! — დინჯად უებნებოდა მიხა, თითქოს ეს კაცები შეიარაღებული ყაჩაღები კი არა ბაზრის ერთი უბრალო ვაჭრები ყოფილიყვნენ.

ისინიც მძიმე ტვირთისაგან წელში გადრეკილებივით ძლივსღა იდგნენ ფეხზე და თვალს არიდებდნენ მიხას, რომელიც ამ ტვირთის ჩამოხსნას, მისი სიმძიმისაგან განთავისუფლებას სთავაზობდა. მართლაც, რა სჯობდა, თუ კი პურის ამ მაღაზიის საფასურში წაიღებდნენ! მაშინ ხომ ეს საქმე ყაჩაღობაში კი არა, ჩვეულებრივ ალებ-მიცემობაში ჩამოერთმეოდათ; იმათ პური ეჭირდებოდათ, მიხას კიდევ იარაღი, მორჩა და გათავდა!

— ათ ფუთს გრამი არ მოაკლდება...

— წაიდუდუნა იმან, წელან გასისხლიანებულ მიხას ზედ რომ აწვა და წამოდგომის არ ანებებდა.

მიხამ ძლივს შეიკავა ღიმილი, მძიმედ წამოდგა და ხელი გაუშვირა:

— კარგი, მომეცი. ვაბულია ვარ.

მეორემ საჩქაროდ მიაჩეჩა მაუზერი, ფეხი მოინაცვლა და ამხანაგს დაბნეული მზერა შეავლო.

მიხა წავიდა, საავადმყოფოდან ჯერ ერთი ტომარა გამოათრია, მერე მეორე და შუა ოთახში დაყარა. პირველად რომ გამოვიდა, მაუზერი უკვე აღარ ეჭირა ხელში.

კაცები ფათაფუთით დაეძგერნენ ტომრებს, მიხამ უშველა, ზურგზე აჰკიდა და ისინიც ერთმანეთის მიყოლებით გაცვივდნენ კარში, სიბნელეს შეერივნენ და თან გაალმასებული ძაღლის ყეფა გაიყოლეს...

ახლა სხვები მოსდგომოდნენ კარზე და, მართალია, იაკოფის დანახვამ ქალს შვება მოჰგვარა, მაინც ავად შემოჰკვნესოდა გული.

იაკოფმა ოთახში მიიხედ-მოიხედა, მძინარე ბიჭებს დააცქერა თვალი და მერე იმ უცხო კაცს მიუბრუნდა:

— ეგე, ალექსანდრე, ჩემი ნათლულები, როგორი ბიჭები არიან!

უცნობმა ქუდი მოიხადა, გაიღიმა და მოწონების ნიშნად თავი დაუკანტურა.

მიხა დადარაჯებული მისჩერებოდა უღროო სტუმრებს, უფრო მეტად კი იმ

ეტნობს — ალექსანდრეს ათვალიერებდა, რომელიც შუა ოთახში უხერხულად იდგა, ქუდს ხელში ჭმუჭნიდა და თავაზიანად იღიმებოდა.

ქალმა მინავლულ მეხსის ჩინჩხვარი შეატოკა, სტუმრებს სკამები დაუდგა და ისინიც ბოლოსით, აჩქარებით დასხდნენ, აბურცალებულ ცაცხლს ხელისგულები მოუშვირეს.

ჩამოჯდა მიხაკ. ჯოხი მუხლებშუა ჩაიდო, ცეცხლს ჩააჩერდა.

იაკოფა სიჩუმის დარღვევას არ ჩქარობდა: ჯიბიდან ქისა ამოიღო, ყალიონი გააწყო, დაიხარა, ცეცხლიდან ცერისიმსხო ნაკვერჩხალი გამოიტაცა, მოუკიდა, მერე პირიდან მოლურჯო კვამლი გამოაფეტა და ცეცხლს მიაწოდა.

ალექსანდრე წინ წახრილი იჯდა სკამზე. ქუდი მუხლზე ედო, გამხდარ, ნაყვავილარ სახეზე ცეცხლის ათინათი დასთამაშებდა და უცნაურად მოძრავ, შავ თვალებს უელვარებდა.

ქალი ოთახის მეორე ბოლოში ფუსფუსებდა, განჯინიდან ჯამ-ჭურჭელს ალაგებდა და ზურგშექცევით კი იდგა, მაგრამ მაინც ყურებდაცქვეტილი, კისერწაგრძელებული ელოდებოდა, რას იტყოდნენ კაცები, რომ იმათი უდროო სტუმრობის მიზეზი შეეტყო...

თედო გინტერი და კომკავშირელის ოთხი წევრი ჰავარზემოდან, კაკალჭალში ისხდნენ და მიხას გაყვებული ძაღლის ყეფას ყურს იქიდან უგდებდნენ. გინტერს გვერდზე ხისბუდიანი მაუზერი ეკიდა. ორ კომკავშირელსაც ჰქონდა ვინტოვკები, დანარჩენი ორი უიარაღო იყო.

— ეგ ძაღლი კი უნდა წინდაწინ მოგვეკლა, ხო იცი... — ჩაილაპარაკა სანდრომ, ცეტის ბიჭმა.

— მაშ, კაცო! — დაუდასტურა გოგიამ, კენიწმა.

ოთხივემ გინტერს შეხედა. იმას ჩუმად, დამცინავად ეღიმებოდა სიბნელეში, ბოლოს თქვა:

— არა, და-და-და-და! თქვენ უნდა ჩაგაბაროთ კაცმა საქმე, რო!..

სანდრომ და გოგიამ თავები ჩაღუნეს, დარცხვენილები მიწას ჩააშტერდნენ. ილოსა და აბაზას კი გაეცინათ, თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდებოდა თედოს გულისწყრომის მიზეზს.

— თქვენა, შვილოსა, ი მიხა სოლელი ხო არა გგონიათ, ჰა?

გინტერი წამოდგა, ბუჩქს გადადგა და ჩამნელებულ სოფელს იქიდან გახედა. ბიჭები ჩუმი სიამაყით შესცქეროდნენ თავიანთ ბელადს: კარგი მოსალტეილი ვაჟკაცი იყო თედო გინტერი. ერთი წისქვილის ქვა არ დაბრუნებულიყო იმის თავზე, თორემ სხვა ყველაფერი გამოეცადა: შიმშილი, სიცივე, სიტიტვლე... ადრე დაობლებულ, მოჯამაგირეობაში გაზრდილ ბიჭს ცხრაასთოთხმეტში ხელი მოუხვევიათ და ჯარში წაუყვანიათ. შვიდი წელიწადი რუსის ფარაჯა ეცვა და რუსის ვინტოვკა ეჭირა, ხან გერმანელებს ებრძოდა, ხან მეფის ოფიცრებს, ხანაც დენიკინის თეთრგვარდიელ ოფიცრებს. საქართველოში წითელარმიელთა მეცხრე მსროლელ დივიზიას ჩამოჰყვა და ჯერ კორდონის ჯარს ეომა თბილისის მისადგომებთან, მერე კი თურქ ასკერებს — აჭარაში. ბოლოს ვინტოვკა ჩააბარა და თავის მშობლიურ სოფელში ჩამოვიდა, სადაც არც სახლი დახვდა, არც კარი და არც ერთადერთი მზრუნველი დედა... სახლიც და მიწაც ბიძაშვილები დაპატრონებოდნენ. დიდედა კი შაბიამნისფერ გორაზე, ცაცხლის კედლის ჩამოსწვრივ იწვა და გვერდზე უმინოდ გათლილი საფლავის მძიმე ლოდი ედო.

პარტიის წევრი და ბრძოლებში გამოჯეგილი ნაჯარისკაცარი ისევ რევკომმა დაადგინა — სოფელს სათავეში ჩააყენეს, ნდობა გამოუცხადეს და არც იმას შეურცხვენია თავი, გულმხურვალედ ემსახურებოდა ქვეყნისა და მშრომელი ხალხის ნათელი მომავლის დიად იდეას.

ახლა ბუჩქზე იდგა, შუბლშეჭმუხნილი, დაინახშემოჭრილი გასცქეროდა სიბნელეში გასუსულ სოფელს და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა მიხას ძაღლმა ხმა გაიკმინდა და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ბიჭებს მხარცუდლმა გადმოუგდო:

— დროით!

ისინი წამოიშალნენ, სანდრამა და აბაზამ თოფებს წამოავლეს ხელი და წინ წასულ გინტერს ლანდებივით აედევნენ...

იაკოფამ ჩაახველა, მიხას მიუბრუნდა და უთხრა:

— ხო მენდობი, ნათლიმამავ?

მიხამ ჩუმად შეხედა, კარგა ხანს უყურა, მაგრამ არაფერი უპასუხია, ისევ ცეცხლს ჩააჩერდა.

— არა, მირონის მადლმა, მენდობი თუ — არა?

— ჰო, გენდობი. მერე?

— პური გვინდა.

მიხასთვის ეს მოულოდნელი არ იყო, მაგრამ მაინც შეკრთა — თითქოს მუშტი მოუქნიესო, თავი მხრებში ჩარგო და გაყუჩდა. კარგა ხანს იჯდა ეგრე, მერე ძლივს ამოიღერღა:

— სადღა მაქვს, ადამიანო, რაღა შემარჩინა იმ აძაღლებულმა...

ალექსანდრე ოდნავ შეიჩხა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

იაკოფამ ყალიონი გააპლაკუნა:

— უარს ნუ იტყვი, მიხავ, კარგი მუშტარი მომიყვანია.

— ხო იცი, რო დიდი ხათრი მაქვს შენი, მაგრამ რა ვქნა, კაცო. — მიხამ მალულად შეავლო თვალი ალექსანდრეს, — ე ბალღებს მშიერებს ხო ვერ დავყრი?

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, მერე ალექსანდრე სკამზე შესწორდა, თავი აილო, ჯერ იაკოფას შეხედა, მერე მიხას, ოთახშიც მიმოიხედა და როცა დადარაჯებული ქალის მომლოდინე თვალებს წააწყდა, უეცრად თქვა:

— ბავშვები შიმშილით მეხოცებიან, ქალბატონო, მოწყალება მოიღეთ... — მერე ისევ მიხას მიუბრუნდა, — ოქრო მაქვს... ბაქოში ნავთის მრეწველთან ვიდექი. წონაში წონას მოგცემ...

მიხამ მძიმედ აილო თავი და ცოლს შეხედა. ქალი გამტკნარებული მისჩერებოდა ალექსანდრეს — ჩუმად უყურებდა იმის გამხდარ, საგულდაგულოდ გაპარსულ ჩოფურა სახეს, თეთრ ხელებს, ვიწრო მხრებს და გული სიბრალულით ეწურებოდა, მაგრამ ყოვლისდამთრგუნველი შიში და ავი წინათგრძნობა ბოლომდე არ აძლევდა ამ ადამიანის შებრალების ნებას. გატანჯული, საკუთარი თავის მიმართ ზიზღმორეული ცდილობდა როგორმე თვალი აერიდებინა სტუმრისათვის, მაგრამ ვერ ახერხებდა და როცა საბოლოოდ, როგორც იქნა, მოსწყვიტა მზერა და ქმარს შეხედა, მისი გაყინული სახე და გამოცრიებული თვალები დაინახა.

მიხას დიდხანს აღარ გაუგრძელებია დუმილი, ახლა იაკოფასკენ გაიხედა, ფრთხილად ჩაახველა და თქვა:

— ჰო, ძნელია...

— **წონაში წონას მოგცემ**. — გაიმეორა ალექსანდრემ, მაგრამ ამ სიტყვებშიც და ნათქვამის კილოშიც უკვე იმედგაცრუება იგრძნობოდა.

ქალს იმისი საცოდაობით გულ-მუცელი დაეწვა, ისევ ქმარს მიაჩერდა — სული კბილით ეჭირა, რომ მეზობლებში არ ჩავარდნოდა და იმ უბედური კაცის შვილებისთვის ცოტაოდენი პური არ ეთხოვა, რადგან იცოდა მიხას კემეტი თავის ამბავი, ეს რომ ექნა, უფრო მეტად გაკერპდებოდა, გაჯიუტდებოდა და ამ საწყალს სულმთლად ხელცარიელს გაუშვებდა თავის შიმშილისაგან დაოსებულ შვილებთან...

ახლა ისინიც ხელცარიელები გაისტუმრა, ის პატარა, მთიელი ბიჭები, შარშან ამ დროს კარზე რომ მოადგნენ: დედაჩვენმა — ერთი ჩანახი პური გვასესხეთ. ბალღებს დიდი გზა ჰქონდათ გამოვლილი და შიმშილისა და დაღლილობისაგან ერთმანეთსღა ეყუდებოდნენ. მიხამ მაშინ შუბლი შეიკრა და ჰკითხა: — „ის სულელი მამათქვენი არაფერს გიგზავნითო"? ბიჭების მამა — მიხას სიძე კახეთში იყო გადავარდნილი, ჩოლოყაშვილს დასდევდა დასაჭერად და ოჯახისთვის ვეღარ იცლიდა. „არაო", — თავები ჩაღუნეს ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქებშა. „აბა, რა გიყოთ, შვილო, — უთხრა მიხამ, — მე საკუთარი ცოლ-შვილი ვერ გამომიკვებია“. ეგრე ხელცარიელები გაუშვა, პეტრეც კი არ აჭამა და როცა ქალი სოფლის ბოლოში დაუწია იმათ, აბგაში ორიოდ ხმიადი ჩაუდო და უკან მობრუნდა, ქმარს საყვედურით უთხრა: „იცოდე, მიხავ, მაგათი ცოდვით ღმერთი არ გაგვახარებს“.

ოთახში უხერხული სიჩუმე იდგა. მიხამ ცოლს შეხედა. ქალს სახეზე უწერია ყველაფერი და იმისი გულისნადების ამოკითხვა არ გასჭირვებია, მაგრამ არც გაბრაზებულა, რადგან თვითონ უფრო ადრე გადაწყვიტა ამ კაცის ნდობა, გაცილებით ადრე, სანამ ქალს სიბრალულის გრძნობა გაუჩნდებოდა. სანდო, ცხადია, არც ეს კაცი იყო, არც მაინცდამაინც იაკობი და არც არავინ, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა — ნელნელა თავიდან უნდა მოეშორებინა ის ოხერი პური თუ არ უნდოდა, რომ იმისი წვერა გამხდარიყო.

— მაინც, რამდენი გინდა? — ისე ჰკითხა სტუმარს, რომ ცოლისთვის თვალი არ მოუცილებია, ვითომდა იმის ხათრით სჩადიოდა ამას, იმის სურვილს უწევდა ანგარიშს, თორემ თვითონ პურის გაყიდვას სულაც არ აპირებდა.

ქალს მადლიერების სითბო ჩაუდგა თვალებში, სახე გაებადრა და სუფრის გაშლა უფრო ყოჩაღად განაგრძო.

ალექსანდრეც გამოცოცხლდა, მთელი ტანით შემობრუნდა მასპინძლისკენ:

— რა ვიცი, აბა... რამდენსაც გაიმეტებ, ჩემო მიხეილ...

მიხას გაეღიმა:

— რაც არი, არი... აი, ნათელმირონის ხათრით, თორე, ხო იცი, რა დროა!

— ჰო, შენი ჭირიმე, ჰო...

— პური ბევრია... შენ რამდენი გინდა?

ალექსანდრემ იაკობისკენ გააპარა თვალი:

— ოცდაათი, ორმოცი ფუთი... რამდენსაც მომცემ.

„ფასს არ შეკითხება“ — გაუელვა უეცრად მიხას და ამ აზრმა წამით შეაკრთო, მაგრამ ალექსანდრეს შემხედვარემ ეჭვი უმალვე უკუაგდო და ახლა იაკობს მიუბრუნდა:

— როდის წაიღებთ?

იაკობი ჩიბუხს პერტყავდა, ასუფთავებდა და პასუხი დაუგვიანა.

— ეხლავე! — დაასწრო იმას ალექსანდრემ.

— მეშოკები?

— მეშოკებიც არი და ურემიც.

— მაშ, კარგი... — მიხა წამოდგა, — დედაკაცო, ბარები გამოგვიტანე!

ქალი გარეთ გავიდა.

იაკობმა ჭრაქს წამოავლო ხელი, მაგრამ მიხამ თავი გააქნია:

— არა, ეგ არ გინდა!

დერეფანში გამოსულებმა ქალს ბარები გამოართვეს და მიხას უკან გაჰყვნენ.

მთვარის ლურჯმელი გადაეყარა და დღესავით გაენათებინა იქაურობა.

ეზოს ჭიშკართან უძრავად იდგა ურემში შებმული ცხენი.

გაიარეს ეზო, ბოსტანი, ნაფუძარში ჩავიდნენ და საბძელსაც რომ გასცდნენ, მიხა გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა, მერე ხელისგულებზე დაიფურთხა და მიწას ბარი დაჰკრა...

ბარის დაკვრა და ჭოტის ძახილი ერთი იყო.

უეცრად იაკობი ადგილს მოსწყდა, სიმინდებში ლაწა-ლუწით შევარდა და გაიქცა... იქიდან, იმ სიმინდებიდან მაუზერმომარჯვებული გინტერი გამოვიდა, უკან ოთხი კაცი მოსდევდა.

— ჰა, გაები, მაჩვო, ორთავე ფეხით! — დაიძახა იმან და სანამ შეშინებული მიხა გონს მოეგებოდა, ხმელი, გამხდარი ხელისგული მთელი ძალით შემოსცხო სახეში.

მიხას თვალთ დაუბნელდა, წაიქცა და ერთხანს ეგრე გაშეშებული ეგდო ბალახებში...

გონს რომ მოვიდა, დაინახა, გინტერი და იმისი კაცები ბარებით მიწას თხრიდნენ... სისხლმა აასხა თავში, წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჟდა, მძლევარებით ანთებული თვალები მიაშტერა მომხვდურთ. მერე ნელა წამოიბობლდა, ფეხზე წამოდგა...

გამძლეებულები შეშთობდნენ და ლასტის სარქველიც მალე გამოაჩინეს. მიხა ალარავის ასოვდა, თითქოს ყველას დაავიწყდა იმისი არსებობა.

მოულოდნელად, ეტ შველივით მოიჭრა ქალი, ხელში წალდი ეჭირა, ჩუმად, ხმის ამოუღებლად დაეძგერა გინტერს და წალდი მოუქნია...

შიშისაგან დაზაფრულმა მიხამ პირი დაალო — ცოლისთვის ენდოდა დაეყვირა, მაგრამ ხავილის მეტი არაფერი ამოუვიდა ყელიდან.

გინტერი გაინზე გახტა, ქალს ბარი დაუშვა თავში და ძირს დასცა. ეს ისე ეეცრად მოხდა, რომ გონს მოსვლა ვერავინ მოასწრო.

— ეს, თქვენი დედა, მე თქვენი... — კბილების კრაჭუნით ამბობდა გინტერი და თან მარჯვენა მხარზე ხელს იჭერდა.

მიხა ცოლს მივარდა, ჩაიჩოჭა და სახეზე ხელები მოუსვა — თბილი, წებოვანი სისხლით შეღებილი ხელისგულები... თავზარდაცემული წამოდგა, ეკან დაიხია, ეგრე ეკან-ეკან მიდიოდა, კაცებს თვალს არ აცილებდა, ბოლის სახლის კარს მიადგა ზურგით — შეაღო, შევიდა, შიგნიდან ჩარაზა, მერე ერთ ადგილზე თავი გაჭაქა, ჩვარში გახვეული მაუზერი იპოვა და ფიცრულ კედელთან ჩაჯდა.

გარედან რაღაც გაუგებარი ლაპარაკი ესმოდა — რაღაც ფრაზები, ცალკეული სიტყვები... იარაღს აცახცახებული ხელებით შემოაცალა ფილასი, ტუჩი ფიცრებშუა დარჩენილ დარანში გაიყოფინა და ნათეზარს გაიხედა: ისევ იქ იდგნენ ყველანი, იაკოფიალა ალდათ. იდგნენ, გულადმა გაწოლილ ქალს დასცქეროდნენ და მიხას მოეჩვენა, რომ მთელი თავისი ტკბილ-მწარე ცხოვრება ამ დღისთვის ემზადებოდა, ამ დღისთვის გააჩინა ღმერთმა, ამ დღისთვის გაზარდა და ახა — ეს დღეც დადგა!

ეცნაურად დამშვიდდა.

თითქოს ნიავმა დაუბერაო, გონებიდან ნისლი გადაეყარა. აღარც ხელები უკანკალებდა. პირქვე გაწვა, მაუზერის ტარი ორთავე ხელით ჩაბღუჯა, ერთ-ერთი მათგანი ამოიღო მიზანში და ჩახმახს გამოჰკრა...

სროლის ხმა არც კი გაუგონია, თუმცა კარგად დაინახა, როგორ წაიქცა ის კაცი.

მერე კიდევ გაისროლა...

კიდევ...

კიდევ...

— დაწყევლილო! — იყვირა თეთრ გინტერმა, — დაწყევლო, დაგვხოცამს, მაგის დედა, მე მაგისი!

ყველანი სასწრაფოდ დაწვნენ და გინტერმა, სიიდანაც ცეცხლი გამოკრთა, იმ ადგილს ტყვია დაახალა და ჩვეულებისამებრ გვერდზე გადაგორდა — ადგილი მოინაცვლა:

— ესროლეთ, თქვენი დედა, რაღას უყურებთ!

ბიჭებმა ალალბედზე გაისროლეს თოფები.

სახლის მხრიდან გამოლევიძებული, შეშინებული ბალღების საშინელი გნიასი ისმოდა.

მიხას მარცხენა მკლავიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა ამას — იწვა და ფიჭრებშუა დარჩენილ ღრიჭოში გადაცოცებული გაისცქეროდა. გუმანით გრძნობდა, რომ ახლა ასე ჩუმად უნდა წოლილიყო.

— დააგდე იარაღი და გამოდი! — მოესმა გინტერის ხმა.

მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვა, მარტო დაზაფრული ბალღების ჭლავილიღა ისმოდა სახლიდან...

უეცრად, მიხამ დაინახა, რომ გინტერი წამოდგა და სახძლისკენ წამოვიდა. სული გაკმინდა.

— ფრთხილად, თელო! — მოისმა შეშინებული ალექსანდრეს ყვირილი.

— ჩაძაღლდა, ამის!...

მიხას სიჩუმით გათამამებული სხვებიც წამოიშალნენ.

გინტერი სულ ახლოს მოვიდა, მიხას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისი სუნთქვაც კი მოესმა, კბილი კბილს დააჭირა და ჩახმახს გამოჰკრა. დაინახა, როგორ აიქნია იმან ხელები, რანაირად გადავარდა უკან და სიამოვნებისაგან ხმამაღლა გაიცინა...

სხვები ისევ დაწვნენ, სროლა ატეხეს.

ვინტოვკის ტყვია ფიცრულ კედელში იოლად ატანდა. საბძელში ტრუსის სუნი დატრიალდა...

მიხა წამოდგა, მაუზერი ძირს დააგდო, კარს ურდული ახსნა და ის იყო გარეთ უნდა გასულიყო, რომ უეცრად რაღაც საშინელმა ძალამ კედელს მიანარცხა. სასოწარკვეთილი ფრჩხილებით ჩაფრინდა ფიცრებს, დაებღაუჭა, მაგრამ ქვასავით დამძიმებული სხეული ველარ შეიმაგრა, ძირს ჩაცურდა და თივაში პირქვე ჩაემხო.

დილით მზე ჩვეულებრივად ამოვიდა.

მინდორში ცხენი სძოვდა, მზეში ღრმად ჩასმულ პალოზე დაბმული დინჯად ტრიალებდა წრეში, მოქნილი ჩიჩვირით ნამიან ბალახს აგროვებდა, ნაფოტებივით ბრტყელი კბილებით გლეჯდა და მადიანად ახრამუნებდა.

ზენა მხრის ნიავს შორიდან წვიმის სურნელი მოჰქონდა და ღამენათევ ყვავილებს თავბრუს ახვევდა.

გახალისებული ტოროლები რიგრიგობით აფრინდნენ ცაში — ჯერ ერთი წამოფრინდებოდა, წკრიალით წავიდოდა მაღლა, ძალიან მაღლა, მერე წერტილად ქცეული დიდხანს ფარფატებდა ლაჟვარდისფერ ცაში და მისი გალობა შორს გაჰქონდა ნიავს. გავიდოდა პატარა ხანი, ახლა მეორე აფრინდებოდა, ახლა მეორე გალობდა და ნიავსაც ახლა იმისი ხმა გაჰქონდა მინდვრის ბოლოში.

გრიგოლ ჯულუხიძე

## საქართველოს ყველაფერი ახსოვს

ეს მეოცე —
ნამუსრალიც
მიდის,
ოცდაერთის გარიჟრაჟი მორბის...
ჩემთვის უკვე იქსოვება ბინდი —
საუკუნის ნახევარი მოდგა.

რა ცეცხლი და
რა წყლები ვნახე,
რა ქარების ზუნა-ქშენა
ქროდა...
ვმეგობრობდი
ავთვალსა და ავხელს,
მაინც ჩემი საქართველო მქონდა.

იყო დათვის ბაბანა
მოდადა,
ერთგულება
ყალბზე-ყალბი ფიცის...
ბევრი ბრმობის
თუ სიყრუის დრო და
მბრძანებლობა
უთქმელობის სიცხის.

სანამ ხვალე
ხელს იმედით გვიჭერს
და ქართველი
კვლავ ქართველობს
ვიდრე,
ეს დუმილი
ნაღმად აქცევს იქნებ,
ოცდაერთის
საუკუნის მკვიდრებს.

თავს ვინ იქებს,
არ ივარგებს ისიც
ჩვენი ცოდვა დავაბრალოთ
სხვას რომ...
საქართველომ
ყველაფერი იცის,
საქართველოს
ყველაფერი ახსოვს!

## და თუ დაგტოვეთ...

შენ მაინც იცი,
ჩემო ცოცა,
ჩემო ცოცოკო,
საწყალო, ეგე ულმობელი
ჩემთვის რაც იყო, —
სულ ცოტა მზე,
მთვარე — ცოტა,
ცოტა ვარსკვლავი, —
მაინც
ვერასდროს დასათმობი
და გულსაკლავი!

შენ მაინც იცი:
ჩემო თემო,
ჩემო რეზიკო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ცხოვრების სიალმისე
მაინც ეს იყო...
და მე როდესაც თქვენ დაგტოვებთ,
აღარ ვიჭნები
ჩემი გულისთქმით,
სიჯიუტით,
ჩემი ფიქრებით

მოვა აპრილი
და კერტიდან სუნთქვად მოგივალთ, —
ჩვენ ზოგნი ცა ვართ,
სადღაცნი ვართ,
რწმენა ზოგნი ვართ...
თუ გამიხსენებთ,
მომინატრებთ სიზმარ-ოცნებით,
მე ყველა თქვენგანს
ფენიქსივით
გაგიცოცხლდებით!

აი, ეს არის
ჩემი დარდი,
ჩემი სიფხიზლე,
და თუ დაგტოვებთ, —
ცხრა მთის იქით გადავიხიზნე,
მე სხვა სამოთხის აღარ მჯერა,
არც სხვა ედემის, —
ვიჭნები თქვენთან
რა წუთშიაც გაგახსენდებით!

შენ მაინც იცი,
ჩემო ცაცა,
ჩემო ცაცია,
საწუთრო ესე, ულმობელი
ჩემთვის რაც იყო, —
სულ ცოტა მზე,
მთვარე — ცოტა,
ცოტა ვარსკვლავი...
მაინც
ვერასდროს დასათმობი,
და გულსაკლავი!

## იარე ასე!

კელდარები,
სალონები
და დარბაზები
გაცოცხლებულა,
ანთებულა
დეროტა ცეცხლისა...
თავვასაწირად მკერდს იხსნიან
ახალგაზრდები, —
ეს რა გულისა!

სირცხვილი ყველას
ვინაც ნათლავს ღამედ განთიადს...
სამშობლოვ,
ჩემო,
შენი სისხლი ისევ ანთია!

შენ სუნთქავ ისევ,
იბრძვის შენი
სიტყვის ვაზნები, „
მკერდით გითბობენ ქვაფენილებს
ახალგაზრდები!

იარე ჩემო,
ქედუხრელად,
ასე იარე!
გაბრწყინის უნდა,
გაყვავილის შენმა მერმისმა...
დროშებად კიდებ ცისკებზე
შენს მწველ იარებს, —
ეს რა გულისა!

## გაზაფხული

კორდზე მოსუნსულდნენ ნიავქრები,—
მწვანით
დაგვშილი
მეჭებრები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორიდან
მოცურავენ თეთრი იალქნები,
თოვლქვეშ იღვიძებენ
ენძელები.

მე ვგრძნობ
გაზაფხულის სიჯიუტეს —
კვირტთა
მოფუსფუსე
ტევრში ვესახლები...
იგი
აქვე არის,
მოჩანს,
იგი უკვე
არის ყველასათვის
ხელით შესახები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ კობერიძე

# სული მწუხარე, თვალი ბნელი, ყური დაწმული...

შეთქმულებივით იპეტენეს შუადამემდე
და მეორე დღეს,
გაზაფხულის მშვენიერ დილით
აივნებზე კმაყოფილნი გამოეფინენ...
შუა ეზოში გარგალი იდგა,
ისეთი სიმწრით აფეთქებული
თითქო საცაა კედლებს გასწევსო,
ესინათლო, შმორიან კედლებს.
მხამოიარე არვის ენახავს.
ქალიც ილილებს ნაყოფს,
როცა გამლება ეზორს...
მზეს ამ ეზოსთვის არასოდეს დაუხედია.
ან რა იყო აქ სანახავი
სარეცხის გარდა,
კვირეები რომ არ შრებოდა,
ეკიდა თოკზე
და ჰყვებოდა ოჯახის ამბებს...

ლოთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა ზევით—
ლოთები და ყიამყრალები...
ექიმი იყო კაცი,
ქალი — პარიკმახერი,
კაცს სცემდა ხოლმე,
შენზე მეტსა მე ვშოულობო.
თეფში არასდროს გაურეცხავს —
ნაგვის ყუთში ყრიდა ყოველ დღე.
ქურთის ქალი — სარდაფში რომ
ცხოვრობდა ადრე
თავის ცხრა შვილით,
ქმრით და მაზლებით,
(სართულით მაღლა აინაცვლეს
როცა ომში დაღუპულის მარტოხელა
მეუღლე მოკვდა)
დაყურსული ელოდა კარიან,
გზავნიდა ბავშვებს
და იმ ჰერჰელს არეცხინებდა.
დაუგროვდათ, რა დაუგროვდათ!
ქორწილი იმით გადაიხადეს
და მზითვადაც არგუქეს გოგოს...
დათვრებოდნენ ცოლ-ქმარი და
გაჰკიოდნენ ერთად დამწვარისას...
კაცი რომ მღერის
უკეთესი თუ ხდება მართლა...
ბიჭი ჰყავდათ შვიდი წლისა,
ათისას ჰგავდა,
ექიმებმა დაასკვნეს, რომ
სწავლისათვის არ ივარგებდა,
ქურთის ქალი შეიკლა ხელში
არ აცდენდა არც ნასროლს და
არც გადმოქცეულს;
მესამეზე ცხოვრობდნენ სხვებიც.
მაგრამ ისინი არასოდეს არ
შემხვედრიან.
მეორეზე ხუთი ოთახი სამ დას ეკავა:
ვართანუშას, სირანუშას და
კლეოპატრას.
ორი მუსიკას ასწავლიდა,
კლეოპატრა ისტორიას — რუსულ
სკოლაში.
გაუთხოვარი იყო სამივე.
ბავშვს გამშვილებით,
ერევანში ნათესავი შეპირებოდათ,
აბა რა ვქნათ,
მამიჩვენის ოფლით ნაშოვნი
სხვას რად დარჩესო,
წუწუნებდნენ გაუთავებლად...
გულხორა კი თავის ცხრა შვილს,
ქმარს და მაზლებს

მათ ბინაზე კბილს ულესავდა,
რაც თბილისში ცალტვენა იყო,
აქ დადიოდა.
ლუღლუღებდა პიანინო დილამდებამდე,
პირველ სართულზე რვა ოჯახი
შეკუმშულიყო.
თხელი კედლებით დატიხრული
ოთახებიდან
ჟონავდა ყველა დიალექტი და
კილოკავი...
აქ ერთ გოგოსთან დავდიოდი,
რისთვის? არ ვიცი,
არც იმ გოგომ იცოდა მგონი,
შუაღამემდე ვსაუბრობდით,
ხშირად ღამეც გამითევია...
იმერეთში ჰყავდა მშობლები,
თავს არ ზოგავდნენ,
ქალაქელი სიძე უნდოდათ.
ვეფერებოდი,
ისე, უბრალოდ,
თითქო ასე იყო საჭირო.
ისიც გრძნობდა,
თავი არც მას ვამოუდგეთა.
რას არ იზამს მარტოობით სნეული
კაცი!
(ქალიც, ქალიც რაღა თქმა უნდა).
სულ ეს იყო —
სხვა ჩვენს შორის არც რა მომხდარა...
„შე წუთისოფლის გერასიმე,
— უცოდა კედლის მიღმა სიდედრი
სიძეს,
როდემდე გინდა
ამ ბოსელში გხდებოდეს სული?"
ძეხვი ბავშვებს არ აჭამო,
ჩემი ქმარი შიგ ტუალეტის ქაღალდს
ურევსო.
აფრთხილებდა სურამელი მარგო
თამარას,
რომლის ქმარიც
რაზანის ბაზზე წავიდა.
დაუქადნია, აქნობამდე არ ჩამოვალ
ვიდრე რუს ქალებს
წ-ს და ყ-ს თქმას არ ვასწავლიო...
„ეგ ბამბანერკა არ წაიღო
გესმის, გოგო, რას გეუბნები,
იქ ზემოთ რომ დევს, თეთრი ყუთი,
ის წაიღო!
— „ის ხომ ძველია.
რომ მოწამლოს, რაღა ვქნა მერე?
— მოიწამლოს და
ჩემი ჭირიც თან წაიღოს,
ზოგიერთიც თან გაიყოლოს,
ვერ ივედი მაგათ საჩუქრებს",
— ნუ ზმუიხარ დაჭრილივით,
თორემ იცოდე,
არასოდეს აღარ მოგიშვებ,
მეზობლები ნუ გამიგიჟე"
— რა ვქნა ჩემდა უნებურად
ასე მომდის,
იმართლებდა კაცი თავს და
ისევ ზმუოდა...
ამცირებდა ამ ხალხს ცხოვრება,
ფიქრობდნენ, დიდხანს იმიტომ გვზელს,
მერე კარგად გამოგვაცხობსო...
ზოგი ფიქრსაც გადაეჩვია,
ერთმანეთი შეიძულეს და მიატოვეს.
მაგრამ ხომ უნდა სცოდნოდა ვინმეს,
რომ ქალაქის პროკურორი
ერთის ბიძაა,
სხვას ფანდურმა, დალოცვილმა,
მოატარა მთელი მსოფლიო,
რომ თამბაქოს ფაბრიკაში
კომისია იქექება კარგა ხანია,
ამ წელიწადს მესამეჯერ მოდიან უკვე.
აღარ გაძლო მათი მეცელი,
რომ ერთი ისეთ კაცის ცოლთან
ისეთის ცოლთან...
ეზოში სხედან,
შუაღამემდე სვამენ ნაწეწს
რაიკომის მდივანი რომ გზავნის
კასპიდან,
ხორხოცებენ,
ბელზე მჭიდებს იბრაგუნებენ,
გენერლებივით გასძახიან ცოლებს
ბრძანებებს
და ისინიც,
აქეთ თუ არა აქეთ,
ნაცარს აყრიან თვალში ერთმანეთს...
ემუქრებიან, მტერს კარზე მომდგარს,
საქართველოს მეათასედ გადაარჩენენ,
მერე დაღლილნი,
გალეშილნი,
ბოყინ-ბოყინით
შედიან შინ და
ცოლებს მორცხვად გაულიმებენ...
დგას სახლი,

აქ გაელენთილი ნესტის სუნით,
სარეცხის სუნით,
გაელენთილი კერძის ოხშივრით,
ქვეყნის ჭორით და სატკივარით
ბაბილონის გოდოლივით წამოყინჩული.
მრავალ ენაზე მოყაყანეთ
აჟობეს ეფალს,
რაღაც ხრიკებით კვლავ გაუგეს
ერთმანეთს,
იმად კი არა
ერთსულოვნად ეშენებინათ.
არამედ იმად,
— ერთმანეთში მოეკლათ ღმერთი!
და როცა მთვარე
კაბის კალთებს წამოიკრეფს
ბინძურ გუბიდან,
მაშინ სახლი მკვდარს ემსგავსება.
მკვდარს, რომელსაც
არ დამარხავენ...

იმ ღამეს ჩემი კერსელები —
ჯვარდაწერილნი,
გავაცილეთ სამოგზაუროდ.
(სამი დღის მერე უკან დაბრუნდნენ!)
გვიანი იყო,
და „ჩემმა ტკბილმა მეგობარმა"
დარჩით მთხოვა.
ტახტზე ვწევარ, არ მეძინება...
კატები მთვარის სახურავზე
ალმა დალმა დაგორებენ.
თავამწყვეტილი ვულკანივით თუხთუხებს
ვნება.
ქარი ცეცხლის ჩაქრობას ლამობს,
მაგრამ კატები ქარის გველებს
თავებს აწყვეტენ...
მე მიყვარს კატა,
არა ბუხრის,
ბნელი ზეცის დამფატრავი კატები
მიყვარს,
სამურაივით მოქნილი და დაუნდობელი,
ურცხვი, მართალი,
მღვდლისა და მოდგმის წინაშე!
რამდენი კაცი შენატრის კატებს
გაზაფხულზე
იასამნის ყვავილობისას...
შევკრთი უეცრად,
ღია სარკმლიდან შავი ლანდი
შინ წამოხრილი
ზედ დამცქეროდა.
წამოვვარდი,
სწრაფად ჩავიცვი,
ბნელ ეზოში გამოვედი — შემაკრთალი.
მოჩვენება აღარსად იყო.
მხოლოდ ღამის სველი ფარდა
კვლავ ირხეოდა...
შიშით ჩავცქერი
მტვრით და წვირით გადალესილ
სარდაფის სარკმელს,
ხელს საფეთქელთან მივიტან და
თვალებსა ვწკურავ.
იქ ბებერი რონზმარი ცხოვრობს.
მეზობლებს დღისით რაბანია აღარ
უნახავთ,
არც მისი ხმა სმენია ვინმეს,
რამდენჯერმე მომიკრავს თვალი
ერთხელ, წვიმაში
სველ გარგალზე მიდიო ყური,
შემოხვეოდა და თითები უთრთოდა
თითქოს...
შემომხედა
შეკრთა და გაეჩინარდა...
გავშეშდი, გული გამეყინა,
ძალა წამერთვა,
გავარჩიე — ქალი სარკმელს აკვრია და
მე შემომცქერის...
კედელზე სანთლის მკრთალი შუქი
ოდნავ ლიცლიცებს.
ოქროს მარცვლებად დაბნეული
ეყრება თმაზე...
„არ გაბედო, არ შემოხედო.
ძვირფასო ჩემო,
რა ხანია შენს ბეჭედს ვმალავ,
რომ შენი თავი
ავმა სულმა არ გამითვალოს,
მედალიონი შენგან მოძღვნილი
შენი სურათით, მუდამ თან დამაქვს,
არ გაბედო, არ შემოხედო,
შენ აქ რა გინდა,
ამიქნია ხელი თითქოს
სულებს აფრთხობსო,
ჯერ ადრეა შენი სიკვდილი,
შენ ხომ ჯერაც ახალგაზრდა ხარ!
დაგელოდები,
მოთმინებით დაგელოდები,
მე ყოველღამ შენს მკერდზე მძინავს
და მზით დამწვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ტანის ალმურით კობები,
მე შენი კოცნით ესაზრდოობ დღემდე.
განსოვს ჩვენ რომ მოგვიწვდრო გზაზე,
იქ, მარსელის სანაპიროზე —
ტანს ყოველდღე იმ წყლით ვიბან...
მიდიხარ?
წადი,
კარგსაც იზამ,
მზემ არ დაგბედოს.
ლილი მე რომ მოგიკვდე,
კვლავ აგწყვეტია.
წადი, წადი და
გავედრები აღარ მოხვიდე!
ნუ დარდობ ჩემზე,
მე არ მინდა მაგ თვალებში
სევდა ვიხილო,
წვრილი ნაოჭი ტუჩებთან,
სხივი ჰალარის...
წადი,
მაგრამ ლილს აწყვეტილს
ვინ მოგიკვდებს?..
ეცილდები სარკმელს,
სუნთქვა მეკვრის
და ცრემლი მახრჩობს.
ვიმეორებ ფრანგულ სიტყვებს —
სიცოცხლით ავსილ ფერად ბუშტებს
გვანან სიტყვები
მაღალ ცისკენ აცურებულებს...
უცხო კაცი ჩასახლდა ჩემში...
ტორტმანებენ ქალაქები,
გზები, გემები,
საკუთარ ტანში ვერ დატეულან,
ეეჯწროებათ დრო სივრცე და
ჰორიზონტები...
ეს ევროპაა —
საქმიანი და მოუცლელი,
გაუთავებლად მოჭაჭანე და
კეხთმაგარი,
ხან მაზუთით გაზინთლული,
ხან კი ფრაკში გამოწკეპილი,
იარაღით მოყოყლოჩინე
და ბორდელებში ვნებადამცხრალი!
ეს ევროპაა —
კარგა ხანია ხელგაწვდილნი
ვდგავართ მის გზაზე
აზიის ხანძრებს
აქა იქა გადარჩენილნი,
მაგრამ ჩვენს შორის სიბნელეა
და თეთრი თოვლი.
ახლა ერთმანეთს ტანსაცმლით ვგავართ,
სულ ადრე კი ძმები ვყოფილვართ.
რაც მათ დაკარგეს,
ჩვენ ვუფრთხილდებით,
რაც შეიძინეს —
ჩვენ გვენატრება.
პარიზი, ლუვრი,
სენ-ჟერმენი
და მონპარნასი...
ვარდობის თვეა და
ვარდებით იწვის ცისკარი.
გაზეთებს ყიდის ბიჭების გუნდი
მტრედებივით წამოფრენილი...
მზე ავსებს ქუჩებს,
მატულობს ხალხი,
მანქანები თევზებივით დასრიალებენ.
მე თანდათან ვპატარავდები.
სადაცაა გავილევი,
გავქრები კიდეც,
მაგრამ უეცრად მახსენდება დედის
წერილი,
რომელსაც ჯერ არ წავიკითხავ,
მოვითმენ კიდევ,
ნეტარებას გავიხანგრძლივებ...
გულის ჯიბეზე შევეხები თითებს,
ისიც ჩუმად მეხმიანება
როგორც ბავშვი ბნელ ოთახიდან...
გავიმართები და ამაყად გადავდგამ
ნაბიჯს.
ჩემს აპრეხილ ულვაშებზე ნიავი
ცელქობს.
მე თვალებს ვჭუტავ და ცას ვუცინი...
დედა მწერს, ალბათ,
რომ პაპაჩემს შეესრულეს დაბადებიდან,
თავისუფლება—სამარეში ჩამომძახეთო,
დედა მწერს, ალბათ,
რომ გამარგლილ მსოფლიო რუქას
ქრისტეს ცრემლივით დაეპკურა
ჩემი ქვეყანა,
რომ პარიზშიც დამკვიდრდება ჩვენი
სადღეგრძელო,
დედები შვილებს სიხარულით
გზავნიან ჯარში!
ნეტა მაჩვენა მათი სამოსი,
ქართული ფული,
დაბრუნება ჩვენი მიწების,
ჩვენი დროშა მაჩვენა ახლა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა მწერს, ალბათ,
რომ ამ სიხარულს
შვილის შობის სიხარულიც
ვერ შეედრება!
ჩვენ ერთდროულად ავტირდით
პატარა გოგო
ქუჩაში რომ გადმობაჩუნდა...
დაიხრჩოლა მანქანამ და
ჩამეკრა ბაღში.
მისი პატარა გულის ფეთქვა
ესმოდა ქუჩას
და ოქროსფერი თმა
ჰაერებად ისროდა სხივებს.
ვიდექით უხმოდ,
ქალიშვილი კანკალებდა და მიღიმოდა...
და როცა დედამ —
ვით აფაზამ აგვართვა იგი,
ფეხქვეშ მიწა გამოგვეცალეს...

ყოველთვის როცა შენზე ვფიქრობ,
იმ დღეს ვიხსენებ.
ახლაც მძიმე გისოსებზე მიშტერებული
(ცივი კედელი
დაწყლულებულ ბეჭებს მიგრილებს)
შენი სახის მოხმობას ვცდილობ,
სანაპიროზე მოგდევ და მოგდევ,
სადაცაა წამოგეწევი,
მზე კისკისებს და ენას მიყოფს,
ტალღა ტკარცალებს,
მეშტებს მიქნევს და მემუქრება...
უცებ შევდგები,
დედაჩემის თვალით შეგხედავ,
მომეწონები,
მეათასედ მომეწონები,
მერე შენს ბაგეს, მარილიანს,
ირემივით დაეწაფები...
ტალღა — ჩვენ რომ ვერა დაგვეკალი,
ნაკვალევს წაშლის და დამშვიდდება...
ისმის გინება,
ნალებიან ჩექმის ბრაგუნი,
კვნესა ,ხრიალი,
სიცხიანთა წამობოდება,
დასიებული, გაწწირული და უშიშარი
მეხლს მოინაცვლებს ახალგაზრდა
მღვდელი და
ტირის...
ქადაგებს იგი პირველად და
უკანასკნელად,
ან იქნებ ლექსად ამოდის სული.
სადა ხარ ღმერთო,
რად დაგდე ქვეყანა შენი,
უღმერთოთაგან გათელილი
დამუნჯდა ყველა,
არა თუ სიტყვა
გალიმებაც საშიში გახდა!
სახლი შენი არ არის შენი!
ცოლი შენი არ არის შენი!
შვილი შენი არ არის შენი!
ქვეყანა შენი იმხელაა,
რომ საშშობლის ვერც კი მიაგნებ...
ერთ დროს ამაყი,
მოლაქეუც ძალლად მაქციეს,
ისე დავდიერ,
მიწას ფეხსაც კი არ ვაკარებ,
დამბეზღებლები
სიზმარშიაც უკან დამდევენ.
ტკბილი სტუმარი,
მკერდზე ძმერად მიხუტებული,
დაუნდობლად რად იგესლება?!
პირნახული საით მიაქვთ ველურთ
ყაყანით,
ან ტაძრებიდან წმინდანები სად
გაპარულან?!..
— ეს შეცდომაა, ამხანაგებო,
შიშით ცახცახებს მელოტი კაცი,
რევოლუციის მე შევწირე
რაც კი გამაჩნდა,
ბელადმაც იცის ჩემი სახელი,
სულ ერთი თვის წინ
ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში
მან მე ხელიც კი ჩამომართვა
და გამიღიმა...
მე არ მინდა ისე მოვკვდე,
ვერ გავიგო რა ხდება ირგვლივ,
ინტელიგენტი ნუთუ მართლა საფრთხეს
უქმნის
ამ სახელმწიფოს?!
განა ჩვენი წინაპარიც გლეხი არ
იყო?!
დიახ, ბატონო პროფესორო,
გლეხი იყო წინაპარი ჩვენიც,
ამათიც
ვინც ცხვრებივით აქ შემოგვყარა,
თქვენ პიროვნებებს ზრდით,
ამათ კი მონები უნდათ...
წივილ-ხრჭიალით იღება კარი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთმანეთზე მიყრილებზე გადმოალაჟებს
დაკითხვაზე მივყავართ ისევ.
ნეტა რა დღეა,
რა დღეა ნეტა?
იღლიებში ამოჰიდგნენ და მიმათრევენ,
ფეხის გულები რკინის ჟოხით მაქვს
დახეგგილი,
ბნელ დერეფანში შავი ლანდები...
არ ვიცი ვხედავ თუ მეჩვენება,
საქმიანად დასეირნობენ...
ავერ ერთი კედლის გვერდით
მიასრიალებს,
ქათმის ფეხებზე
გალაქული ქარილი ეელავს,
საფერთხებლები თვალების ნაცვლად...
წითელ ოთახში
ველოდები შავი ფერია!
იქვე კუთხეში სისხლიანი ბოთლი
აწათებს,
თითქო ამბობს —
აქამდე საქმეს ნუ მიიყვან,
სულ ერთია გამოგტეხენო...
მდუღარე წყლით აესილ ბოთლზე
პატიმარს სვამენ,
ზურგზე ჟალათს შეაჟენენ —
სიმძიმისათვის,
ვოქვეთ გადმელი,
ნემსებს, ნენებში გასაყრელ ნემსებს,
სით წაუხვალ
ან კარებში მოყოლილი
თითების მტვრევას...
შავი კაცი მაგიდას უზის,
ეს ერთ-ერთი იმათგანია —
ღმერთის ეტოქება,
უზენაეს უფლებებით გალაღებული
ადამიანებს საათივით რომ შლის და
აწყობს,
ბანჟგულიან თითით მანიშნებს და
ჩვენებაზე ხელმოწერას მოითხოვს
ჩემგან...
კედლის უარს ვამბობ.
ვეება მუშტი მოდის ჩემსკენ,
მოაქვს სიბნელე,
თვალებიდან შემოდის სულში,
მიეხეთქება კედელს, ვერებს,
წარსულს, ღირსებას!
და ჩემი სისხლით გაძღება ღამე...

სიკვდილის ჩრდილი
მავ სლიპინა ხელებს შემომხვევს,
ხრწნის სუნი დასკრავს,
ქანცგაწყვეტილი ფოთოლივით
შრიალებს სული
და თავის ხმის აღარც კი სჯერა...
გონებაში ხან ვარსკვლავი აელვარდება,
ხან პეპელან ბნელ ქუჩაზე გადარბის
ძუკნა...
ნაგვის ყუთიდან ამოჩრილი თითები
ქალის
მიმანიშნებენ წარწერაზე
წითლად რომ კივის —
„იზმი"!!!
ისმის ჰაობის ბინადართა ავი ხორხოცი
და ბორანი მიცურავს თავქვე,
სისხლის მდინარე
ნისლით დაჭმულ ნაპირებს ლოკავს...
ხელებს მიქნევენ ნისლის კაცები,
სახეწაშლილებს
აღუმართავთ დროშები ცისკენ...

ამ ფურცელზე ყველა სიტყვა
სიკვდილით სუნთქავს:
მე გიორგი ა....ძე
დაბადებული თბილ... 1...წ...
...განათლება მიე... პარ...
...იფრისტი...
საქართ... დავბრ... საბჭ... ხელ...
დამყარების შემდეგ...
ვაღიარ... რომ ვარ
საფრ... აგენტი...
ტერორ... გადავც... საიდუმ... ცნობ...
...ძირს ვუთხრიდი საბჭ... სახელმ...
. . . . . . . .
. . . . . . . .
ხმები, ხმები გულგამყინავი...
როცა ტაძრიდან გამოვედით
ჯვარდაწერილნი,
როცა სიმამრი სიყვარულით გადამეხვია,
მითხრა — უკვე შემიძლია

ბედნიერი, მშვიდად მოკვდეთ,
გულუბრყვილო, კეთილი კაცი...

ჩვენ ვბრუნდებოდით სამშობლოში.
შენ ბავშვივით
ერთ ადგილზე ვერ ისვენებდი...
აი ჯვარი, აი თბილისიც!
მაგრამ წითელი რატომ ერქვა
მწვანე ველ-მინდვრებს,
ხალხს, ქვეყანას,
ვერ მიმხვდარიყავ!
გიხსნიდი, მაგრამ
მე თვითონაც არა მესმოდა...
მატარებელი შედიოდა ქალაქში
ფრთხილად,
როგორც თავის შედის ხატანგში
მისი სორის წინ რომ დაედგამთ...
გზა შინისკენ მიმავალი ერთადერთია,
სწორედ ამ გზით მოდის სიკვდილი...
ჩვენს სახლში ერთი ოთახი მოგვცეს.
ქართულს სწავლობდი შვილებთან
ერთად.
შენ ასწავლიდი სკოლაში ფრანგულს,
შენ ულიმოდი ახალ ქვეყანას
და საფრანგეთის ხსენებაზე
ცრემლებს მალავდი...

წყალი შემსხდეს,
როცა წვეთები წამწამებზე ჩამოიწურა,
შენი ძვირფასი სილუეტი ეწვია ოთახს.
ჩვენ გავიწიეთ ერთმანეთისკენ
გზა ჩექმებმა გადაგვიკეტა.
მერე საკინძე ჩამოგახიეს
და შენი თეთრი, ნაწამები
გამხდარი მკერდი
მტრედის ბუმბულივით მოახრჩო ბნელმა...
მაშინ ვიგრძენი
რომ ცოცხალი ვიყავი ისევ,
რომ ამ ყოფაზე საზარელი არა იყო რა...
ამოვიბლავლე,
სული ტოტებს ალეწვა სიმწრით —
მე გადამსხვრეულ სარკმელიდან
დავეშვი დაბლა...

ეცხო კაცი ჩასახლდა ჩემში.
ვინც გათელეს და ქვეყანა გაუთახსირეს,
ცოლი წამებით გატანჯული გონს
გადიყვანეს,
შვილებს შიშშილით სიკვდილი ერგოთ,
კაცს სამშობლოს მოღალატის სახელი
უძღვნეს,
თუმცა რომელი სამშობლოსი —
განაჩენში არ აღენიშნავთ!
შეთქმულებივით იპეტუნეს შეაღამემდე
და მეორე დღეს,
გაზაფხულის მშვენიერ დილით,
აივნებზე კმაყოფილნი გამოეფინენ...
ჩაგზავნეს ერთი
და რომხმარი გამოიტყუეს,
მერე ეცნენ
ავუავებულ ხეზე მიაბეს,
უნდა დავგბანოთ, თორემ სუნმა
შეგვაწუხაო,
შემოახიეს ძონძები და
ჩამოგლიჯეს ქისა,
ყელზე ძაფით შებმული,
მერე ერთმანეთს დაერივნენ,
ვერ გაიყვეს ბეჭედი და მედალიონი...
იდგა ყაყანი,
ერთმანეთის წყევლა გინება,
გაოგნებული იდგა ბავშვი —
კარაქიან პურზე წვინტლი
ჩამოსდიოდა...

მწუხარებს სული,
თორემ ისე მხიარულნი ვართ!
ჩვენს სილარიბეს მიგტირით და
სიმამლით ვკვდებით,
ბვიქვს ყველაფერი,
იმის ფასად,
რაც წაგვართვეს და დაგვავიწყეს,
— სული მწუხარე,
თვალი ბნელი,
ყური დახშული...

ჩემი შესვლა არც გაუგიათ.
მხოლოდ რომხმარი შეიჩხა ოდნავ,
თავი აილო,
შემომხედა და გამიღიმა,
აუფაკლა ლაწვები უცებ,
თოკი შეეხსნა თავისთავად,
გაუბედავად გადმოდგა ბიჭი,
სიხარულით შეჰკივლა ხეცას,
„ძვირფასო ჩემო,
მადლობა ღმერთს,
ისევ ერთად ვართ"
გამოიქცა თავგამწირული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მტკაველი ეზო იყო...
ის კი დიდხანს,
დიდხანს მორბოდა.
როცა მკლავები შემომაჭდო,
აღარ სუნთქავდა.
მსუბუქი იყო,
ვით ყვავილის თეთრი ფურცელი,
სურნელოვანი და მშვენიერი...

ჰოი მოდგმავ, გამცემთა და
ტვინესუართა
თქვენ ახლა გძინავთ,
დაუკრთხავად ვერ გაიღვიძებთ,
ვერც მოკვდებით რაღა თქმა უნდა.
ბურუსში წასულთ გაგონდებათ
კეთილმოწყობილ სოროებში
სარჩოს როგორ ეზიდებოდით,
რომ ნაშიერს ემრავლა თქვენსას,
მშვენიერი ქალწულები ჩასვბად
გესვათ,
ჰაერიც, წყალიც მხოლოდ თქვენთვის
გემეტებოდათ,
სამყოფელი რკინის ბადით
შემოიზღუდეთ
და გალიაში ნეტარებით იფხანდით
გავას,
თქვენ სანახავად მოსულებს კი,
ტალახს ესროდით
თავად ტალახში მჯდარნი ყელამდე!
მონადმობილებს ევროპელნი
გეზიზღებოდათ,
ახლა მოყვასის სისხლით მთვრალებს
ჩაგძინებიათ,
და რაც მოხდა, გეჩვენებათ,
სიზმარში ნახეთ!
არ ბერდებით
და ასაკიც არ გემატებათ,
თქვენ რომ გაჰყიდეთ.

ის სამშობლო აღარ არსებობს!
„თქვენს მიერ შექმნილ ქვეყანაშიც"
უნდა იძინოთ,
რომ სიქველით დაღლილებს გაგვდეთ,
ნაშიერმა იამაყოს თქვენი ჭაღარით,
და მმართველობის საჭეს მაგრად
ჩაებღაუჭოს!

როცა გიყურებთ,
მეჩვენება რომ დრო გაჩერდა,
იმ მიკრობს გავხართ,
წამალიც რომ ვეღარ ერევა,
უფრო მეტიც —
ამ წამალში მრავლდება კიდეც!
უნდა იძინოთ,
ვიდრე ახალ ქვეყანას შევქმნით,
უნდა იძინოთ,
ვიდრე ახალ წამალს მოვიტანთ...

ქვეყანა კაცს გავს,
ვინც სხეულს ნატრობს,
უბედური მათხოვრად კვდება...
მდუმარე წვიმას ნატრობს ყანა
და არა თქეშს და
არა ღვარცოფებს...

...რაც უფრო მეტად მრავლდება ცოდვა,
უფრო საჩინოდ ელვარებს მადლი...

შუა ეზოში გარგალი იდგა
ისეთი სიმწრით აფეთქებული,
თითქოს საცაა კედლებს გასწევსო,
უსინათლო, აშმორილ კედლებს...
მზეს ამ ეზოსთვის არასოდეს დაუხედია,
ან რა იყო აქ სანახავი,
სარეცხის გარდა,
კვირეები რომ არ შრებოდა,
ეკიდა თოკზე
და ყვებოდა ოჯახის ამბებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნატო ნასიაშვილი

* * *

ეს გაზაფხული
მოიგონა ჩემთვის უფალმა,
როგორც ღიმილი —
ვერაგობის მარჯვე ნიღაბი...
მაგრამ მე ვიცნობ,
მე დარაბებს ოცნებით ვუმანავ
შემოდგომაზე და წასული ფოთლის
შრიალზე.
ეს გაზაფხული...
თუმცა ჩემთვის გამოიგონეს.

აპრილებულ კოცონივით
დამინთეს ხეთით,
მსხვერპლი ფრთილია,
ჩემში ვეჩად ჩაბუდებული,
(საკუთარ ხანძრის მომლოდინე
და არა — მხდალი!)
და ფარდებს ვუშვებ
ჩემი სულის ყველა სარკმელზე,
რომ ხალხმრავალი აპრილიდან
ვეღარავინ შემოიხედოს.

* * *

უცნაური,
უცნაური სენი დამჯრავს
ნაცნობ ქუჩის,
ნაცნობ სინათლეს.
რა მოულოდნელ,
უცებ მზერას მიშენს სარკმელი
უცხად-ღია...
მე ხომ დავკმანე.
ჩამოვკიდე
გაუმჭვირვალე, პირქუში ზეცა.

მე ხომ ვიცოდი, რაც მხიბლავდა,
ეჰ განვიხიბლე და თქვენ მოგაგეთ,
და მაინც ისევ აპრილებს
მზე მჭრელ ბუნიკებს.
ვინ გამიხსენა...
ვინ დაცხრილა ჩემი ფარდები...
აფხორილა და სცემს თვალებში
მიმჭრალი ნერგი.
ვინ გამიხსენა... გამიხსენა?...
რად გამიხსენა!...

* * *

ამ სახლში
მოხუცი ცხოვრობდა.
მოხუცი ქალი.
გაჰყვა ერთხელ საქსოვ გორგალს და
სადღაც წავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი კეთილი იყოო,
იტყვიან მეზობლები,
ხსოვნა ჩაასახლა საკუთარ სახლშიო...
ბოლომდე გახსნილი გორგალი კი,
როგორც გული,
ერთხელ გახსნილი,
აღარასოდეს ჩაეხვევა,
აღარასოდეს.

* * *

თქვენი ლამაზი მოსასხამი
მიბოძოთ იქნებ...
მე ვიქნებოდი მარტოობის
თავშესაფარი...
იმედის კოშკზე გადმომდგარი
თეთრ ალამს ვიქნევ,
მაინც ვერ ვპოვე
გზები —
ჩვენი თავშესაფარი.

ო, უფლისწულო...
მიბოძოთ იქნებ
ოქროსფერი სიზმარი თუნდაც,
და მეც არასდროს ვისურვებდი
აქ დაბრუნებას...
ჩემს წამებს ახლა
მხოლოდ თქვენი
ხილვები უნდა,
და მშვიდ თვალებში მოქცეული
ზღვით გაბრუება.

* * *

ღამე — შავი თაიგულივით გარინდული,
ნელნელა მიმწყვდევს ნაღვლის
ხლართში,
როგორც ფესვებში.
იზრდება მოლოდინის ნატვრა —
ვიდრე მოლოდინი...
და მაინც — ხელფეხშეკრული
მივიწევ საწოლთან,
იქ, მირაჟიანი ძილის სამეფოში,
სადაც სიზმრები გაზაფხულის თოვლივით
ძუნწად წვეთავენ,
მელის ცუდი, მაგრამ ერთადერთი
მეგობარი —
დავიწყება.
დავიწყება ყოველივესი,

რაც თქვენთან ხდება,
რაც ჩემთან ხდება...
საწოლი, რომელიც ერთდროულად
ხსნაცაა და ტანჯვაც,
ყოველ დილით შეკრულია ბრძოლის
მძივებით —
ისე ფაქიზი მძივებით,
რომ მზის შეხებაზე უმალ დნება...
ამაზე დიდი საჩუქარი მე —
არ გამაჩნია.
...და, ასე გრძელდება ცხოვრება
ჩვენი —
საზღაური არასოდეს გადასცდება
ბოლმე ხსოვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერ ლაგერკვისტი
შვედი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი.

# ბ ა რ ა ბ ა

მოთხრობა

ყველამ იცის, მაშინ როგორ ჯვარზე როგორ ეკიდნენ და მის გარშემო ვინ მოიყარა თავი: დედა მისი, მარიამი და მარიამ მაგდალინელი, ვერონიკა, სიმონ კვირინელი და იოსებ არიმათიელი, რომელმაც შეხვია მის სხეულს არდაგი შემოახვია. ოღონდ ქვემოთ, ფერდობზე, ცოტა მოშორებით კიდევ იდგა ერთი კაცი, ვინც თვალს არ აშორებდა მომაკვდავ ჯვარცმულს, ვინც მისი სასიკვდილო წამება თავიდან ბოლომდე ნახა. ამ კაცს სახელად ბარაბა ერქვა და ეს წიგნიც მასზე დაიწერა.

ოცდაათიოდე წლის თუ იქნებოდა. ჩასკვნილი იყო, თუმცა სახე ჩაყვითლებოდა, მოწითური წვერი და შავი თმა ჰქონდა, წარბებიც — შავი, თვალები კი თითქოს იმისათვის ჩაცვივნოდა, რომ გამოხედვა უკეთ დაემალა. ერთი თვალის ქვეშ ღრმა ნაჭრილობევი ემჩნეოდა, ნაკაწრისებრ ეტყობოდა და წვერში იკარგებოდა. საერთოდ კი ადამიანის გარეგნობას ალბათ დიდი მნიშვნელობა არცა აქვს.

იგი ბრბოს პრეტორიუმიდანვე ქუჩა-ქუჩა აედევნა, ოღონდ უკან მისდევდა და როცა გამხეცებული რამე თავის ჯვრიანად წაიქცა, ნაბიჯიც კი შეანელა და შეყოვნდა, მის გვერდით არ აღმოჩნდეო, და ჯვარიც სხვას აკიდეს იმ სიმონს ნამდვილად. მათხოვრების ბრბოში ცოტანი იყვნენ, რომლებსაც თუ არ ჩავთვლით. მოგზაურობებისას ვინმე ქალები მოსდევდნენ და კიდევ მოწყენილის ხროვა — ეს მარადმეთქვი ხომ მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ ხოლმე, როცა ქუჩაში ვინმე ჯვარზე გასაკრავად მიჰყავდათ. ისეთ გასართობს ხელიდან არ გაუშვებდნენ, მაგრამ მალე დაიღალნენ და ჩვეულებრივ თავიანთ მიუბრუნდნენ; მხოლოდ კი ერთი შეიძლება თვალი სახენაჭრილობევ კაცს ბრბოს კუდში რომ მისდევდა.

და აი, უკვე იმავე მთის ადგილზე იდგა და შუალა ჯვარზე გაკრულ კაცს თვალს ვერ აშორებდა. აქ ამისვლა არ უნდოდა, აქ ყველაფერი უწმინდური და დამასნეულებელი იყო. იმისაც აშინებდნენ, ვინც აქ დარჩებოდა, შეჩვენებულ ადგილს ერთხელ მაინც ამოვა, სულის ნაწილს აქ ტოვებს, უსათუოდ აქვე დაბრუნდება და დარჩება. ირგვლივ თავის ქალები და ძვლები ეყარა. დამპალი ჯვრები აღმართულად ეწყო, მაგრამ არ გამქრალიყო, რომ ხელი არავისთვის ეხლოთ. აქ რატომ მოვიდა? ამ კაცს ხომ არ იცნობდა და დიდად არც მისი ხვედრი ედარდებოდა. მაშ გოლგოთაზე რაღად მოვიდა? ბარაბა კი გათავისუფლდა.

ჯვარცმულს თავი ჩამოევარდა, მძიმედ სუნთქავდა. ეტყობა, ცოტაღა დარჩა. ძლიერი აღნაგობის არ იყო, ვერ იტყოდი, გამხდარ სხეულს ლამაზი მკლავები ება, თითქოს ამ ხელებით არასოდეს ემუშავნოს. უცნაური კაცი ჩანდა, თხელი წვერი და ბიჭური უბრალო მკერდი ჰქონდა. ბარაბას იგი არ მოეწონა.

იქ, სასახლესთან პირველად რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, იგი სხვებს არ ჰგავდა. ვერ გაიგო, რატომ, უბრალოდ მიხვდა. მისი მსგავსი არასოდეს ენახა. არ იქნება მოუტყდა კიდეც, როდესაც ჯურღმულიდან ამოიყვანეს ის იყო ამოვიდა და თვალები სინათლეს ვეღარ შეეჩვია. და აი, თითქოს ბრწყინვალე ეს კაცი რაღაც შარავანდედით შემოსილი იდგა, შარავანდედი, ციხიდან, უმალვე გაქრა, ბარაბას ჩვეული გამჭრიახი მზერა დაუბრუნდა, ისევ მხედველობა ხედავდა გარშემო ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურს და არა მხოლოდ იმას, ვინც სისხლიანად გამზრდობილი იყო. და მაინც იგი უცნაური იყო, არავის ჰგავდა. ბარაბას ჯერ გაეგო, ისეთი კაცი ცისფერი როგორ რჩებოდა, მასავით სიკვდილი როგორ მიეჭიდა. მისი გონება ამას ვერ წვდებოდა. რა ბარაბას საქმეა, მაგრამ ისეთი კაცისთვის მიუჯაური არ უნდა დაეჯდა, ნაჯალია, რომ ის უდანაშაულო.

და აი, ის ჯვარზე გასაკრავად წაიყვანეს, ბარაბას კი ჯაჭვები შეხსნეს და გაათავისუფლეს. ბარაბას რა ბრალია, ასე თავად გადაწყვიტეს, მათი ნება იყო, ვინ გაეთავისუფლებინათ. ბოდა, ბარაბა გაუშვეს. ორივე ერთი უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა სიკვდილი ორივეს მიუსაჯეს. ბარაბას თავზე აუხნა სახამ ჯაჭვებს ხსნიდნენ, იდგა და შესცქეროდა ის, მეორე ჯარისკაცებმა თალქაში როგორ გააგდეს, ამ კაცს ზურგზე უკვე ჯვარი ჰქონდა აკიდებული.

კიდევ დიდხანს იდგა და დაცქეროდა, თვალს თვალს არ აშორებდა. შემდეგ მცველმა ხელი ჰკრა და დაუყვირა:

— რა ჰქონი დაგილია? გაეთრიე აქედან, ვერა ხედავ, გაგათავისუფლეთ!

ბარაბა გამოფხიზლდა, იგივე თიდი გამოარა, დაინახა, ის, მეორე როგორ მიათრევდა ჯვარს და მის კვალს ქუჩა-ქუჩა აედევნა, თვალიც არ იცილდა რად გამოუვიდა, ან საიდან რად იყო, მის სასიკვდილო განაჩენში რად უცერდნენ, ამ კაცის ხვედრი ხომ დიდად არ უხდებოდა.

კი მაგრამ ისინი, აი, ჯვარცმას ამცირს რომ მიუყვებოდნენ — იმათ რაღა ესაქმებათ? ეტყობა თავად მიიყვანეს, არავის დაუჩქარებია, მიდიოდნენ და დასცინოდნენ. ახლო მეგობრები და ნათესავები თუ იყვნენ. უცნაური, დასნეულების თითქოს სულ არ ეჩინოდათ.

აი, ის ქალი, ეგებისა დედაა. თუმცა სულაც არა ჰგავს. მაგრამ რომელიმე განა ჰგავს? ქალს გლეხური, პირქუში, უხეში სახე ჰქონდა, ტუჩებსა და ცხვირს სულ ხელისგულით იწმენდდა, ცხვირიდან წვეთები ჩამოსდიოდა, რადგან ცრემლს ღვრიდა. მაგრამ ქალი არ ტიროდა. იგი სხვებივით არ იტანჯებოდა და ჯვარცმულს სხვებივით არ შესცქეროდა. რა თქმა უნდა, დედამისი იყო. ალბათ სხვებზე მეტადაც იტანჯებოდა, მაგრამ თითქოს მასზე განაწყენებული ჩანდა, აქ რადა ხარ გაკრული, საქმე ჯვარცმამდე რად მიიყვანეო, ალბათ, რადგან ისეთი მისიც ჩადენია, რომ ჯვარზე გაკრეს ასე წმინდა და უმწიკვლო და ქალიც ამას სიცოცხლეს ერჩოდა. ვინ ვინ და ქალმა ხომ იცოდა, რომ მას არაფერი დაუშავებია, ამიტომაც იყო დედა, რომ დაუშავებინა კიდევ. მაინც ასე უყურებდნენ.

თავად ბარაბას დედა არ ახსოვდა. არც მამა — მის შესახებ გაგონებითაც კი არაფერი გაუგონია. არც ნათესავები — არც ერთი ნათესავი არ ჰყოლია. ამიტომ ამ ჯვარზე ბარაბა რომ ჩამოეკიდათ, ალბათ ცრემლიც არც დაუღვრიდა. ასე ვინ გაიშინაურებდა ბეღურებში მუშაკებს ისე აბრაგებენი, თითქოს უფრო დიდი უბედურება აღარ არსებობს როგორც ქვეითებს და ყეფიან — საშინელებაა.

მარჯვენა ჯვარზე გაკრული კაცი მოხარშულს იგონებდა. უცებ მას რომ დაენახა ბარაბა, ნაღდად გადაწყვეტდა ჩემს გამო მოკვდაო, უნდა ნახოს დამსახურებულად როგორ მოექცნენო. ბარაბა კი მის სანაცვლოდ სულაც არ მისულა, თუმცა არაფერი ჰქონდა სანანებელი მისი ტანჯვისთვის. ვერა თავის საკუთარ ყინვზე იმსახურებდა სიკვდილს, უპირველესად ეს ნაძირალა იმსახურებდა ილონდ, იმისთვის არა, რისთვისაც გაასამართლეს, სულ სხვა რამის გამო.

ილონდ რად უნდოდა ბარაბას მისი დანახვა, მისი და არა ამ მეორესი, შუაში ჯვარზე რომ იყო გაკრული. ბარაბა მეორის სანაცვლოდ მოკვდა, მის ნაცვლად ჯვარზე ხომ სწორედ ის ჩამოკიდეს. სწორედ მან, მეორემ აიტანა ბარაბა აქ მისვლამდე, მეორეს ჰქონდა ამის უფლება, ასეთი ძალა ჰქონდა? განა უფრო უმეტესი ყინვზე არსებობდა? უფრო საკვირველი ჯვარზე არავინ გაუკრავთ, დამნაშავენი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და მეორე, გაცილებით ნაკლებად იტანჯებოდნენ. ეტყობა, უფრო ძლიერები იყვნენ. ამას კი ხერხემლად თავის ვერ დაუძლია, მისდამ გვერდზე ჩამოეკიდნენ.

აგერ თავი ასწია, გამხმარი ტუჩები მოილოკა და ჩაერჩინე, უბადრუ მკერდში მძიმე ოხვრა გაუხმია. რაღაც წაიჩურჩულა, მეორენ, მწყურიან, თქვა. ჯარისკაცები დიდხანს ჭამდნენ, ბაღიანზე წამოგორებულიყვნენ, მოწყენილები ელოდნენ, ეს სამნი მალე მოკვდებოდნენ, ბოლოს ერთმანეთს ემტერებოდნენ და არაფერი გაეგონათ. მაშინ ერთ-ერთი ნაოჯისაგი მათ მიუახლოვდა. ჯარისკაცი უხალისოდ წამოიწია, ლრუბელი დაისველა, ხელჯოხს წამოაცვა და ჯვარცმულს გაუწოდა. ჯვარცმულმა მოსვა ბევრი გამაყელი და აღარ დალია. არამზადამ კი ჩაიცინა, მერე ძმაკაცებთან მივიდა და ახლა ყველა ერთად ახარხარდა არაშზადებს!

მშიერები — თუ ვინ იყვნენ — ჯვარცმულის გვერდით ჩამომსხდარიყვნენ. ის კი იხარხარებდა, იხარხარებდა და აშკარად სულ ლანძღავდა. რჩარა მაინც იცოდნენ, დატოვებდა ბარაბა, მისი ტანჯვა რჩარა მაინც დაასრულდა! ყველანაირი რჩარა მაინც დამთავ-

რჩება როგორც კი აღსრულდება, შურისძიება გაიქცა და ამაზე აღარასოდეს იფიქრო!

მაგრამ მთაზე სიბნელე ჩამოწვა, თითქოს მზე ჩაქრა, ისეთი სიბნელე და ამ ნაცრისფერში ჯვარცმულმა მთიდან ხმამაღლა დაიყვირა:

— უფალო! უფალო! რისთვის დამტოვე მე!

